პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—96
) მდივნის 10—55
) ღამის მორიგეს 13—39

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ. საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადების ფასისა იძლევა 10% საქალაქო განცხადებებ. თუ განცხადებები იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეიძლება შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- — ამნისტიით განთავისუფლებულ რევოლიუციონერების საზეიმო შეხვედრა ბერლინში.
- — პოლიტიკურ პატიმრების შიმშილობა ბრანდენბურგის (გერმანია) ციხეში.
- — პილსუდსკი რუმინეთში.
- — უმუშევრობის ზრდა ინგლისში.
- — ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ საყვედური გამოუცხადა კუკსა და მექსტონს.
- — ამერიკის პრესა „კრასინ"-ის ექსპედიციის შესახებ.
- — ეგვიპტის პარლამენტი დაითხოვეს სამი წლით.
- — ინდოეთის ნაციონალური მოძრაობის ბელადი მოსკოვში.

შაბათი, 21 ივლისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 168 (2211)

სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობის გასადიდებლად

ჩვენს სასოფლო მეურნეობაში სამართლიანად ექცევა განსაკუთრებული ყურადღება მაღალ და ტეხნიკურ-სამრეწველო კულტურის განვითარებას. ამას გვიკარნახებს ჩვენში არსებული ბუნებრივი პირობები, რომლებიც ხელსაყრელია ასეთ კულტურების გავრცელებისათვის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და მისთვის ნედლეულის ბაზის შექმნის ამოცანა, ძვირფას კულტურათა გაშენების მეტი სარგებლობა ხორბლეულთან შედარებით და, ბოლოს, მიწის სივიწროვე (მიწის ერთ და იმავე ოდენობის ნაკვეთზე მაღალი კულტურა ჩვეულებრივ მეტ ღირებულებას იძლევა, ვიდრე ხორბლეული მეურნეობა).

მაგრამ ამავე დროს აშკარაა, რომ ხორბლეულ მეურნეობის განვითარებას აგრეთვე უნდა მიექცეს უაღრესად სერიოზული ყურადღება. პურის დამზადების დარგში წამოჭრილმა დაბრკოლებებმა ეს ამოცანა მწვავედ დასვა ჩვენს წინაშე. როგორც ვიცით, საკ. კ. ცეკამ სპეციალური დადგენილება გამოიტანა პურეულის მსხვილ საბჭოთა მეურნეობის მოწყობის შესახებ. ამ დირექტივის განსახორციელებლად ჩვენშიც იდგმება სათანადო ნაბიჯები. რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა ჩვენში არსებულ თავისუფალ მიწების განსაზღვრული ფონდი.

ამასთან საჭიროა მთელ რიგ ღონისძიებათა მიღება ხორბლეული მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად. ეს მოსავლიანობა ჯერჯერობით მეტად დაბალია და სანახევროდაც ვერ ანაზღაურებს გლეხის შრომას. სად არის აქედან გამოსავალი?

საკითხის რადიკალური გადაჭრა იქნება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მსხვილ გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულების შექმნა. ეხლანდელ წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაში შეუძლებელია თანამედროვე იარაღ-მანქანების გამოყენება. წვრილ მეურნეს არც საშუალებები გააჩნია თავის მიწა რიგიანად დაამუშავოს. ამ ნაკლოვანებათა აცილება შეიძლება მხოლოდ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გადაქცევით. ამგვარად სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მთავარი საშუალებაა მოსავლიანობის გასადიდებლად და საერთოდ სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად.

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია ჰგულისხმობს მიწადმოწყობის ჩატარებას. იმ დაქუცმაცებულ მიწათსარგებლობის დროს, რომელიც ეხლა არსებობს, შეუძლებელია სერიოზულად ლაპარაკი მოსავლიანობის საგრძნობლად გადიდებაზე. ამიტომ მიწადმოწყობა უნდა დავაჩქაროთ და ის დაუკავშიროთ გლეხურ მეურნეობათა კოლექტიურ შეკავშირებას.

ჩვენს სოფელში უკვე შეიჭრა ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. მაგრამ ბევრგან ჯერ კიდევ თავი ვერ დაუღწევიათ ბარისა და გუთნისათვის. ჩვენ შემდგომი ზომები უნდა მივიღოთ მანქანა-იარაღების ფართედ გავრცელებისათვის სოფლად. ამით მალე გაიზრდება მისი შრომის ნაყოფიერება.

ხელოვნურ სასუქის ხმარება ახალი მოვლენაა ჩვენი გლეხის მეურნეობაში. მაგრამ მისი სარგებლობა გლეხს უკვე შეგნებული აქვს. საჭიროა ფართედ იქნეს დაყენებული მინერალური სასუქის წარმოება და მისი თავის დროზე და იაფ ფასებში მიწოდება გლეხობისათვის.

შერჩეულ, ჯიშიან თესლეულის გამოყენებაც იშვიათი მოვლენაა. ჩვეულებრივი თესლით დათესილი მიწა კი დაბალ მოსავალს იძლევა, ასეთი თესლი ხშირად სრულებით იღუპება. ფართე მასშტაბით უნდა დავაყენოთ შერჩეულ თესლეულის დამზადების და ხმარების საქმე.

აგრონომიული ცოდნით ჩვენი გლეხობა ვერ დაიტრაბახებს. მან არ იცის მიწის დამუშავების და მოვლის რაციონალური ტეხნიკა და წესები. აქედან გლეხობას უნდა მიეცეს სისტემატიური რჩევა-დარიგება, ჯეროვანი ზომები იქნეს მიღებული გლეხის აგრონომიული უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

ყველაფერ ამაში დიდი მოვალეობა აწევთ კერძოდ იმ საცდელ დაწესებულებებს, რომლებიც სოფლად არსებობენ. მათი მუშაობა უეჭველად მოიკოჭლებს. მათ ჯერ ვერ შესძლეს მჭიდრო კავშირის გაბმა მოსახლეობასთან და მისი დაინტერესება თავისი საქმიანობით. ამ საცდელ დაწესებულებების მუშაობა უნდა გამოვაცოცხლოთ.

თავისთავად ცხადია, სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშონ კოლმეურნეობებმა. მეურნეობის სანიმუშო დაყენებით მათ გლეხობას მაგალითი უნდა მისცენ და გამოიწვიონ მასში მისწრაფება კოლექტიურ შეკავშირებისადმი. ამასთან მათ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ მეზობელ გლეხებს მუშაობის გაუმჯობესებაში.

ასეთია მთავარი გზები სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად. საშემოდგომო თესვის მოლოდინში. ამ დანიშნულებათა მოსაგვარებლად ამ თავიდანვე უნდა შეუდგეთ მუშაობას.

კომუნისტების მსოფლიო კონგრესი ჩინეთს

იაპონიის, ინგლისის და ამერიკის დელეგაციების წინადადებით, კომინტერნის კონგრესმა მოწოდებით მიმართა „ჩინეთის მუშებსა და მშრომელებს". ეს მოწოდება დაიბეჭდა „პრავდა"-ს გუშინდელ ნომერში. კონგრესმა მოუწოდა აგრეთვე მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს—ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ჩინეთის პროლეტარიატის დახმარების ორკვირეულს, რომელსაც პროფინტერნი ატარებს.

ამჟამად მომუშავე კომუნისტური კონგრესის ზრუნვა ჩინეთსა და ჩინეთის რევოლიუციონურ მუშათა კლასზე ფრიად საგულისხმოა. შეიძლება წინდაწინ ითქვას, რომ კონგრესის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვა ასე თუ ისე დაკავშირებული იქნება ჩინეთის რევოლიუციის დიდ და მწვავე პრობლემებთან. „ისტორიის ჩარხმა" მეხუთე კონგრესიდან მეექვსემდე უღრმესი კვალი გაავლო. უკანასკნელი წლების, თუ უდიდესი მოვლენა არა, ერთ-ერთი უდიდესთაგანი მაინც იყო სოციალური გრიგალი, რომელმაც გადაიარა ჩინეთზე, აამოძრავა პლებეებისა და მშრომელთა ბუმბერაზი მრავალმილიონიანი მასა და თვალის მომჭრელი კოცონი დაანთო შანხაისა, ხანკოუსა და კანტონში. ჩინეთის რევოლიუციის მედგარი გამოძახილი გაისმის ეხლაც კანტონში მომხდარ საარიერგარდო ბრძოლების შემდეგ. და თუ განვითარების ეხლანდელ საფეხურზე ჩინეთის რევოლიუცია მძიმე დამარცხებას განიცდის და თუ ჩინეთის ჯალათები, ოკუპანტთა იმპერიალიზმთან ერთად, სჯიჯგნიან მის საუკეთესო შვილებს. მით უფრო მიაპყრობენ თვალს ყველა ქვეყნის რევოლიუციონერები აღმოსავლეთს, თავიანთ სასიქადულო ჩინელ ამხანაგებს, ჩინეთის სახელოვან პროლეტარებს და ღარიბ გლეხებს. მძიმე პიობები და მკაცრი დრო მოითხოვს ჩინეთის რევოლიუციონერებისაგან რევოლიუციონურ სიმტკიცეს და რკინის ნეოვებს. მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი მოვალეობაა ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს თავის ჩინელ კლასობრივ ამხანაგებსა და ძმებს. რა ხდება ამჟამად იქ, აზიის ამ უაღრესად მჭიდროდ დასახლებულ და მრავალტანჯულ ქვეყანაში, ჩინეთის დიდი მდინარეების დაბლობებში, უდიდეს ნავთსადგურ- ქალაქებში და სოფლებში, ბრინჯის მინდვრებში და შეხუთულ პროლეტარულ უბნებში?

მსოფლიომ და საერთაშორისო მუშათა კლასმა უკანასკნელ ორ-სამ წელში ბევრი რამ გაიგო ჩინეთზე: რევოლიუციონურმა კრიზისმა მთელი მსოფლიო აალაპარაკა. მაგრამ ჩინეთის მომავალი ჯერ კიდევ წინაა და ჩინეთის რევოლიუცია ჯერ კიდევ ბევრ ახალ რამეს იტყვის, ვინაიდან ჩინეთის მდგომარეობა არა ჩვეულებრივათ რთულია და ის ბევრ მოულოდნელობას გვიქადის ვინაიდან თუ ჩინეთის რევოლიუციის აღმავალი ხაზით წარმოებული დიდი ბრძოლებისა და იერიშების შემდეგ დადგა შედარებითი დამშვიდება, „სისხლიანი დამშვიდება", ეს დამშვიდება ისტორიული თვალსაზრისით მოკლე ხანს მოგვეჩვენება.

ჩინეთი ამჟამად წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კვანძს, სადაც თანდათანობით შეუწყვეტლივ ინასკვებიან მსოფლიო კონფლიქტები. უდიდესი სიჩქარით ხდება ჯალათური იმპერიალისტური ინტერვენცია. იქ, ჩინეთის ასპარეზზე, ჩვენ ვხედავთ განსაკუთრებული ფორმით იმპერიალისტური სახელმწიფოების ბლოკსაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და იმპერიალისტების საერთო ბრძოლასაც ჩინეთის რევოლიუციის ძალების წინააღმდეგ. მაგრამ იქვე ვითარდებიან უღრმესი წინააღმდეგობანი, ერთის მხრივ, იმ სახელმწიფოების შორის, რომლებიც მოითხოვენ ჩინეთის აშკარათ განაწილებას, ხოლო მეორე მხრივ— „მათ შორის, ვინც ღია კარების" პრინციპებით ფარავს თავის ზრახვებს, მაგრამ ვისაც არსებითად იგივე მიზანი აქვს დასახული— მიაღწიოს ჩინეთის ისეთ გაყოფას, რომელიც განსაკუთრებით სასარგებლო იქნება განსაზღვრულ სახელმწიფოსათვის, როგორც გავლენისა და ექსპლოატაციის ობიექტი.

იმპერიალისტების, ფეოდალების და ბურჟუების კონტრ-რევოლიუციონურმა ბლოკმა სძლია რევოლიუციის ძალებს, დაამარცხა პროლეტარიატი და გლეხობა. ამ დამარცხებას პროლეტარიატმა და გლეხობამ სავსებით ჯერაც ვერ დააღწია თავი. მაგრამ მრავალ ადგილას რევოლიუციონური გლეხური მოძრაობა ისევ ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა რაიონებში მდგომარეობა რთული და არაერთგვარია, საერთოდ და მთლიანად მიმდინარე საფეხური შეიძლება დახასიათდეს, როგორც მასიური ძალების მომზადება რევოლიუციის ახალი განვითარებისათვის.

ჩინეთის კომპარტიამ გაიარა რევოლიუციონური ბრძოლის სკოლა, რომელმაც — მოკლე, მაგრამ უდიდეს მოვლენებით, ხვეულებით, გადაჯგუფებებით და პირობათა ერთბაში ცვალებადობით მდიდარ ვადაში — გიგანტიურად გაამდიდრა ჩინეთის კომპარტიის გამოცდილება და შეუდარებლად გამოაწვრთო იგი. ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობამ წარსულში ბევრი მძიმე ოპორტუნისტული შეცდომა ჩაიდინა. შემდეგ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ავანტიურისტულ განწყობილებებს. ამჟამად ჩინეთის კომპარტია თავის ძალებს მოანდომებს მასიურ მუშაობას მუშებსა და გლეხებს შორის, მათი ორგანიზაციის აღდგენას და განმტკიცებას ბრძოლის განვითარების მიზნით და რევოლიუციონური განვითარების მასიურად მოსამზადებლად.

ერთ-ერთი უმძიმესი მსხვერპლი, რომელიც გაიღო ჩინეთის რევოლიუციამ, არის მილიტარიზმის და გომინდანის მიერ ჩინეთის კომპარტიის შემადგენლობის ფართო ფენების განადგურება. საუკეთესო ამხანაგები, ყველაზე უფრო თავგანწირულნი და უშიშარნი, აწამეს, დაახრჩეს, დახვრიტეს, ჯალათის ნაჯახით გამოასალმეს წუთისოფელს. დღემდე ჩინელ ამხანაგებს უხდებათ სახელოვანი თავგანწირული მუშაობის წარმოება იმპერიალისტური არტილერიის ცეცხლისა და ჩინეთის მთავრობის გონებადაკარგული ტერორის პირობებში.

მით უფრო სერიოზულად, ყურადღებით და ენერგიით უნდა დაეხმარონ კომინტერნის სექციები ჩინეთის მუშათა კლასს მისთვის სამძიმო დღეებში. ყველა ქვეყნის მუშები უნდა დაეხმარონ ჩინეთის პროლეტარიატს, ხელი შეუწყონ საერთაშორისო რევოლიუციის ამ რაზმს, რომლითაც თავისუფლად შეუძლია იამაყოს მეექვსე კონგრესმა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩინეთის პროლეტარიატს ამჟამად სათანადო დახმარებას ვერ უწევენ. ჯერ კიდევ კომინტერნის აღმასკომის მეშვიდე პლენუმმა აღნიშნა ეს თავის დროზე.

დახმარების ორკვირეული აქტიურად უნდა გაატაროს კომინტერნის ყველა სექციამ და მათ შორის ჩვენმა საკავშირო კომპარტიამ (ბ). ჩინეთის რევოლიუციის მომავალი დამოკიდებულია არა მარტო ჩინეთის პროლეტარიატზე, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატზედაც.

„დიაე, ჩინეთის მუშათა და გლეხთა ფართო მასების მომავალი აჯანყება, მოწყობილი ლენინიზმის მტკიცე და მრავალნაირად შემოწმებული პრინციპების მიხედვით, — აჯანყება, რომელსაც მხარს დაუჭერს მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი, — გადაიქცეს ჩინეთის ძლევამოსილ ოქტომბრად".

„პრავდა" 20 ივლისი.

ჩემბერლენი საჭიროდ თვლის ლიტვის „ალაგმვას"

იაპონია მუკდენ-ნანკინის შეთანხმების წინააღმდეგ

ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ფინანსიური დახმარება აღმოუჩინოს ქვანახშირის მრეწველებს

ინგლისის მემაღაროეთა ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ

ჩემბერლენი და პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

პარიზი, 20 ივლისი. „ჩიკაგო ტრიბუნ"-ის ლონდონიიო კორესპონდენტი, ეხება რა ჩემბერლენის დამოკიდებულებას პოლონეთ- ლიტვის კონფლიქტისადმი, სწერს:

„როგორც ჩემბერლენს დანამდვილებით გაუგია, ვოლდემარასს განზრახვა აქვს ერთა ლიგის საბჭოს შემოდგომის სესიაზე დემონსტრატიულად აღნიშნოს ლიგის უძლურება. გარდა ამისა, ჩემბერლენმა გაიგო, რომ ლიტვის პრემიერს იმედი აქვს, რომ ლიტვას იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ, განსაკუთრებით პოლონეთმა, მოიწადინა ლიტვის დამოუკიდებლობის დარღვევა, დახმარებას გაუწევს რუსეთი. რაც შეეხება პოლონეთს, ამ უკანასკნელმა აცნობა ჩემბერლენს, რომ ის პასუხისმგებლად ჩასთვლის ლიგას, რომელმაც პოლონეთის მთავრობას ხელი შეუშალა მოეხდინა კონფლიქტის ლიკვიდაცია ძალით. პოლონელებმა განუცხადეს ჩემბერლენს, რომ ისინი ლიგას მოსთხოვენ —მიიღოს საჭირო ღონისძიებები. ჩემბერლენმა გაითვალისწინა ლიგის ავტორიტეტის აუცილებელი დამცირება და გააფრთხილა გერმანია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მან მიუთითა გერმანიას, რომ ლიტველების ასალაგმავად საჭიროა შეერთებულად მოქმედებაო. (ადს)

ინგლისის პასუხი კელოგის ნოტაზე

ლონდონი, 19 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „პასუხში კელოგის ნოტაზე ჩემბერლენი იმედს გამოსთქვამს, რომ სათანადო საერთო წინადადება მიეცემა რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოებს იმ მიზნით, რომ ამ სახელმწიფოებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ ომის ამკრძალავ ხელშეკრულებაში. გამოქვეყნებულია აგრეთვე ავსტრალიის, სამხრეთ-აფრიკის კავშირის, ახალი ზელანდიისა და ინდოეთის მთავრობათა პასუხის ტექსტები კელოგის ნოტაზე. ავსტრალიის და სამხრეთ აფრიკის პასუხი იგივეა რაც ინგლისის მთავრობის პასუხი მისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მოხსენებული არაა ლოკარნო და ის რაიონები, რომლებითაც ინგლისი სპეციალურად არის დაინტერესებული"

ეგვიპტის პარლამენტის გარეკვა

ლონდონი, 19 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „19 ივლისს, საღამოთი ეგვიპტის ორივე პალატის თავმჯდომარეებს ჩააბარეს მეფის დეკრეტის ასლი სენატისა და დეპუტატთა პალატის დათხოვნის შესახებ სამი წლის ვადით. ეგვიპტის მთავრობამ მეფეს მისწერა წერილი, რომელშიაც ურჩევს პარლამენტის დათხოვნას და შემდეგს აღნიშნავს: საპარლამენტო რეჟიმი ეგვიპტეში ჩაგვრისა და დესპოტიზმის იარაღად გადაიქცა ერთი ჯგუფის ხელში, რომელსაც პალატისი უმრავლესობა მხარს უჭერს; ეს უმრავლესობა იძულებულია ეფეროს და ასიამოვნოს მას და ამის გამო საპარლამენტო რეჟიმი უძლურია რეფორმების განხორციელების საქმეში. წერილში ნათქვამია, რომ ამ სამი წლის განმავლობაში მთავრობა იკისრებს იმ ამოცანის შესრულებას, რომ დაამყაროს სამართლიანობა, უზრუნველჰყოს თანასწორობა და დაიცვას თავისუფლება კანონიერების ფარგლებში, აგრეთვე განახორციელოს რეფორმები, რომლებსაც დიდი ხანია, რაც ეგვიპტე მოელის".

ობრეგონის მოკვლის გარშემო

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. როგორც მექსიკიდან იუწყებიან პრეზიდენტ ობრეგონის მოკვლის მოტივები და აგრეთვე პოლიტიკური მდგომარეობა მექსიკაში დღემდე გამოურკვეველია. გამოძიება გრძელდება. ობრეგონის მომხრეებს გადაწყვეტილი აქვთ შური იძიონ მისი მოკვლისათვის. პრეზიდენტი კაიესი ენერგიულ სამხედრო ზომებს ღებულობს შესაძლებელი ექსცესების თავიდან ასაცილებლად. შემოღებულია სასტიკი ცენზურა. (ადს)

ვინ მოჰკლა ობრეგონი

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. მექსიკიდან მიღებულ ცნობით, პრეზიდენტმა კაიესმა გამოაქვეყნა განცხადება, რომ ობრეგონის მკვლელობა მოხდა სარწმუნოებრივ ნიადაგზე. პოლიციამ აღმოაჩინა კათოლიკების შეთქმულება, რასაც შედეგად მოყვა ობრეგონის მოკვლა. მაგრამ ფაქტები, რომლებიც დაამტკიცებდნენ კათოლიკების მონაწილეობას მკვლელობაში ჯერ გამოქვეყნებული არაა. ობრეგონის მომხრეები მკვლელობაში აშკარად სდებენ ბრალს რეფორმისტების ლიდერ მორონესს—ობრეგონის შეურიგებელ პოლიტიკურ მოწინააღმდეგს, რომელსაც თავდასხმის ინტელექტუალურ ავტორს უწოდებენ.

ობრეგონის დაკრძალვა

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. 18 ივლისს მოხდა დაკრძალვა ობრეგონის, რომელსაც სამხედრო პატივის სცეს.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სამძიმარი გამოუცხადა კაიესს ობრეგონის მოკვლის გამო.

მკვლელობის სულის ჩამდგმელი

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. „უორკერ პარტი"-ს ორგანო „დეილი უორკერ" ობრეგონის მკვლელობას მიაწერს მექსიკის რეაქციონურ კლერიკალურ ელემენტებს. გაზეთის სიტყვით ამერიკის ელჩი მექსიკაში დვაიტ მოროუ მიზნად ისახავდა, რომ ობრეგონი დაყრდნობოდა კლერიკალურ მემამულეებს და დაერღვია მუშებისა და გლეხებისათვის მიცემული დაპირებები.

„არის მრავალი საბუთი ვიფიქროთ,—სწერს გაზეთი,—რომ დვაიტ მოროუმ წარმატებას მიაღწია თავის განზრახვის განხორციელებაში. ობრეგონის და კათოლიკური სამღვდელოების შერიგების გაურკვეველ ნიშნებს თან სდევდა საშინელი რეპრესიები მუშების წინააღმდეგ. თუ კლერიკალმა—ფანატიკოსმა მოჰკლა ობრეგონი, იარაღი მას მისცა დვაიტ მოროუმ—მორგანის კომპანიის რწმუნებულმა".

მექსიკის კომპარტიის მოწოდება

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. მექსიკის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ამბები კიდევ უფრო აუცილებლად ხდის მუშებისა და გლეხების დამოუკიდებელ გაერთიანებას. კომპარტია მოუწოდებს პროლეტარიატს ერიდოს შინაურულ ბრძოლას და არ მიემხროს არც ერთ ბურჟუაზიულ დაჯგუფებას.

მოითხოვენ მაღაროების ნაციონალიზაციას

ლონდონი, 19 ივლისი. ინგლისის მემაღაროეთა ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ; რეზოლიუციაში ნათქვამია: „ჩვენ განვაგრძობთ პროპაგანდას მაღაროების ნაციონალიზაციის სასარგებლოდ, ვინაიდან ეს არის პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციისათვის".

ამ რეზოლიუციის გარშემო გამართულ კამათში კუკი მოუწოდებდა ყრილობას— უკუეგდო კაპიტალისტური რაციონალიზაციის მეთოდი —„მშვიდობიანობის მეთოდი მრეწველობაში". (ადს)

მრეწველობის კრიზისი ინგლისში

მთავრობის დახმარება ნახშირის მრეწველობას

ლონდონი, 19 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „მთავრობამ დაადგინა, დაუყოვნებლივ დაეხმაროს ფინანსებით ნახშირის მრეწველობას, განსაკუთრებით იმ მაღაროებს, რომლებიც ექსპორტისათვის მუშაობენ. ეს დადგენილება გამოწვეულია იმით, რომ უმუშევრობა გაიზარდა და მაღაროების ახალი ჯგუფები დაიხურა". (ადს).

უმუშევრობის ზრდა ინგლისში

ლონდონი, 19 ივლისი. 19 ივლისს საღამოთი ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ უმუშევრობის ახალი ზრდა მთავრობისათვის წარმოადგენს იმედის გაცრუების წყაროს. უმუშევართა რიცხვის ნახევარი მოდის მრეწველობის ოთხ დარგზე: ქვა-ნახშირისა, ბამბეულობისა, საამშენებლო და გემთა მშენებლობის დარგებზე. მრეწველობის ამ ოთხ დარგს თუ არ ჩავთვლით, უმუშევრობა ფაქტიურად უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში შემცირდა. უმუშევრობასთან ბრძოლის საჭირო სპეციალურ ზომებს მომავალ კვირას გამოაქვეყნებს პრემიერ-მინისტრი. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

გლეხთა მოძრაობის გაძლიერება

იაპონია ნანკინ-მუკდენის შეთანხმების წინააღმდეგ

გომინდანის წევრების ხელახალი რეგისტრაცია

შანხაი, 20 ივლისი. ამას წინად კანტონში გამოაცხადეს გომინდანის წევრების ხელახალი რეგისტრაცია. თუმცა ოფიციალურად კანტონში გომინდანის 50.000 წევრი ირიცხება, მაგრამ ხელახალ რეგისტრაციაზე დღემდე მხოლოდ რამდენიმე ასი კაცი გამოცხადდა. ხელახალი რეგისტრაციის დროს გომინდანის ყოველი წევრი ვალდებულია წარადგინოს ხუთი კაცის თავდებობა იმის შესახებ, რომ იგი პოლიტიკურად კეთილსაიმედოა. (ადს)

რეპრესიები გლეხური მოძრაობის წინააღმდეგ

შანხაი, 19 ივლისი. სამხედრო ხელისუფლებამ გუანდუნის პროვინციაში გამოაქვეყნა ბრძანება, რომელიც რეპრესიებით ემუქრება სოფლებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი კომუნისტებს დამალავენ. ბრძანებაში ნათქვამია, რომ ის სოფლები, რომლებიც კომუნისტებს დაეხმარებიან, „მიწასთან იქნება გასწორებული".

გლეხური მოძრაობა ხუბეის პროვინციაში

შანხაი, 19 ივლისი. უცხოელთა გაზეთების ცნობით, გლეხური ორგანიზაციის „დიდი დანები"-ს რაზმმა, რომელიც ორი ათასი კაცისაგან შესდგება, ალყა შემოარტყა ქალაქ სუნჩჟის, ხუბეის პროვინციაში. (ადს)

მუკდენი და ნანკინი

პეკინი, 19 ივლისი. „ნორტჩაინა სტანდარტ"-ს არ სჯერა ჩინეთის პრესის ცნობები იმის შესახებ, რომ ჩანსუე-ლიანმა სავსებით იცნო ნანკინის უზენაესი ხელისუფლება. გაზეთი დარწმუნებულია, რომ ჩან-სუე-ლიანი იმ შემთხვევაში დასთანხმდება აღმართოს გომინდანის დროშა, მიიღოს სუნ-იატ-სენის პრინციპები და უსიტყვოდ აღიაროს ნანკინის უზენაესი ხელისუფლება, თუ მას და მის მომხრეებს დაუტოვებენ ფაქტიურ ძალა-უფლებას და შემოსავალს მანჯურიაში, გაზეთი ურჩევს ნანკინს მიიღოს ეს პირობები.

რევოლიუციონური მოძრაობა ჩეცზიანში

შანხაი, 20 ივლისი. გაზეთების ცნობით, უუენის რაიონში (ჩეცზიანის პროვინცია) ძლიერდება რევოლიუციონური მოძრაობა, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ. კომუნისტები მოუწოდებენ გლეხებს— განდევნონ მემამულეები. (ადს)

ცზინანის ინციდენტის გარშემო

შანხაი, 19 ივლისი. ნანკინიდან შანხაიში დაბრუნდა იაპონიის გენერალური კონსული იადა, რომელმაც განაცხადა, რომ ნანკინში გამართულ მოლაპარაკების დროს ვერ იქნა მიღწეული ვერავითარი გარკვეული შედეგი. იადას სიტყვით მას ამ დღეებში ექნება მეორე შეხვედრა ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრ ვან-ჩჟენ-ტინთან. ამ შეხვედრის დროს გამორკვევა ცზინანის ინციდენტის მოგვარების შესახებ მოლაპარაკების დაწყების ვადა.

იაპონელების შიში

ტოკიო, 19 ივლისი. იაპონიის ოფიციალურ პოლიტიკურ წრეებში სერიოზულ შიშს იწვევს შესაძლებელი კომპრომისი მუკდენსა და ნანკინს შორის, რომელიც დაფუძნებული იქნება იმაზე, რომ ჩრდილოელები აღიარებენ გომინდანის დროშას და სუნ-იატ-სენის სამ პრინციპს, აგრეთვე იმაზე, რომ ჩჟან-სიუე-ლიანი დაინიშნება მანჯურიის პოლიტბიუროს თავმჯდომარედ.

„ციუგაი სიოგიო" იუწყება: მთავრობა უახლოეს დღეებში აპირებს „გააფრთხილოს" ჩჟან სიუე-ლიანი და ნანკინის მთავრობა და მოაგონოს იაპონიის გადაწყვეტილება, რომ იგი დაიცავს თავის პრესტიჟს და ინტერესებს როგორც მანჯურიაში, ისე შუა ჩინეთში.

ლიბერალური გაზეთი „ნიჩი" სწერს: რადგან შესაძლებელია კომპრომისი მუკდენსა და ნანკინს შორის, ამიტომ იაპონიის სარდლობამ გადაასწყვიტა, დასტოვოს მანჯურიაში კვანტუნის გარნიზონი (ადს).

მუკდენის ჯარების ევაკუაცია

შანხაი, 19 ივლისი. აქ შემდეგი ცნობებია მიღებული: სამხრეთელების სამხედრო ლიდერების აზრით, მუკდენელი დელეგატები აჭიანურებენ მოლაპარაკებას; ამიტომ მათ გადაასწყვიტეს მუკდენის ჯარები განდევნონ ჩინეთის დიდ კედელს გადაღმა.

ჩჟან სიუე-ლიანმა და იან-იუ-ტინმა გაითვალისწინეს მუკდენის ჯარებისათვის არახელსაყრელი პირობები და თითქოს ბრძანება მისცეს მუკდენის ჯარების მესამე და მეოთხე კორპუსებს, დასცალონ საკუთრივ ჩინეთის ტერიტორია და დაიჭირონ პოზიცია შანხაი-გუანის ჩრდილოეთით (ადს).

შეთანხმება მიღწეულია

პეკინი, 19 ივლისი. ჩინური გაზეთები იუწყებიან: პეკინში მუკდენის დელეგატებმა და ნანკინის წარმომადგენლებმა პრინციპიალურად მიაღწიეს შეთანხმებას. ფიქრობენ, რომ არა უგვიანეს 10 დღისა ჩჟან-სიუე-ლიანი ცირკულიარულ დეპეშას გამოაქვეყნებს, რომ მანჯურია ნანკინის მთავრობის ერთგული იქნება (ადს).

ცზინანის ინციდენტის ლიკვიდაციის პირობები

ტოკიო, 19 ივლისი. გამოქვეყნებულია ცნობა, რომ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა მოაგვაროს ცზინანის ინციდენტი. გენერალურ კონსულს შანხაიში წინადადება მიეცა მიმართოს თხოვნით ნანკინის მთავრობას, რათა უკანასკნელმა გაგზავნოს დელეგატები, რომლებმაც უნდა გამართონ მოლაპარაკება ინციდენტის მოგვარების შესახებ შემდეგ პირობებში: ბოდიშის მოხდა, იაპონელებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება და გარანტია, რომ ასეთი ინციდენტები აღარ განმეორდება (ადს).

პროლეტარული ბერლინი ზეიმით ხვდება

ამნისტიით განთავისუფლებულ რევოლიუციონერებს

ამნისტიით განთავისუფლებულთა შეხვედრა გერმანიის კომპარტიის ცეკაში

ბერლინი, 19 ივლისი, 17 ივლისს ბერლინის რამდენიმე ათი ათასი მუშა ზეიმით შეხვდა სადგურზე ამნისტიით განთავისუფლებულ პროლეტარ პოლიტპატიმართა ჯგუფს. მეორე დღეს, 18 ივლისს, ამნისტიით განთავისუფლებულთა საზეიმო შეხვედრა მოხდა გერმანიის კომპარტიის ცეკაში. გერმანიის კომპარტიის და მასიური პროლეტარულ ორგანიზ.-ბის წარმომადგენლები განთავისუფლებულთ მიესალმენ, როგორც ახალ მებრძოლთ რევოლიუციონურ რიგებში. მათ აღნიშნეს, რომ მუშათა რევოლიუციონური კლასი ვერ დაკმაყოფილდება ნაწილობრივი ამნისტიით, რომელიც მიღებულ იქნა მისი ზეგავლენით, განაგრძობს ბრძოლას სრული ამნისტიისათვის, ბურჟუაზიულ - სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის დამხობისათვის და პროლეტარულ რევოლიუციისათვის. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არც-ერთ პროლეტარ პოლიტპატიმარს არ დაუტოვებია რევოლიუციონური რიგები და ყველანი გერმანიის კომპარტიას დაუბრუნდნენ, როგორც რევოლიუციის ჯარისკაცები. ისინიც კი, ვინც წინად გერმანიის კომპარტიის გარეთ იყო, ეხლა, ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, პარტიაში შედიან.

ამნისტიით განთავისუფლებულთ განუცხადეს: გერმანიის კომპარტიის ცეკა და რემედასის გერმანიის სექცია ზომებს მიიღებენ, რომ ყოფილ პოლიტპატიმართაგან იმათ, ვისი ჯანმრთელობაც განსაკუთრებით შერყეულია, აგარაკებზე დასვენების საშუალება მიეცეთ

ამნისტიით განთავისუფლებულთა ჯგუფის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ერთმა ყოფილ პოლიტპატიმარმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამნისტიით განთავისუფლებულნი გაამართლებენ იმ იმედს, რომელსაც პარტია მათზე ამყარებს.

„ჩვენ გვირჩევნია დავიწვათ რევოლიუციონური ბრძოლის ალში, ვიდრე დავლპეთ ბურჟუაზიულ დემოკრატიის ჭაობში"-ო—განაცხადა მან.

შეკრებილებმა მისალმების დეპეშები გაუგზავნეს კომინტერნის მეექვსე მსოფლიო კონგრესს, რემედასის ცეკას და ყველა პროლეტარ პოლიტპატიმარს გერმანიაში. (ადს).

პროლეტარული ბერლინი ელის ჰელცის ჩამოსვლას

ბერლინი, 19 ივლისი. ბერლინის მთელი პროლეტარიატი მოუთმენლად მოელის მაქს ჰელცის ჩამოსვლას. მის ჩამოსვლაზე ლაპარაკობს აგრეთვე ბურჟუაზიული პრესა, რომელიც ამას დიდ მნიშვნელობას აძლევს. მუშათა რაიონები დილიდანვე მორთო წითელი დროშებით. (ადს)

ამხ. ვოროშილოვის სახელობის პიონერთა ბანაკი

ბერლინის მახლობლად

ბერლინი, 19 ივლისი. 15 ივლისს მოხდა ამხ. ვოროშილოვის სახელობის პიონერთა ბანაკის საზეიმო გახსნა. ბანაკი მდებარეობს ბერლინიდან 3 საათის სავალზე. გახსნას დაესწრნენ 350 გერმანელი პიონერი და უცხოეთის პიონერთა წარმომადგენლები. ვოროშილოვის სახელობის ბანაკი შესდგება 10 კომუნისაგან. პიონერები ბანაკში 3 კვირას დარჩებიან. (ადს).

ინგლისის საამშენებლო მუშების ყრილობა

ლონდონი, 19 ივლისი. გაიხსნა მშენებელ მუშათა პროფკავშირების ასოციაციის ყრილობა. ყრილობა გახსნა ასოციაციის თავმჯდომარემ უოდელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მშენებელ მუშათა ყველა კავშირისაგან საჭიროა შეიქმნას მთლიანი კავშირიო. შეეხო რა მონდის ჯგუფთან მოლაპარაკებას, უოდელმა განაცხადა: „ისინი, ვინც, ახე დალაგებულად ლაპარაკობს სამრეწველო მშვიდობიანობის შესახებ კარგად უნდა გაეცნონ მრეწველობის განვითარების პერსპექტივებსო". უოდელს საჭიროდ მიაჩნია, რომ გენსაბჭოს თავმჯდომარეებმა დაწვრილებითი მოლაპარაკება უნდა დაიწყონ მხოლოდ ტრედიუნიონების თანხმობით. ისინი უნდა დაკმაყოფილდნენ წინასწარ განსაზღვრულ წინადადებათა განხილვით. ყრილობამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, ვინაიდან მან ინგლისში არ შეუშვა საბჭოთა მშენებელ მუშების კავშირის დელეგაცია. ყრილობამ დაადგინა, სთხოვოს მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციას შეიტანოს თემთა პალატაში შეკითხვა ამის შესახებ" (ადს).

კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესი

19 ივლისის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 20 ივლისი. კომინტერნის კონგრესის 19 ივლისის საღამოს სხდომა გაიხსნა ამხ. **გარლანდის** (იტალია) თავმჯდომარეობით.

ძველი ბოლშევიკების საზოგადოების სახელით კონგრესს მიესალმა ამხ. **პერვუხინი.**

შემდეგ ამხ. **რემმელემ** გამოაქვეყნა გერმანიის საპყრობილეებიდან განთავისუფლებულ პოლიტპატიმართა და ჰამბურგის მუშების მისასალმებელი დეპეშები.

ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. **სტუჩკა.**

შემდეგ არჩეულ იქნა კონგრესის სამდივნო, სამანდატო კომისია და კომისია კომინტერნის პროგრამის შესამუშავებლად.

კონგრესის შემდეგი სხდომა გაიმართება 20 ივლისს, საღამოს 5 საათზე.

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

საუბარი ამხ. დავთიანთან

ბაქო, 20 ივლისი. ბაქოში დროებით შეჩერდა თეირანიდან მოსკოვში მიმავალი საბჭ. კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში ამხ. დავთიანი, რომელმაც ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში სპარსეთ - საბჭოთა ურთიერთობის შესახებ განაცხადა:

„ჩვენი ურთიერთობა სპარსეთთან ნორმალურად ვითარდება. ერთი წლის განმავლობაში მრავალი მიმდინარე საკითხი გადავჭერით. კერძოდ მოვახდინეთ წარსული წლის ნოემბერში დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია, ერთმანეთს გადაუგზავნეთ სარატიფიკაციო სიგელები, ჩამოვაყალიბეთ მეთევზეობის სპარსეთ - საბჭოთა შერეული კომპანია და სპარსეთს გადავეცით პეხლევის ნავთსადგური. ხელი მოვაწერეთ აგრეთვე კონვენციას საზღვარზე გადასვლის გაადვილების შესახებ. ეს კონვენცია გააუმჯობესებს სანაპირო რაიონების მოსახლეობის მდგომარეობას და შეამცირებს იმ ფორმალობას, რომელსაც დღემდე მიმართავდენ. უკვე განხილულია და მზადაა ხელმოსაწერად საძოვრების კონვენცია, ახალი საბაჟო კონვენცია, საკონსულო კონვენცია და სხვ. მოლაპარაკება გვაქვს აგრეთვე სავაჭრო კონტიგენტის შესახებ მომავალ წლისათვის".

მეჯლისის არჩევნების შესახებ ამხ. დავთიანმა სთქვა:

„ამჟამად მეჯლისის არჩევნები თითქმის დამთავრებულია. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი მიზეზის გამო, მოსახლეობამ არჩევნებში დიდი პასივობა გამოიჩინა. ყველგან მთავრობის კანდიდატები გადიან. საზოგადოების მემარცხენე ნაწილს არც ერთი წარმომადგენელი არ ეყოლება ახალ მეჯლისში. სამწუხაროდ, ახალ მეჯლისში ისეთი დეპუტატები გავლენ, რომლებიც არ არიან საბჭოთა კავშირთან დაახლოვების მომხრენი, მაგრამ ორივე ქვეყნის ინტერესები ისე მჭიდროთაა გადაჯაჭვული, რომ მეჯლისი, როგორც შეადგენლობისაც უნდა იყოს იგი, იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას".

კორესპონდენტის შეკითხვაზე — მართალია, თუ არა, რომ სპარსეთის მთავრობამ ინგლისს დაუთმო მრავალ პოლიტიკურ საკითხებში, მათ შორის სპარსეთზე საჰაერო ტრანზიტის საკითხშიაც, ამხ. დავთიანმა განაცხადა:

„სპარსეთი მართლაც სერიოზულ დათმობებზე წავიდა, მან ინგლისის აეროპლანებს სპარსეთის სამხრეთ ნავთსადგურებიდან სატრანზიტო გადაფრენის უფლება მისცა. თუმცა ინგლისელებმა ამ საკითხში ვერ მიაღწიეს იმას, რაც სურდათ, მაგრამ სპარსეთის მთავრობის დათმობა, ჩემის აზრით, მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს დამოუკიდებელ სპარსეთისათვის". (ადს).

სპარსეთის აზერბეიჯანის როლი სპარსეთ - საბჭოთა ვაჭრობაში

(საუბარი საბჭ. კავშირის გენერალურ კონსულთან თავრიზში ამხ. თუმანოვთან)

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული თავრიზში ამხ. თუმანოვი, რომელმაც ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს სპარსეთის აზერბეიჯანის მონაწილეობის შესახებ სპარსეთ-აზერბეიჯანის ვაჭრობაში აცნობა შემდეგი:

„სპარსეთის აზერბეიჯანის საერთო ხვედრითი წონა სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობაში 13 პროცენტს უდრის, კერძოდ საბჭოთა კავშირის იმპორტში—12 პრ.-ს. საბჭ. კავშირის ექსპორტში—14 პრ.-ს.

საბჭოთა კავშირიდან შეტანილ საქონლიდან მთავარ საქონელს შეადგენს შაქარი, იგი სპარსეთის აზერბეიჯანის მთელი საიმპორტო საქონლის 21 პროც. უდრის, ბამბის ქსოვილები შეადგენენ 10 პრ.-ს, ლითონები—10 პროც., ნავთის პროდუქტები—9 პრ.-ს, აქედან შედის აგრეთვე ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭელი, შუშა და სხ. სპარსეთის აზერბეიჯანს საბჭოთა კავშირში შემოაქვს ხმელი ხილი, რომელიც მთელი ექსპორტის 56 პრ.-ს შეადგენს, ტყავი და საფიანი—17 პრ.-ს, ბრინჯი, ბამბა; მატყლი და სხვ.

1926-27 წ. აზერბეიჯანმა უცხოეთიდან შემოიტანა 108.122.000 კრანის (კრანი უდრის 28 კაპეიკს) საქონელი, აქედან საბჭ. კავშირიდან შეტანილი საქონლის ღირებულება უდრის 27.474.000 კრანს, ანუ 20 პრ.-ს. ამავე ხნის განმავლობაში აზერბეიჯანმა გაიტანა 49.987.000 კრანის საქონელი, აქედან საბჭოთა კავშირში—16.719.000 კრანის ანუ 89 პროც.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ხმელი ხილის ექსპორტი სპარსეთის აზერბეიჯანიდან. 1926-27 წ. სპარსეთის აზერბეიჯანიდან გატანილ იქნა 8.194.000 კრანის ხმელი ხილი, აქედან საბჭოთა კავშირში—7.000.000 კრანის ანუ მთელი ექსპორტის 85 პროც". (ადს).

პილსუდსკი რუმინეთში

ვენა, 19 ივლისი. ბუქარესტის გაზეთ „ლუპტა"-ს ცნობით ფრანგ. გენერ. ლერონის ჩასვლას რუმინეთში კავშირი აქვს სამხედრო მოლაპარაკებასთან, საფრანგ.-სა, პოლონეთსა და მცირე ანტანტას შორის. გაზეთი იუწყება, რომ ბუქარესტში ჩასვლამდე ლერონს მოლაპარაკება ჰქონდა აგრეთვე ვარშავში.

ვენის და ბუდაპეშტის პრესას მოჰყავს ხმები რომ რუმინეთში საიდუმლოდ იმყოფება პილსუდსკი. (ადს).

ვენა, 19 ივლისი. თუმცა რუმინეთის მთავრობა ოფიციოზურად იუწყებოდა, რომ პილსუდსკი რუმინეთში არ ჩამოვაო, მაგრამ „უნივერსალი" მაინც იუწყება. პილსუდსკი რუმინეთში მოვიდა კოვნოდან პოლკოვნიკი ვოიჩინსკის თანხლებით. „ლუპტა" საფრანგეთის გენერლის ლერონის გამგზავრებას რუმინეთში უკავშირებს პილსუდსკის მოსვლას. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკა „წითელი დღის" ჩაშლის შესახებ

პრაღა, 19 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც იგი ჩეხო-სლოვაკიის მუშათა კლასს ახსნა-განმარტებას აძლევს „წითელი დღის" მარცხის შესახებ. მოწოდება აღნიშნავს, რომ კომპარტიის წარმატება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ მას მჭიდრო კავშირი ექნება მთელ მუშათა კლასთან, და რომ „წითელი დღის" მარცხი არის მთელი მუშათა კლასის მარცხი. ცეკა გამოსთქვამს რწმენას, რომ მუშათა კლასის ფართე მასები უკმაყოფილონი არიან არსებული მდგომარეობით, მაგრამ რეფორმისტული მოძრაობის გამოცდილებამ მასებს დაუკარგა იმედი, რომ ისინი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში რაიმე შედეგს მიაღწევენ. „წითელი დღის" გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ განსაკუთრებით რევოლიუციონურად განწყობილ აქტივსაც კი არ შეუძლია შესცვალოს მასიური პარტია.

კომპარტია მოუწოდებს პროლეტარიატს, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს პროფესიონალურ ორგანიზაციების გათიშვას. იგი აფრთხილებს მუშებს არ მოსტყუვდნენ ფრაზებით და დაპირებებით და განაგრძონ ბრძოლა მთლიანი ფრონტით. მოწოდების უკანასკნელი ნაწილი ომის მზადებისა და მთლიანი კლასობრივი ფრონტის შესახებ ცენზურამ აკრძალა.

„წითელი დღის" აკრძალვის საპასუხოდ გერმანსგიუტში კომპარტიაში შევიდა შუშეულობის მრეწველობის 154 მუშა. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბურჟუაზიული პრესაც კი იძულებულია მიესალმოს ჰელცს

მოსკოვი, 20 ივლისი. მასების ზეგავლენით ბურჟუაზიული პრესაც კი გახდა იძულებული მისალმებოდა ჰელცს, მისი განთავისუფლების გამო.

„ბერლინერ. ტაგებლატი" სწერს: წინადადება პროცესის გადასინჯვის შესახებ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ჰელცი უსაფუძვლოთ იქნა დასჯილი.

ნაციონალისტური პრესა უკმაყოფილოა ჰელცის განთავისუფლებით. ნაციონალისტების ერთ-ერთი გაზეთი გაბრაზებით სწერს: „საპატიმროდან განთავისუფლებულია ბანდიტების მეთაური".

უკრაინელ თეთრგვარდიელთა „მთავრობა"

მოსკოვი, 20 ივლისი. ბორისოვი „იზვესტიაში" სწერს: როგორც იუწყებიან მცირე ანტანტის ერთ-ერთ სატახტო ქალაქში ივნისში შესდგა პოლონეთის ორიენტაციის უკრაინელ თეთრგვარდიელთა საიდუმლო თათბირი. თათბირს მეთაურობდა ლევიცკი. დაჟინებით ვრცელდება ხმები, რომ თათბირზე მონაწილეობა მიიღეს ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა. შედგენილი იქნა „სახალხო რესპუბლიკის კაბინეტი". მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა ლევიცკი, საგარეო საქმეთა მინისტრათ შულგინი. სამხედრო მინისტრად—სკილსკი.

ახალი საჰაერო მარშრუტები

მოსკოვი, 20 ივლისი. ავიაციის საბჭოს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საჰაერო გზების ქსელის გაფართოება 40.000 კილომეტრამდე. ამჟამად საჰაერო გზების სივრცე 11.500 კილომეტრს უდრის.

განზრახულ ახალ მარშრუტებს შორის არის მარშრუტი თბილისი-ბაქო და თბილისი-პიატიგორსკი.

უცხოელთა მონაწილეობა საკავშირო სპარტაკიადაში

მოსკოვი, 20 ივლისი. საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებს 1.000-მდე უცხოელი. მიღებული ცნობების მიხედვით საზღვარგარეთ ინტენსიურ მზადებაში არიან სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებათ.

რკინისგზის მაგისტრალის ელექტროფიკაცია

მოსკოვი, 20 ივლისი. სათანადო ორგანოების მიერ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი რკინის გზის მაგისტრალის ელექტრიფიკაციის პროექტი მოსკოვსა, ხარკოვსა და დონბასს შუა. სამუშაოთა დამთავრება ნავარაუდევია 1935 წლისათვის. ხარჯთ აღრიცხვით ელექტროფიკაციაზე გაღებულ უნდა იქნეს 248 მილიონი მან.

უკანასკნელი ცნობები

ჰელცი გერმანიის კომპარტიის ცეკაში

ბერლინი, 20 ივლისი. დღეს მაქს ჰელცი დაესწრო გერმანიის კომპარტიის ცეკას სამდივნოს სხდომას. სხდომის დასრულების შემდეგ ჰელცს მიესალმენ გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრები. თავის მისალმებაში ებერლეინმა დაახასიათა კომპარტიის წინაშე მდგარი ამოცანები და გამოსთქვა რწმენა, რომ ჰელცი და ამნისტიით განთავისუფლებული სხვა ამხანაგები კვლავ განაგრძობენ რევოლუციონურ ბრძოლას კომპარტიის რიგებში.

საპასუხო სიტყვაში ჰელცმა ხაზი გაუსვა იმ მოვლენას, რომ მისი და ბევრი სხვა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება გამოწვეული იყო პროლეტარიატის ზეგავლენით, რომელსაც მეთაურობს კომუნისტური პარტია. მან ამას თანავე განაცხადა, რომ მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი დაიწყოს მუშაობა კომპარტიის რიგებში.

სხდომა დასრულდა „ინტერნაციონალის" მღერით. (ადს).

მაქს ჰელცის მომავალი მოგზაურობა

ბერლინი, 20 ივლისი. მიუხედავად დიდი დაღლილობისა, რაც შედეგია უკანასკნელი დღეების ნერვიული მდგომარეობისა, ჰელცმა მაინც გადასწყვიტა უახლოეს ხანში ესტუმროს გერმანიის ზოგიერთ მუშათა რაიონებს და პირველ რიგში კი ფოხტლანდის რაიონს, სადაც 1921 წელს იგი ხელმძღვანელობდა რევოლუციონურ ბრძოლებს.

შემდეგ ჰელცი ჩამოივლის რურის ოლქს და ჰალლეს რაიონს (ადს).

ბელა-კუნს ნება დართეს გაიაროს გერმანიის ტერიტორიაზე

ვენა, 20 ივლისი. ბერლინის გაზეთები იტყობინებიან, რომ გერმანიის მთავრობა დასთანხმდა „ავსტრიის მთავრობისათვის მეგობრული პატივისცემის ნიშნად" ნება დართოს ბელა კუნს გერმანიის ტერიტორიაზე გაიაროს.

ლმობიერი საყვედური

ლონდონი, 19 ივლისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის პლენარულ სხდომაზე დაწვრილებით განიხილეს დისციპლინარული ზომების მიღების შესაძლებლობა დეპუტატების მექსტონისა და უიტლის წინააღმდეგ, რომელთაც გააკრიტიკეს პარტიის ოფიციალური პოლიტიკა. ფრაქციამ დაადგინა, ლმობიერი საყვედური გამოუცხადოს მექსტონსა და უიტლის; იგი იმედს გამოსთქვამს, რომ კრიტიკა პარტიის შიგნით „აღარ გასცილდება წესდების ფარგლებს" (ადს).

ხანძარი ვულვიჩის არსენალში

ლონდონი, 19 ივლისი. 12 ივლისს ვულვიჩის არსენალში ხანძარი გაჩნდა, გამოიწვიეს მეხანძრეთა სამი ბრიგადა, რომლებმაც ცეცხლი ჩააქრეს შენობის ერთ ნაწილში. სამხედრო მასალა მთავარ შენობაში უვნებლად გადარჩა. წელს ეს მეორე ხანძარია. შარშან არსენალს რვაჯერ გაუჩნდა ცეცხლი. (ადს).

მასიური მიტინგები და დემონსტრაციები ბერლინში

ბერლინი, 20 ივლისი. მაქს ჰელცის მისასალმებლათ გამართული მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ რამოდენიმე ასეული ათასი მუშა, უკანასკნელ წლებში გამართულ პროლეტარულ ყველა დემონსტრაციებზე უფრო გრანდიოზული და მრავალრიცხოვანი იყო. ვედინგის რაიონის დიდი მოედანი სავსებით გაჭედილი იყო დემონსტრატებით რომლებიც იშვიათი აღფრთოვანებით და სიხარულით შეხვდნენ წითელი დროშებით მორთულ საბარგო ავტომობილს, რომლითაც დემონსტრაციაზე მოვიდნენ ჰელცი და ამნისტიით განთავისუფლებული გერმანიის კომპარტიის სხვა წარმომადგენლები.

დემონსტრაციაზე სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გაიმართა მანიფესტაციები მუშათა რაიონებში, რომლებიც მორთული იყვნენ წითელი დროშებით.

უდიდესი დემონსტრაცია, რომელიც გაიმართა მაქს ჰელცის მისასალმებლათ ლიუსტგარტენში და მის მახლობელ მოედნებზე და ქუჩებში, ისეთი მრავალრიცხოვანი იყო როგორიც არ ყოფილა უკანასკნელი 5—6 წლის განმავლობაში. ჰელცი გამოვიდა სამჯერ. მან განაცხადა:

„—თუნდაც ხვალვე, რომ მომიწიოს ისევ საკატორღო ციხეში დაბრუნებამ, მე მაინც საქმით დავამტკიცებ, რომ მზათა ვარ ვიბრძოლო პროლეტარული საქმისათვის. მე კვლავ ჩამთვალეთ კომპარტიის ბრძოლის სადარაჯოზე მყოფათ.

მასიურ მიტინგზე აღმართული იყო 25 ტრიბუნა. სიტყვებით გამოდიოდნენ გერმანიის კომპარტიის, წითელ ფრონტელთა კავშირის და გერმანიის „რემედასის" წარმომადგენლები

ჩაფუშული ტრიუმფი

ნიუ-იორკი, 20 ივლისი. კელოგის ცდამ, რომ მრავალმხრივი ხელშეკრულება ომის აკრძალვის შესახებ გადაექცია ამერიკის დიპლომატიის ტრიუმფათ და ამით მიეცა ერთგვარი უპირატესობა რესპუბლიკელებისათვის მომავალ საარჩევნო კამპანიაში, ფიასკო განიცადა.

რესპუბლიკანელების სამი ხელმძღვანელი ორგანო—„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნ", „ნიუ-იორკ—ივნინგ პოსტ" და „ჩიკაგო ტრიბუნ"-ი სასტიკად აკრიტიკებენ ხელშეკრულებების პროექტს და კიცხავენ კელოგის ასეთ ცდას. გაზეთების აზრით ხელშეკრულება არაფერს მისცემს შეერთებულ შტატებს, სამაგიეროთ ჩაბამს ევროპის სხვა და სხვა საქმეებში.

გაზეთები ურჩევენ სენატს არ მოახდინოს აღნიშნული ხელშეკრულებების რატიფიკაცია.

ჯარების გაგზავნა ეგვიპტის ქალაქებში

ლონდონი, 20 ივლისი. ალექსანდრიიდან მოსული ცნობებით, ეგვიპტის მთავრობამ დაგზავნა ჯარის ნაწილები ეგვიპტის ყველა მსხვილ ქალაქებში. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის გარშემო

ამუნდსენის კვალი ვერ იპოვეს

„ლატამ"-ის უიმედო ძებნა

ოსლო, 19 ივლისი. დათვის კუნძულზე ხელახლად სწარმოებდა „ლატამ"-ის ძებნა იმ ხმებთან დაკავშირებით, თითქოს ორმა მეთევზემ იპოვა იქ აეროპლანის (როგორც ფიქრობდნენ „ლატამ"-ის) კვალი. ძებნამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ამ ხმებს სრულიად უსაფუძვლოდ სთვლიან.

19 ივლისს კინგსბეიში დაბრუნდა „კრასინ"-ი და ჩამოიყვანა მის მიერ გადარჩენილი „იტალია"-ს ექსპედიციის მონაწილენი.

გადარჩენილთა გარეგანი შეხედულება დამაკმაყოფილებელია, გარდა მარიანოსი, რომელსაც ფეხი მოსჭრეს. ექსპედიციის მონაწილეებს აღტაცებით მიესალმა „ჩიტა დი მილანო"-ს ეკიპაჟი. (ადს).

რადიო „მალიგინი"-დან.

ყინულის მჭრელი „მალიგინი", 20 ივლისი. ყინულის მჭრელი „მალიგინი" სტორფიორტში წააწყდა გაუვალ მრავალწლოვან ყინულს, რომლის სისქე 10 ფუტს უდრის. აეროპლან „ლატამ"-ის კვალი არსად არ აღმოჩნდა. (ადს).

ნილსონი ნობილეს ექსპედიციის შესახებ

სტოკჰოლმი, 19 ივლისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„შვეციის მფრინავი ნილსონი, რომელიც შპიცბერგენიდან ნარვიკში დაბრუნდა, სტოკჰოლმში გაფრინდება აეროპლან „უპლანდ"-ით ჟურნალისტებთან საუბარში ნილსონმა აღწერა ის მოკლე საჰაერო დაზვერვა, რომელიც მან მოახდინა. ნილსონი დარწმუნებულია, რომ „იტალია"-ს ექსპედიციის 7 მონაწილე, რომლებიც დირიჟაბლმა გაიტაცა, და აგრეთვე „ლატამ"-ის ეკიპაჟი, დაღუპულია. ნილსონი ფიქრობს, რომ მალმგრემის გვამის მოსაძებნად არაფრის გაკეთება არ შეიძლება".

მუსოლინის ცენზურა

რომი, 19 ივლისი. სტეფანის სააგენტო იუწყება:

დირიჟაბლ „იტალია"-ს დღემდე გადარჩენილი მონაწილენი დაუყოვნებლივ სამშობლოში იგზავნებიან.

მუსოლინიმ ფორმალურად უბრძანა ექსპედიციის წევრებს თავი შეიკავონ ყოველგვარი ცნობის გაცემის დეკლარაციებისა და ინტერვიუსაგან". (ადს)

ამერიკის პრესა „კრასინ"-ის გმირობის შესახებ

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. გაზეთების უმრავლესობა მოითხოვს, რომ დაწვრილებით იქნეს გამოძიებული იტალიის არქტიკულ ექსპედიციისათვის მზადების, ნობილეს გადარჩენის და მალმგრემის დაღუპვის პირობები.

რადიკალური „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნ"-ი ვილიერის ჯგუფის გადარჩენის შესახებ სწერს:

„როდესაც დადგება პატივისცემის დრო, საბჭოთა ექსპედიციას უნდა ხვდეს პატივისცემის და ქების მთავარი ნაწილი. ჩვენ აღტაცება უნდა გამოვთქვათ „კრასინ"-ის ეკიპაჟის და საბჭოთა მფრინავების მუშაობის გამო. რადიოკავშირი საბჭოთა ექსპედიციის ცალკე ნაწილების შორის სამაგალითოდ იყო დაყენებული, რასაც ხაზი უნდა გაესვას, ვინაიდან რადიოკავშირი გემსა და აეროპლანს შორის პოლარული ქვეყნების პირობებში ძლიერ გაძნელებულია. რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა მეცნიერების ახალ დარგებს. ამ ქვეყნის სიღატაკე და განმარტება უდიდეს დაბრკოლებებს უქმნის საბჭოთა მეცნიერებს, მაგრამ ეს დაბრკოლებები კიდევ უფრო დიდ აღფრთოვანებას იწვევს, მათში და ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ რამოდენიმე უსახელო გმირმა რადიო-სამსახური საბჭოთა არქტიკული ექსპედიციის დროს მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა" (ადს).

ახალი მოსავლის პურის დამზადება

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 20 ივლისი. რადგან წარსულ შუა ზამთარში პურის დამზადების საქმე ცუდად მიმდინარეობდა და ამან მოსახლეობის პურით მომარაგება დიდად გააძნელა, ამიტომ საბჭოთა კავშირის მთავრობა იძულებული გახდა, მიმდინარე წლის იანვრიდან სხვადასხვა საგანგებო ზომისთვის მიემართა პურის დამზადების გასაძლიერებლად. ამ ზომებს საბჭოთა კავშირის მთავრობამ იმიტომ მიმართა, რომ მოკლე ხნის განმავლობაში სხვა საშუალებით შეუძლებელი იყო მოსახლეობის მომარაგება პურით. ეს საგანგებო ზომები მიმართული იყო იმ სპეკულიანტებისა და კულაკების წინააღმდეგ სოფლად, რომლებიც ცდილობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს გაჭირვებული მდგომარეობა თავიანთი პირადი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ.

ცუდი ამინდის წყალობით შემოდგომის ნათესის თვალსაჩინო ნაწილის (15 მილიონ დესეტინაზე მეტი) გაფუჭებამ პურის მთავარ რაიონებში (უკრაინა, ჩრდილოეთი კავკასია და ზოგიერთი სხვა რაიონი) და გაზაფხულის თესლით მათი ხელახლა დათესვის საჭიროებამ კიდევ უფრო გააძნელა მდგომარეობა.

პურის დამზადების საქმეში მიღებული საგანგებო ზომები ბევრ რაიონში შეეხო გლეხობის არა მარტო კულაკურ, არამედ უფრო ფართო ფენებსაც. ამიტომ ამ დროებითმა ზომებმა, აგრეთვე იმ ადგილობრივი ორგანოების მოქმედების დამახინჯებამ და შეცდომებმა, რომლებსაც ეკისრებოდათ პურის დამზადება, თვითდაბეგვრის ჩატარება და სესხის განაწილება, გლეხობის ერთ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია.

პურის ნაკლებად დამზადებამ, მეტადრე აპრილის თვიდან, მთავრობას საშუალება არ მისცა, რომ საჭირო დახმარება გაეწია გლეხობის იმ ულარიბესი ფენებისათვის, რომლებიც გაზაფხულზე პურს ყიდულობენ. თუმცა გაძნელებული იყო მოსახლეობის მომარაგება პურით, მაგრამ მთავრობამ ყოველი ზომა მიიღო, რომ დახმარებოდა გლეხობის ძირითად მასას —საშუალო და ღარიბ გლეხებს. მიწების დამუშავებაში, იმ ადგილების ხელახლა დათესვაში სადაც გაფუჭდა შემოდგომის ნათესი, გაზაფხულის ნათესის გაფართოებაში და მით უზრუნველყო ახალი მოსავლის პურის ნორმალური დენა ბაზარზე. ასეთი დახმარების აღმოსაჩენად მთავრობამ გაიღო ფულის დიდი თანხები და დაახლოვებით 80 მილიონი ფუთი სათესლე.

ამჟამად აარსებული ცნობების მიხედვით, წლევანდელი წლის მოსავალი საბჭოთა კავშირში საშუალოდ შარშანდელზე უკეთესი იქნება. ამ წლის უკეთესი მოსავლის წყალობით, გლეხობას საშუალება აქვს მოამარაგოს მოსახლეობა პურის ნაწარმოებით. დამდეგ წელიწადს მოსალოდნელია სოფლის თვალსაჩინოდ მომარაგება სამრეწველო საქონლით. ყოველივე ეს სრულ საშუალებას ჰქმნის, რომ პურის დამზადების საქმე წარმატებით განვითარდეს ყოველგვარი საგანგებო ზომების გარეშე.

პურის განვლილი კამპანიის გამოცდილება ავალებს ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოს, მეტადრე პურის დამამზადებელ ორგანოებს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ პურის დამზადების საქმეს და მისი ჩატარების დროს სრული ანგარიში გაუწიონ საშუალო და ღარიბი გლეხობის მოთხოვნილებასა და საჭიროებას.

ამასთანავე მთავრობა ყოველგვარ ზომას ხმარობს, რომ გამოსწორდეს საგანგებო ზომების მიღების დროს ჩადენილი შეცდომები. მთავრობის აზრით, ახალი მოსავლის პურის დამზადების წარმატებით განვითარებისათვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს პურის ფასის გადიდება განვლილ წელთან შედარებით. იმ მიზნით, რომ გლეხობამ გააფართოოს დასათესი ადგილები, გაადიდოს მოსავლიანობა და აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას პურის ნორმალურად დამზადება, საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. აღიკრძალოს ყოველგვარი საგანგებო ზომების ხმარება და დაევალოს ხელისუფლების ყველა ორგანოს:

ა) დაუყოვნებლივ შესწყდეს გლეხობისაგან პურის იძულებითი ჩამორთმევის ყოველგვარი საშუალება: მაგალითად: კარ-მიდამოების ჩამოვლა, ჩხრეკა ზედმეტი პურის ჩამორთმევის მიზნით, გაუსამართლებლად დაპატიმრება და სხვა ასეთი საშუალება, აგრეთვე გლეხების პასუხისგებაში მიცემა ბაზარზე პურის გამოუტანლობის გამო და სხვ. ბ) დაუყოვნებლივ შესწყდეს ყოველგვარი აკრძალავი ზომა ბაზრებისა და სოფლის ფარგლებში არსებული ბრუნვის მიმართ, მაგალითად: პურის ბაზრების დახურვა, გზების შემკვრელი რაზმების გამოყვანა, ბაზარზე პურის გამომტანი გლეხების იძულებულყოფა, რომ პური მიჰყიდონ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და სხვ.

2. გადიდებულ იქნას დასამზადებელი პურის ფასები. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაუყოვნებლივ დააწესოს და გამოაქვეყნოს ახალი სადირექტივო ფასები პურის სხვადასხვა კულტურაზე. ფასების დაწესების დროს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა ანგარიში უნდა გაუწიოს სხვადასხვა რაიონის რაგვარობას (მეურნეობის პირობათა განსხვავება, კულტურათა თანაშეფარდება და სხვ.) ფასების გადიდება დაახლოებით შემდეგი რაოდენობით უნდა მოხდეს: ფუთ ხორბალზე საშუალოდ უნდა მოემატოს: უკრაინაში—18 კაპ., ჩრდილოეთ კავკასიაში—20 კაპ., ციმბირში 10 კაპეკი. ფუთ ჭვავზე, მაგალითად, ცენტრალურ შავ მიწიან რაიონში დაახლოვებით 18 კაპ. უნდა მოემატოს. რადგან საქონლის საკვებზე დიდი მოთხოვნილებაა, გადიდდეს ფასი აგრეთვე შვრიასა და სხვა საკვებ კულტურებზე.

3. დაევალოს ვაჭრობის სახ. კომისარიატს, რომ გლეხობამ დროიანად და დაუბრკოლებლად მიიღოს მრეწველობის საქონელი იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს თვითეულ რაიონს პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა დამზადების დროს.

4. რადგან ჩვენ ქვეყანას დიდ ზარალს აყენებს დიდძალი მარცვლეულის ხარჯვა არაყის ხდაზე, დაევალოს ხელისუფლების ყველა ორგანოს, აწარმოონ უფრო გადამწყვეტი ბრძოლა არაყის ხდის წინააღმდეგ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
რიკოვი.

საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
მიროშნიკოვი.

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის დირექტივა

დასამზადებელი პურის ახალი ფასების შესახებ

მოსკოვი, 20 ივლისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარმა ამხ. მიქოიანმა ადგილობრივ ორგანოებს დაუგზავნა სადირექტივო მითითებანი პურის ახალი ფასების შესახებ 1928—29 წლის პურის დამზადების კამპანიის დროს და წინადადება მისცა მათ გაატარონ ცხოვრებაში ეს მითითებანი არა უგვიანეს ორი დღის ვადისა.

პურის დასამზადებელ მთავარ რაიონებისათვის დაწესებულია შემდეგი სადირექტივო ფასები პურის მთავარ სახეებზე (საშუალო ფასები ყოველი რაიონისათვის): თათართა რესპუბლიკისათვის: ჭვავი—85 კაპ., ხორბალი—1 მან. 25 კაპ., შვრია—78 კაპ., ბაშკირეთის რესპუბლიკისთვის: ჭვავი—85 ნახ. კაპ., ხორბალი—1 მან. 26 კაპ., შვრია 73 კაპ., ვოლგის მიდამოების შუა ნაწილისთვის: ჭვავი—90 კაპ., ხორბალი—1 მ. 81 კაპ.; შვრია—76 კაპ.; ქერი—92 კაპ., ვოლგის მიდამოების ქვემო ნაწილისთვის: ჭვავი—90 კაპ.; ხორბალი—1 მან. 35 კაპ., შვრია—78 კაპ.; ქერი—92 კაპ.; ცენტრალურ შავმიწიან რაიონისთვის: ჭვავი—96 კ.; ხორბალი—1 მან. 30 კაპ.; შვრია—82 კაპ.; ქერი —92 კაპეკი ურალისთვის: ჭვავი— 85 კაპეკი. ქერი 1 მანეთი 16 კაპ.; შვრია—75 კაპ.; ქერი—92 კაპ.; ციმბირისთვის ჭვავი—68 კაპ.; ხორბალი—1 მან.; შვრია—58 კაპ.; ქერი—75 კაპ., კაზაკსტანისთვის: ჭვავი—62 კაპ., ხორბალი—1 მან. 10 კაპ.; შვრია—63 კაპ., ქერი—80 კაპ., უკრაინისთვის: ჭვავი—95 კაპ.; ხორბალი—1 მანეთი 32 კაპ., შვრია—80 კაპ., ქერი—92 კაპ., ჩრდილოეთ კავკასიისთვის: ჭვავი—90 კაპ.; ხორბალი—1 მან. 28 კაპ., შვრია—78 კაპ., ქერი—92 კაპ., ყირიმისთვის: ჭვავი—95 კაპ.; ხორბალი—1 მან. 35 კაპ., შვრია—80 კაპ., ქერი—92 კაპ.

ეს სადირექტივო ფასები შეეხება შემდეგი ღირსების პურს: ჭვავი სამხრეთ რაიონებში (უკრაინა, ჩრდილოეთი კავკასია, ყირიმი)—119 მისხალი, ცენტრალურ რაიონებში (ვოლგის მიდამოების შუა და ქვემო ნაწილები, ცენტრალური შავმიწიანი რაიონი და დასავლეთი კაზაკსტანი) 117 მისხალი, თათართა რესპუბლიკაში, ბაშკირეთის რესპუბლიკაში და ვიატკა-ვოტიაკების რაიონში—114 მისხალი, აღმოსავლეთ რაიონებში (ციმბირი, ურალი და აღმოსავლეთ კაზაკსტანი—115 მისხალი. ხორბალი სამხრეთ რაიონებში: შემოდგომისა—125 მისხალი, გაზაფხულისა, რბილი—127 მისხალი; ცენტრალურ რაიონებში: შემოდგომისა—რბილი—124 მისხალი; გაზაფხულისა, რბილი—124 მისხალი, აღმოსავლეთ რაიონებში: გაზაფხულისა, რბილი—127 მისხალი. შვრია სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში—72 მისხალი, ცენტრალურ რაიონებში—70 მისხალი. ქერი სამხრეთ რაიონში—98 მისხალი, თუ მარცვლეული უსუფთაოა და ნარევი პურის მთავარი სახეების ეს ფასები შეფარდებულია საშუალო სისუფთავის მარცვლეულთან. გამონაკლისს შეადგენს მაგარი ხორბალი, რომლისთვისაც აღმოსავლეთ რაიონებში დაწესებულია საბაზისო ხარისხია „სუფთა" ხორბალი სამხრეთ რაიონებისათვის კი „დაბალი სისუფთავის" ხორბალი. სინესტის მხრით სამხრეთ რაიონებში საბაზისო ხარისხად დაწესებულია „მშრალი" მდგომარეობა, ცენტრალურ რაიონებში „საშუალო სიმშრალის" მდგომარეობა, თათართა რესპუბლიკის, ბაშკირეთის რესპუბლიკის და ვიატკა-ვოტიაკების ოლქის აღმოსავლეთ რაიონებში—„ნესტიანი" მდგომარეობა. ამ კონდიციებთან შედარებით დაბალ თუ მაღალ ხარისხზე (პურისა) ფასი უნდა მოემატოს ან დააკლდეს.

შარშანდელთან შედარებით ეს ფასები შესამჩნევად არის გადიდებული, ამასთან ფასები სხვადასხვა რაიონში სხვადასხვანაირადაა გადიდებული იმის გამო, რომ საჭიროა ფასების მეტი შეფარდება სხვადასხვა რაიონებს შორის ეკონომიურ თავისებურებათა მიხედვით. ყოველი ზემო აღნიშნული ფასი საშუალოა მთელი რაიონისათვის. ცალკე ოლქებსა, მაზრებსა და პუნქტებში ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ კონკრეტული შესათანხმებელი (საკონვენციო) ფასები დასამზადებელ პურზე და ამ ფასების მიხედვით უნდა სწარმოებდეს პურის დამზადება. ფასი, რომელიც მიეცემა, დამოკიდებული იქნება ამა თუ იმ რაიონის საკონვენციო ფასზე და გაყიდული პურის ხარისხზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ფასები, სადირექტივო ფასებთან შედარებით, ერთ ან მეორე მხარეს გადიხრებიან. რესპუბლიკებსა და ოლქებს წინადადება მიეცათ, რომ ორი დღის განმავლობაში, არა უგვიანეს 26 ივლისისა, შეიმუშაონ შესათანხმებელი ფასები და აუწყონ პურის დამამზადებელ პუნქტებს, რათა პურის დამზადება აწარმოონ ამ ფასების მიხედვით. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დირექტივები დაგზავნა აგრეთვე ისეთი ფასების დაწესების შესახებ მომიჯნავე ზოლში (ოლქებსა და გუბერნიებს შუა), რომლებიც არ დაარღვევენ მომიჯნავე რაიონების მუშაობის ნორმალურ პირობებს.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ადგილობრივ ორგანოებს აცნობა ფასის დაკლებისა და დამატების ნორმები ხარისხის მიხედვით (ბონიფიკაცია და რეფაქცია). კომისარიატმა წინადადება მისცა მათ, რომ დაწესებული ნორმები მტკიცედ დაიცვან, ხოლო ნორმების დამრღვევნი სასტიკ პასუხისგებაში მისცენ.

სამოქალაქო ავიაციის განვითარების 5 წლ. გეგმა

მოსკოვი, 20 ივლისი. საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის საბჭომ ამხ. ბარანოვის თავმჯდომარეობით ორ უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ამხ. ზარზარას მოხსენება საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ამ გეგმის თანახმად, საჰაერო მიმოსვლის საერთო ქსელი 1928 წელს გადიდდა 11.500 კილომეტრამდე, ხოლო 1932-33 წლისათვის გადიდდება 40.000 კილომეტრამდე. გათვალისწინებულია შემდეგი დიდი ახალი ხაზების მოწყობა: მოსკოვ-ირკუტსკი, ალმა-ატა-სემიპალატინსკი, მოსკოვ - ტაშკენტი, არხანგელსკ - უსტ - ცილმა, პიატიგორსკ - თბილისი (კავკასიის უღელტეხილზე), თბილის-ბაქო, ხარკოვ-ოდესა, ირკუტსკ - ვლადივოსტოკი, კრასნოიარსკ - ტურუხანსკი, ომსკ-ტობოლსკ - ობდორსკი. გათვალისწინებულია აგრეთვე საჰაერო კავშირის დამყარება საბჭოთა კავშირის მეზობლად მდებარე მთელ რიგ სახელმწიფოებთან.

საბჭომ გადასწყვიტა — დაადგეს მტკიცე კურსს საბჭოთა თვითმფრინავების და მოტორების წარმოებისა და მათი გავრცელების საქმეში.

სამოქალაქო ავიაციის განვითარების დამტკიცებული გეგმა განსახილველად შეტანილი იქნება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში (ადს).

საბჭ. კავშირი—სექსუალური რეფორ. კონგრესზე

მოსკოვი, 20 ივლისი. უცხოეთთან კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოებამ მიიღო ცნობა, რომ სექსუალური რეფორმის საკითხების შესახებ კოპენჰაგენში გამართულ საერთაშორისო კონგრესზე მოსკოველმა ექიმმა ბატკისმა გააკეთა მოხსენება „სექსუალური პრობლემა საბჭოთა კავშირში" მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კონგრესის მიერ გამოტანილ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კანონმდებლობა ამ საკითხზე ნიმუშად უნდა გადაიქცეს დანარჩენი ქვეყნებისათვის (ადს).

პარტიული ცხოვრება

ნიჟნი-ნოვგოროდის საგუბერ. კომიტეტის პლენუმი

ნიჟნი-ნოვგოროდი, 20 ივლისი. საგუბერნიო კომიტეტის პლენუმზე, პარტაქტივის თანადასწრებით, მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტომსკი. მოხსენება შეეხებოდა ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ს პლენუმის შედეგებს. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ც. კ.-ს გადაწყვეტილებანი სწორად არის აღიარებული. (ადს).

ბაქოს პარტაქტივის კრება

ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ

ბაქო, 20 ივლისი. გუშინ საღამოს შესდგა აზ.კ.პ.(ბ) ბაქოს ორგანიზ. გაფართოებული აქტივის სხდომა, რომელზედაც ამხ. მამია ორახელაშვილმა და ამხ. მუსაბეკოვმა გააკეთეს მოხსენება საკ.კ.პ. (ბ) ცეკას უკანასკნელი პლენუმის შედეგების შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში აქტივი სწორად სცნობს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებს და მთლიანად და სავსებით უერთდება მათ. კერძოდ ბაქოს პარტორგანიზაციის აქტივი სრულიად სწორად და თანადროულად სცნობს ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებას სასოფ.-მეურნეობის მარცვლეულის დარგის განვითარებისა და მისი საქონლიანობის აწევის შესახებ. სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომ მაქსიმალურ განვითარებასთან ერთად აუცილებლად საჭიროა ხელის შეწყობა იმ წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობის ნაყოფიერების ასამაღლებლად, რომელიც კიდევ დიდხანს იქნება სასმეურნეობის მარცვლეულის ბაზა. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილებას წვრილ და მსხვილ ინდივიდუალურ მეურნეობისათვის ხელის შეწყობის შესახებ პარტაქტივი სრულიად სწორად სცნობს, პარტაქტივი აღნიშნავს, რომ საგრძნობი ღონისძიებანი, მიღებული თავის დროზე პურის დამზადების დარგში გამოწვეული იყვნენ აუცილებლობით და რომ ამ ღონისძიებათა განხორციელებამ ხელი შეუწყო პურის დამზადების კამპანიის დამაკმაყოფილებლად დამთავრებას, მაგრამ ამავე დროს პარტაქტივი საჭიროდ სცნობს შემდგომი დამზადების სწორი მსვლელობის უზრუნველყოფას ისე, რომ მომავალში საჭირო აღარ იქნეს ამ საგანგებო ღონისძიებათა მიღება, და უერთდება ამ საკითხში საკ. კ.პ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილებას.

აქტივი სწორად სცნობს პლენუმის გადაწყვეტილებებს მუშათა კლასის რიგებიდან გამოსულ წითელ სპეციალისტთა კადრების მომზადების შესახებ, აგრეთვე პროლეტარული სტუდენტობისათვის საჭირო მატერიალურ საშუალებათა უზრუნველყოფისა და ამ სტუდენტობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

პარტაქტივი წინადადებას აძლევს აზ.კ.პ.(ბ) ბაქოს კომიტეტს გაატაროს ბაქოს ორგანიზაციაში ფართო კამპანია ცეკას პლენუმის შედეგების განსამარტებლად და მის ყველა გადაწყვეტილების დასამუშავებლად.

რა აფერხებს ქალთა შორის მუშაობას

(შორაპნის მაზრა)

პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს ქალთა შორის მუშაობას და ის თავისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად დარგათ მიაჩნია. ხელმძღვანელი ორგანოები მუდამ იმას გვიკარნახებენ, რომ ყოველგვარი ზომები მივიღოთ მშრომელ ქალთა აქტივობის ასაწევად. წამოვაყენოთ მათი უფრო მომზადებული ნაწილი საპასუხისმგებლო ადგილებზე და ქალთა მასა ფართოდ ჩავაბათ საზოგადოებრივ მუშაობაში.

ყველა ამ ამოცანების შესრულებას წინ ეღობება დახავსებული ოჯახური ტრადიციები და ათასგვარი ცრუ-მორწმუნეობა, რომელთაგანაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ თავისუფალი არ არის.

სამწუხაროდ მეშჩანური შეხედულება ქალზე კომუნისტების წრეშიაც ხშირია. ჩვენს მაზრაში ბევრ პასუხისმგებელ კომუნისტს ქალთა საკითხი „მოკლედ" ასე აქვს გადაწყვეტილი: რად მინდა „კომუნისტკა".

და ან კომკავშირელი,
მისგან სიამოვნებას
სრულიადაც არ ველი,
დილიდან საღამომდე
სულ კრება, კრება, კრება,
შინ კი ძუძუმწოვარი
უძუძუობით კვდება....

აი ფაქტიც: გასული წლის დასასრულს კომკავშირის სამაზრკომმა ლაშქრობა ჩაატარა. ლაშქრობაში სხვებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ ცოლი და ქმარი—კომკავშირელები, ცოლი—სანიტარულ რაზმში იყო, ქმარი კი—ტყვიამფრქვეველ რაზმში. როცა ეს მდგომარეობა დაინახა პარტიულმა ამხანაგმა კაპანაძემ, სთქვა: „ასეთ ქალს სახლში ერთი წუთითაც არ შემოუშვებო".

მეორე მაგალითი: შორაპნის მაზრაში არის ერთი მოსამართლე, რომელსაც, როგორც ეტყობა არაჩვეულებრივად უყვარს თავისი ბავშვები. აბა რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ხსენებული ამხანაგი მუდამ უსაყვედურებს ცოლს—რა გინდა კრებაზე, შინ წადი, ბავშვებს კარგად მოუარეო.

ასევე იქცევა საზ-ბა „იმერეთის" თავმჯდომარეც. ის შიშობს, რომ მისმა მეუღლემ თავდაცვა-ავიაქიმის კვირეულის დროს მონაწილეობა არ მიიღოს სანიტარული რაზმის გამოსვლაში.

აღსანიშნავი ის არის, რომ ყველა ჩამოთვლილი ამხანაგები, როცა კრებებზე გამოდიან, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ქალების დაწინაურებისა და მათი საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმის შესახებ. მაგრამ სიტყვა სიტყვად რჩება და სინამდვილე კი სულ სხვას გვიჩვენებს.

ეხლა ვნახოთ თუ როგორ გავლენას ახდენს კომუნისტების ასეთი ქცევა უპარტიო მუშებისა და მოსამსახურეების ცოლებზე.

ამას წინად სამაზრკომის ქალთა განყოფილებაში საღამოს მომწყობი კომისიის სხდომა იყო. კომისიის წევრი ქალები გულისტკენით ამბობდნენ:—პარტიულების ცოლები მუდამ გვეუბნებიან, რომ კრებებს დავესწროთ, მონაწილეობა მივიღოთ საზოგადოებრივ მუშაობაში, აქტივობა გამოვიჩინოთ, თვითონ კი ერთ კრებასაც არ ესწრებიან. შინ სხედან და ბავშვებს ალერსით თავს იქცევენ.

საჭიროა პასუხისმგებელმა ამხანაგებმა, პირველ რიგში კომუნისტებმა და კომკავშირელებმა, ნაკლები ილაპარაკონ ქალთა დაწინაურების შესახებ და მეტი ცოცხალი მაგალითი უჩვენონ დანარჩენ მშრომელ მასას. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალთა შორის მუშაობა სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს.

მ. ზვიადაძე.

სამტრედიის რაიკომის პლენუმი

ამას წინად შესდგა სამტრედიის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც უჯრედის მდივნები და თემაღმასკომების თავმჯდომარეებიც დაესწრნენ.

პლენუმმა პირველ საკითხად განიხილა საგაზაფხულო თესვის კამპანიის შედეგები. წინად ამ საქმეს ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცეოდა, წელს კი პარტიის დირექტივების თანახმად დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული. თემებზე მიმაგრებული იყვნენ აგრონომები, რომლებიც ატარებდენ საუბრებს მიწის მავნებლებთან ბრძოლის, თესლეულობის შერჩევისა და სხვა სასოფლო სამეურნეო საკითხების შესახებ.

არ იყო მოგვარებული ტრაქტორებისა და გუთნების მოწოდების საქმე. 1 ტრაქტორი, რომელიც მიღებულ იქნა, ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს. მიწის დამმუშავებელ კოლექტივების დაარსებას მხოლოდ წელს შეუდგენ. საკრედიტო ამხანაგობის მიერ ადგილობრივ დამზადებულ იქნა 5.000 ფუთამდე სათესლე სიმინდი, რომელიც განაწილდა სოფლის კავშირის მითითების თანახმად.

მეორე საკითხად პლენუმმა მოისმინა მოხსენება პოლიტსკოლის გამოშვებაზე. წარსულ წელთან შედარებით,—სთქვა მომხსენებელმა,—სკოლის მსმენელთა მომზადება და მეცადინეობისადმი ინტერესი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ დეფექტები მაინც გვაქვს. სათანადოდ ვერ იყვნენ შერჩეული, სკოლის ხელმძღვანელები, მეცადინეობას დაახლოვებით ესწრებოდა მსმენელების მხოლოდ 65 პროცენტი.

მესამე საკითხი იყო ბიუროების გადარჩევის შედეგთა განხილვა: როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ბიუროები გადახალისებულია 60 პროცენტით. თვითკრიტიკის ლოზუნგი ზოგიერთ უჯრედებში ვერ იქნა გაგებული ისე, როგორც ეს პარტიას ესმის. მაგრამ საერთოდ კამათში და საქმიან მითითებების მიცემაში ამხანაგები ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ.

ბოლოს პლენუმმა მოისმინა მოხსენება ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაზე. ეს საკითხიც როგორც ჩანს არ არის საკმაოდ ნათელი ადგილებზე მომუშავე ამხანაგებისათვის. ზოგჯერ ღარიბ გლეხთა ჯგუფებში ხვდებიან შეძლებული გლეხები, არ სწარმოებს ღარიბთა კრებების საკითხების წინასწარი შერჩევა და დამუშავება და სხვ.

პლენუმმა მოხსენებების ირგვლივ საქმიანი დადგენილებები გამოიტანა.

ხან-კანი.

მიღება ც. პარტსკოლაში

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ცენტრ. პარტ. სკოლაში 1928—29 სამოსწავლო წლისათვის

1) ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. ცენტრალური პარტიული სკოლის ამოცანას შეადგენს მომზადება კვალიფიციურ პარტიულ მუშაკთა, რომელთაც უნდა შესძლონ მოაწყონ და უშუალოდ შეასრულონ საპროპაგანდო და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

ამ ამოცანის მიხედვით ც. პ. სკოლაში მიღებულ იქნებიან ამხანაგები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა) კომპარტიის წევრები, პარტიული სტაჟით არა ნაკლებ 2 წლისა და კომკავშირის წევრები სტაჟით არა უმცირეს 5 წლისა, ბ) ასაკით 20-დან 32 წლამდე, გ) პარტიულ, კომკავშირის, პროფესიონალურ და საბჭოთა აქტიური მუშაობის სტაჟით, დ) წერა-კითხვის კარგად მცოდნე და საერთო პოლიტიკურ მომზადებით საბჭოთა პარტიულ 1 საფეხურის სკოლის, ან საღამოს საბჭოთა პარტსკოლის პროგრამის ფარგლებში.

შენიშვნა: 1) ც.პ. სკოლაში გამოგზავნილთა შორის ქალები უნდა შეადგენდენ არა ნაკლებ 2 პროც..
2) კომკავშირის წევრთა საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს.

2) კურსანტების მიღების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დემობილიზაციის წესით დათხოვნილ წითელ-არმიელებს და განსაკუთრებით იმ ამხანაგებს, რომლებიც ასრულებენ პოლიტიკურ განმანათლებელ საპროპაგანდო მუშაობას სოფლად და ქალაქად და რომელთაც აქვთ სიტყვით გამოსვლის უნარი.

3) მოვლინებულმა უნდა გაიარონ საექიმო შემოწმება, ც.პ. სკოლაში არ მიიღებიან ავადმყოფნი (დაავადებული ვენერიული ავადმყოფობით, ტუბერკულოზით, მძიმე სახის ნევრასტენიით და სხვ.) არ მიიღებიან ისინიც, ვინც მძიმე ავადმყოფობის გადატანის შემდეგ საკმაოდ არ არის გაჯანსაღებული. ინვალიდობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას სკოლაში შესვლისათვის, თუ იგი ექიმის დასკვნით ხელს არ უშლის გონებრივ შრომას.

4). ც.პ. სკოლაში გასაგზავნ კანდიდატების შესარჩევათ მაზრკომების და ოლქკომების აგიტპროპებთან უნდა მოეწყოს გადამრჩევი კომისიები.

5) ც. პ. სკოლაში სწავლება 3 წლიანია, თითოეული კურსანტი ღებულობს სრულ კმაყოფას ტანსაცმლით, კვებას, სარგებლობს საერთო საცხოვრებლით და უფასო სახელმძღვანელოებით.

6) კურსანტთა ოჯახების უზრუნველყოფას სკოლა არ კისრულობს.

7) კურსანტები მისაღებ გამოცდებზე უნდა გამოცხადდენ 20—25 სექტემბერს.

8) თითოეულ მოვლინებულ ამხანაგს თან უნდა ჰქონდეს სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების საბუთი, ხელწერილი იმის შესახებ, რომ იგი იცნობს მიღების პირობებს და გამომგზავნ ორგანიზაციის მიერ მოცემულ მოკლე დახასიათება.

9) მოვლინებულთა საგზაო ხარჯები, როგორც სკოლაში მოსვლის დროს, ისე მათი უკან დაბრუნების შემთხვევაში უნდა იკისრონ გამომგზავნმა ორგანიზაციებმა.

10) ცეკა ავალებს პარტ. ორგანიზაციებს მიაქციონ სერიოზული ყურადღება ამხანაგების შერჩევის დროს საერთო განათლებას, პოლიტიკურ მომზადებას, პრაქტიკულ მუშაობას, სოციალურ მდგომარეობას, ჰასაკს და მტკიცედ დაიცვან მიღების ყველა პირობები.

ადგილების განაწილება ცენტრალურ პარტსკოლაში 1928—29 წლ.

1.	თბ. ორგ. ქ. თბ. და მისი მაზრით	38	კაცი
2.	აფხაზეთის საოლქო კომიტეტს	4	„
3.	აჭარისტანის საოლქო კომიტეტს	4	„
4.	სამხ. ოსეთ. საოლქო კომიტეტს	3	„
5.	თელავის სამაზრკომს	3	„
6.	სიღნაღის „	3	„
7.	გორის „ (ბორჯ. ხაზ.)	4	„
8.	შორაპნის (ჭიათურა)	3	„
9.	ქუთაისის „	3	„
10.	ახალსენაკის „	3	„
11.	ზუგდიდის „	3	„
12.	ფოთის პარტკ. „	2	„
13.	ოზურგეთის „	3	„
14.	სვანეთის „	1	„
15.	ლეჩხუმის „	3	„
16.	რაჭის „	3	„
17.	დუშეთის „	2	„
18.	ბორჩალოს „	3	„
19.	ახალციხის „	3	„
20.	ახალქალაქის „	3	„
21.	ცეკას ქალთა განყ. „	4	„

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი **ლ. ღოღობერიძე.**
ც. კ. აგიტპროპ. განყ. გამგე: **ს. მამულია.**

პროლეტარული მოსკოვი*)

ქალთა აქტივობასა და შრომაზე სპეციალურად უნდა ვილაპარაკოთ.

აქ რაღაც საკვირველება ხდება პირდაპირ. მოსკოვის მაგალითი ყირამალა აყენებს ნაწილობრივ დღესაც მოქალაქეობრივ უფლება მოპოვებულ იმ შეხედულებას, რომ ქალი ერთი საქმეა და მამაკაცი კიდევ მეორე. ოქტომბრის რევოლუციამ საკმაოდ აღმოფხვრა ასეთი ყალბი და მავნე შეხედულება. აღმოჩნდა, — მიუხედავად ფიზიკურ კონსტრუქციის სხვადასხვაობის, ქალსა და მამაკაცს შორის თამამად დაისმება იგივეობის ნიშანი. სამწუხაროდ, ყველგან არ არის ეს ასე. მოსკოვი კი ასე ფიქრობს, კიდევ მეტი—ამას ატარებს ცხოვრებაში.

ისტორიამ იცის დედაკაცების თავგანწირული ბრძოლა მუშათა განთავისუფლებისათვის. 1871 წ. საფრანგეთის ამბები ადასტურებს მშრომელ ქალთა გმირობას დაჩაგრულთა ინტერესების სადარაჯოზე. პარიზის კომუნამ ჩვენ მოგვცა მუშა ქალების თავგამოდებული ბრძოლის მეტად ლამაზი, მიმზიდველი დაუვიწყარი მაგალითები, ახსოვს ეს ისტორიას, ახსოვს..

„მოსკოვის კომუნამ" თითქმის დავიწყებული „ახსოვნა" გამოაცოცხლა — უფრო დიდი და გრანდიოზული მასშტაბით — ისტორიის მეხსიერებაში. მოსკოვის მუშა ქალი განსახიერებაა ახალი, მებრძოლი დედაკაცის, უჩვეულო ადამიანის, რომლის კვალი ღრმად აჩნდება სოციალიზმის მშენებლობის ეკლიან გზაზე.

დიდი ხანია გაკოტრდა და გამოიფიტა ბურჟუაზიული ეთიკა, მორალი, ფილოსოფია, ბურჟუაზიის გონება და ფსიხიკა. კერძოთ, აშკარად მოსჩანს ეს „ქალთა საკითხში". ოტტო ვეინინგერი ან ჭკუიდან შეიშლებოდა, ან თვით - მკვლელობის აქტს ხელმეორედ გაამეორებდა თანამედროვე მოსკოვის თანამედროვე ქალები რომ ენახა. ბურჟუაზიამ არ იცის ქალის თავისუფალი, თანასწორი შრომა. განა საჭიროა ამის დასურათხატება შორეულ წარსულით? დღევანდელ „განათლებულ" გერმანიაში ირონიაა და სარკაზმი მშრომელი ქალის მდგომარეობა, — დემოკრატიულ, კიდევ „მეტი" — სოციალ - დემოკრატიულ. ჰერმან მიულერის რესპუბლიკაში, ამას წინედ ჟურნალებში დაიბეჭდა, მეტად საინტერესო კორესპონდენცია ბერლინიდან: თითოეულ მოსამსახურე ქალის რედიკული საშინაო აფთიაქს წაავგავს, სადაც ინახება ყოველგვარი „საშუალებანი" ორსულობისა და სიფილისის წინააღმდეგ. ასე ესმის მიულერის ბერლინს ქალთა შრომა, ემანსიპაცია, თავისუფლებისა და თანასწორობის ლამაზი სიტყვები.

მოსკოვი? მოსკოვი აქაც ხომ დიამეტრალურ დაპირისპირებაში იმყოფება ევროპასთან. მოსკოვის მშრომელი, მუშა ქალი მეხი და რისხვაა ადამიანის უფლების — დედაკაცის პიროვნების აბუჩად აგდების, გამასხარავების. ოქტომბერმა წარმოშვა ახალი ქალი, რომელიც არ საჭიროებს ხელოვნურ „შეღავათებს", რომლებიც ხშირად ნუ გვეწყინება — ფარულ ირონიას იწვევს. მოსკოვის ქალი „შეღავათს" არ ეძებს, პირიქით, ის ებრძვის ხშირად „შეღავათს", რადგან ეს „დამცირებათ" უფრო მიაჩნია მას. აქ მშრომელი ქალი თითონ ანხორციელებს თავის უფლებას, ასეა ეს მოსკოვში, ალბად, ასეა სხვა დიდ ქალაქებში, მაგრამ არა ნაციონალურ ერთეულებსა და ოლქებში. „განაპირა" ქვეყნები კიდევ დიდხანს, — ძალიან დიდხანს,—მოუნდებიან მოსკოვის მოწინავე მუშა ქალის ცოცხალ სილუეტების მიღებას. სოციალ-კულტურულ და ეკონომიურ ჩამორჩენილობაში.

კონკრეტიულ მაგალითებით ვილაპარაკოთ.

ჩვენში, მაგ. საქართველოში, ფართოდაა ქალთა წამოყენება დაყენებული. მაგრამ სადა ვართ მოსკოვიდან, რამდენად დაშორებული, ვერც წარმოიდგენთ. ვფიქრობ, მოსკოვს აქ დაშორებული ვართ 3019 კილომეტრით, ე. ი. იმ გეოგრაფიულ მანძილით, რომელიც მოსკოვსა და თბილისს ერთმანეთს აშორებს. ჩვენში ქალთა სოციალისტურ მოძრაობის სისუსტეს ღრმა მიზეზები აქვს,—სოციალური, კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკურიც, მაგრამ ამ მიზეზის გამოკვლევა კი არ გვაინტერესებს ამჟამად. ფაქტები. საინტერესო, გაუგონარი და დაუჯერებელი ფაქტები, რაც, ალბად, ჩვენში ჯერ კიდევ დიდხანს არ იქნება ასე მასიურად ფეხმოკიდებული. ამ მხრივაც მოსკოვი ჩვენი სარკეა. [illegible] მხოლოდ ამ სარკეში ხშირად ჩახედვა.

ავიღოთ ქალთა შრომა წარმოებაში. მოსკოვსა და მის გუბერნიაში 1927 წლის იანვარში ითვლებოდა 426,6 ათასი მუშა. აქედან მუშა-ქალი — 188,8 ათასი კაცი, ეს შეადგენს დაახლოვებით, 44,2 პროცენტს. შემდეგ: 1928 წლის იანვარში ითვლებოდა საერთოდ 461.597 მუშა. აქედან ქალი — 204.906, ე. ი. 44,4 პროცენტი.

მუშა-ქალთა რაოდენობა მეტად საგულისხმოა წარმოებასა და მრეწველობაში. საინტერესოა ის გარემოება, რომ მუშა ქალთა რიცხვი იზრდება, — არა ნახტომებით, რასაკვირველია, მაგრამ შესამჩნევად მაინც.

შვიდ საათიან სამუშაო დღეზე გადასვლამ მოითხოვა 4.539 მუშა ხელი. აქედან ქალთა რაოდენობა შეადგენს 2.319-ს, ე. ი. 50 პროცენტზე მეტს დაახლოვებით. მოსკოვმა არ იცის მუშა ქალის „იზოლიაცია". პირიქით, მუშა ქალის როლი იზრდება წარმოებაში. 1926 წელს გაიგზავნა წარმოებაში 88 ათასი ქალი, 1927 წელს კი 88 ათასი მუშა ქალი.

ასეთია ცოცხალი ფაქტები საკვირველ ციფრებში მოცემული.

მუშაობის რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ, ქალთა საკმაო პროცენტს ყველგან შეხვდებით. საბჭოთა დაწესებულებებში საშუალოდ 25 პროცენტი ქალია. საშუალოდ, თორემ ხშირად ეს პროცენტი 50-ს აღწევს თამამად — ხან კი უფრო მეტს, რასაკვირველია, ქალთა განყოფილებების გამოკლებით (ინტერესისათვის: მგონი უზბეკისტანში შარშან ქალთა განყოფილების გამგეთ ყოფილა.. მამაკაცი, ისიც 60 წლის). მაგალითად, მოსკოვის ტრამვაის კონდუქტორების მთელი შემადგენლობა ქალებისაგან შესდგება. მე არ შემხვედრია არც ერთი მამაკაცი კონდუქტორი, — სრულებით სერიოზულად ვლაპარაკობ ამას. მართალია, მხოლოდ ერთხელ შემხვდა კონდუქტორი ახლაგაზრდა ყმაწვილი — ისიც ქალსა ჰგავდა სავსებით.—და რაღაც უცნაურად მომეჩვენა ეს.

ქალთა შრომის წამოყენების მხრივ დიდად მუშაობს მოსკოვი. 1924 წელს თუ გაისმოდა ყვირილი ე. წ. „დებაბინიზაციაზე", ამას დღეს ვერსად გაიგონებთ, რა გინდ ქორივით გამახვილებული თქვენი სმენის უნარი. „დებაბინიზაციაზე" ლაპარაკი ხომ უაღრესად რეაქციონური იქნება, მოუდებელი. დებაბინიზაციაზე აქ არავინ ფიქრობს და არც არის ასეთი ფიქრის ნიადაგი.

მაგრამ რა „ბარიშნაზეა" ლაპარაკი?! „ბარიშნები" სადღა არიან მშრომელთა უბნებში. მოსკოვის მშრომელი ქალი სრული უარყოფაა ტრადიციულ „ბარიშნის". ვერც გაბედავთ, რადგან შეურაცყოფთ მას, „ბარიშნა" აქ უცენზურო ტერმინია და მოსკოვის მშრომელი გაურბის მას, „ბარიშნა" მეშჩანურ სიტყვათ გადაიქცა, ანდა ვის ელანდება აქ „ბარინია" წავიდა „ბარინების" დრო და თან წაიღო ჭუჭყი, რომელიც ახლდა მოსკოვის მშრომელის ტრადიციულ სიტყვახმარებაში.

„ბარიშნა" უწოდეთ ქალს... მილიციელი! არ გაგეცინებათ განა?.. და მილიციასაც „აკეთებს" აქ ქალი. ქალები არიან „პოსტოვოი" მილიციელებათ. ხელში წითელი კვერთხით, ჩექმებში, საზაფხულო სპეცტანსაცმელში, მილიციელის ქუდით, მოკლე თმებით და გვერდზე ნაგანით სდგას ქალი თავის სადარაჯოზე. თქვენ არც კი გგონიათ, რომ ის ქალია, ლაპარაკი, ინტონაცია გაგაოცებს კაცს, გაგაოცებს უფრო მეტად, ვინემ ჭექა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე.

ქალებს იარაღი უჭერიათ ხელში და იცავენ რევოლუციონურ წესიერებას, ნუ გგონიათ, ეს კერენსკის, „ქალთა" დამკვრელი ბატალიონი", კერენსკის „ბარიშნები", არისტოკრატი და მოსწავლე ქალები — შეადარეთ გაფოლადებულ კუნთებიან მუშა ქალს, რომელიც მილიციელის როლში გვევლინება. შეადარეთ.. ხარი და ხარაბუზა.

პრესაშიაც კი წამოიჭრა ქალების წამოყენების საკითხი მილიციაში. წავიკითხე ამხ. ლობანოვის წერილი ჟურნალ «Советская работа» № 6 ში: „О службе женщины в милиции" წერილი მოხდენილი დასაბუთებულია. ავტორი საკითხის დადებითად გადაჭრაზე ლაპარაკობს. დაიბეჭდა სხვა წერილებიც, ზოგი საწინააღმდეგოც. საკითხი, მგონი, უკვე გადასჭრა შინაგან საქმეთა კომისარიატმა, რომლის დადგენილება ამ დღეებში გამოქვეყნდება.

ეს კიდევ არაფერი. უფრო უკეთესი ამბები ხდება. მთელი მოსკოვი აალაპარაკა „უბრალო ფაქტმა", რომელიც მგონი, რიაზანის გუბერნიაში მოხდა. ერთ-ერთ სოფელში მთელი ძალა-უფლება თურმე ხელში ჩაიგდეს... დედაკაცებმა. საბჭო ცუდად მუშაობდა. ქრთამი, ცემა, დაპატიმრება, სიმთვრალე და ხულიგნობა მოედო ამ სოფელს. ქალებს აევსო ფიალა მოთმინების. გადასწყვიტეს—ხელში ჩაიგდოთ ძალა-უფლება. მოახლოვდა არჩევნებიც. დაიწყო საშინელი კრიტიკა. გლეხები მიხვდნენ, რომ ქალები მართალს ლაპარაკობდნენ, ყოჩაღათ! არჩევნებიც მოხდა და 12 დეპუტატში 11 ქალი გავიდა საბჭოში. თერთმეტი ქალი დეპუტატი. მართლაც ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება ქალებმა. რა თქმა უნდა, აღმასკომიც შეადგინეს სულ ქალებისაგან. თავმჯდომარე—ქალი, მოადგილე ქალი, მდივანი ქალი, ხოლო საბჭოს წევრი „ერთად ერთი" მამაკაცი უადგილოდ...

სოფლის ხულიგნებს და ნაძირალებს არ მოეწონათ ეს ამბავი. მორთეს ყვირილი, ვიღუპებით, ვნადგურდებით, უნდა შევცვალოთ საბჭოო.

— Бабий сельсовет—ირონიულად გაიძახიან ისინი. ცეკას ქალთა ინსტრუქტორმა გამოიკვლია ეს „ბაბი სელსოვეტი" და აღმოჩნდა, რომ მთელი სოფელი მადლიერია ახალი საბჭოსი. ახალ აღმასკომის და თავმჯდომარესი. მოისპო მექრთამეობა, უფლების გადაჭარბება. ფართოდ გაიშალა აღმშენებლობა. აი რა ქნა „Бабий сельсовет"-მა.

მართალია, ასეთი შემადგენლობის საბჭო —სულ ქალები—იშვიათია, ძალიან იშვიათი. მგონი, ეს პირველი მაგალითია, ასეც უნდა იყოს ეს. მაგრამ მასიურია მეორე მაგალითი, რომელსაც გლეხები, რუსი „მუჟიკები" სრულებით სერიოზულად „Бабья власть"-ს უწოდებენ.

— „Бабья власть",—ეს ხომ სრულებით კანონშეწონილი მოვლენაა. ამ ხელისუფლების დამახასიათებელი ისაა, რომ აქ თავმჯდომარეებად ქალები არიან. მე ძალიან დამაინტერესა საკითხმა, რამდენი ქალია რუსეთში აღმასკომის თავმჯდომარე სოფლად. ნაადრევი შეიქნა ჩემი ინტერესი, ამ საკითხს ახლა იკვლევენ, სწავლობენ და სპეციალურ წიგნსაც ამზადებენ გამოსაცემად.

— ხომ არ დაიზარებთ მნიშვნელოვანი მასალების გამოგზავნას საქართველოდან.—შემეკითხა ქალთა ერთი მუშაკი.

— როგორ დავიზარებთ... ვუპასუხე მე მოწყვეტით, დაუმთავრებლად, ხოლო გულში მაინც დავაბოლავე ყელზე მობჯენილი ფრაზა—„როგორ დავიზარებ, რომ მართლაც მქონდეს რამე მნიშვნელოვანი".

მრავალი საყურადღებო მასალა და ფაქტები გადმომცეს აქ ამხანაგებმა. მათ შესახებ მეტად გაგვიგრძელდება საუბარი. არცაა საჭირო. ყველგან ერთი აზრია წითელი ზოლივით გავლებული: რუსი მშრომელი ქალი აქტიური მონაწილეა სოციალისტურ მშენებლობის, ახალი ქვეყნის შექმნის, კომუნიზმის დამყარების. ხორცს ისხამს ლენინის გენიალური ფორმულა, რომელიც შეიძლება შორიდან „აგიტაციურად" გვეჩვენებოდა, ფორმულა მზარეულის ქალის და პროლეტარულ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის შესახებ. ხორცს ისხამს ლენინის ეს აზრი დღითი-დღე, განუწყვეტლივ, გამუდმებით, და განა ლენინს უყვარდა განუხორციელებელ აზრების ლოზუნგად წამოყენება?.. ჩვენც უნდა მოველოდეთ—სრულებით დამშვიდებულ ძარღვებით,—არნახულ ამბავს—მიხეილ კალინინის ან ალექსეი რიკოვის ადგილზე კომუნიზმისათვის ასეთივე მებრძოლის და თავდადებულის—ვინმე მარია პეტროვნას. რუსეთის და კერძოდ, მოსკოვის მშრომელ ქალთა ზღაპრული, დაუჯერებელი აქტივობა საწინდარი და უტყუარი ნიშანია, რომ ეს ასე მოხდება არც ისე შორეულ მომავალში.

სრულებით სხვანაირია რუსეთის მუშა და გლეხ ქალის შემეცნება. მათ სხვანაირი—თანამედროვე—წარმოდგენა აქვთ ეთიკაზე, ოჯახსა და ზნე-ჩვეულებაზე. მონური ფსიქოლოგია ამოშლილია რუსის მშრომელი ქალის გულის ფიცრიდან. პირველი, რაც იწვევს ინტერესს, ეს არის სრულებით თანამედროვე მისი აზრები ოჯახურ ურთიერთობაზე. მოსკოვის და მთელი რუსეთის — ქალს არ სწამს ძველი პატრიარქალური ოჯახი, საოჯახო უფლება, ნორმები. სიტყვა „жена" სათაკილოთ ხდება თანდათან. რას ქვია ეს, როცა ლაპარაკია მეგობარზე, ამხანაგზე, სწორზე. რუსი მშრომელი ქალიც ამ პრინციპზე აშენებს თავის ცხოვრებას. მოსკოვში, მაგალითად, ცოლქმრულ განშორების პროცენტი უფრო ქალების ხარჯზე იზრდება. განშორების ას შემთხვევიდან ქალზე მოდის ინიციატივა 60—65 პროცენტი. ზოგჯერ მეტი, ზოგჯერ ნაკლები, რასაკვირველია. საშუალოდ კი—50 პროცენტი მაინც. ამის ოფიციალური სტატისტიკა ბევრგანაა გამოქვეყნებული მოსკოვში. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ აქ ქალი დამოუკიდებელი, შეგნებულ ერთეულია და თუ არ მოსწონს მას „ქმარი", თავისუფლად სტოვებს მას —მდუღარე ცრემლის ერთი წვეთის გადმოუგდებლად. ეს როდია ბელეტრისტიკა. სინამდვილეა, ჭეშმარიტება, როგორითაც ის მე მეჩვენება,—მთელ ცხოვრებას ევლინება.

მოსკოვის მშრომელი ქალის ფსიქიკა საკმაოდ გარდაქმნილია ახალ კულტურის, ახალ ურთიერთობის განმტკიცების ნიადაგზე. ეს ფაქტია უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი.

ბაუმანის რაიონში მუშათა კრებას დავესწარი. გაჭედილი იყო აუდიტორია. 1.500 მუშაზე მეტი დაესწრო ამ კრებას. თავმჯდომარეები დაასახელეს, 22 კანდიდატი. ქალებიც, მათ შორის, კენჭი უყარეს და თავმჯდომარედ ქალი აირჩიეს.

სრულებით შეუმჩნევლად ჩატარდა ეს ფაქტი. არავის გაკვირვებია,—ჩემს გარდა,—არც არავის მიუქცევია ყურადღება. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ქალი იშვიათად ასახელებს ქალისვე კანდიდატურას. ქალი—და მამაკაციც—იმიტომ კი არ ასახელებს ქალს, ირჩევს მას, რომ ის ქალია არა, არა ამ მოსაზრებით; სქესობრივ თვალსაზრისით. ასახელებს და ირჩევს იმიტომ, რომ ის ქალი ამის ღირსია. ეს არის სქესთა ნამდვილი თანასწორობა. მოსკოვმა გაანაღდა ის, გაანაღდა და შეიძლება არა სავსებით ჯერ კიდევ, მაგრამ მნიშვნელოვნად მაინც.

ცხადია, ჩვენში სავსებით ნაადრევია ასეთ თვალსაზრისის გამოყენება ძალიან ნაადრევი იქნება პრინციპის წამოყენება: თავისთავად ქალი არის თუ არა ღირსი... პროტექციონიზმი ქალთა წამოყენებაში,—პროტექციონიზმი პროლეტარული, კომუნისტური და არა ძმაბიჭური,—ძალიან დიდხანს დაგვჭირდება ჩვენ, დასჭირდება ყველა ნაციონალურ რესპუბლიკას. არც ძალიან გადაჭარბებაც ვარგა ამ საქმეში, რაც „სუფრაჟისტულ" შთაბეჭდილებას სტოვებს ხშირად.

მოსკოვმა იცის ქალთა შორის მუშაობის განსაკუთრებული გზები და მეთოდები, ფორმები. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი ეს რაც შეიძლება უნაკლოდ, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. ცუდიც არ იქნება ჩვენი მუშა-ქალების გაგზავნა მოსკოვში—ადგილობრივ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების შესასწავლად, გასაცნობად და შესათვისებლად. თბილისის საბჭომ გამოგზავნა მოსკოვში უპარტიო მუშები, თუ არ ვსცდები, ქალები არ იყვნენ მათ რიცხვში,—ერთი თუ იყო, მგონი. ეს შეცდომაა უსათუოდ, რაც მომავალში არ უნდა გავიმეოროთ.

საბჭოთა რუსეთში სიკვდილიანობის კოეფიციენტი ეცემა, დაბადების მატულობს, იზრდება. სიკვდილიანობის კოეფიციენტის შემცირების და დაბადების ზრდის ტემპის მიხედვით რუსეთს პირველი ადგილი უჭირავს მთელ ევროპაში. საფრანგეთი ხომ განწირულია ამ მხრივ. იქ იზრდება სიკვდილიანობის კოეფიციენტი, ეცემა—დაბადების. საბჭოთა რუსეთში კი სრულებით პირუკუ ხდება და ხდება ჩქარი ნაბიჯით. 1913 წელს რუსეთში, თითოეულ ათას სულზე, სიკვდილიანობის კოეფიციენტი უდრიდა 33,3-ს, 1926 წელს კი —19,5-ს, ხოლო დაბადების კოეფიციენტი უდრიდა 41,4-ს. როგორც ხედავთ, 1926 წელს საბჭოთა რუსეთში ორჯერ მეტი დაიბადა, ვინემ მოკვდა. განა არ შეშურდება ეს საფრანგეთის დეგენერატიულ ბურჟუაზიას?

რით აიხსნება ეს მოვლენა,—მოვლენა დიდი, სახელმწიფოებრივი ღირებულების? აშკარაა რევოლუციონურ რუსეთის ეკონომიურ და კულტურულ ვითარების რევოლუციით, მაგრამ მთლიანი არ იქნება ჩვენი პასუხი, თუ ამ საქმეში დავივიწყებთ ქალთა მნიშვნელოვან როლს. რუსი ახალი ქალი, ახალი ადამიანი ისე მართავს ცხოვრების „ყოველდღიურობის" ძაფებს, რომ ხშირად შეუმჩნევლად იქსოვება სოციალიზმის მეტად ძვირფასი მატერია, რუსი მშრომელი ქალიც ართავს აბრეშუმის ძაფს სოციალიზმის მორგვზე,—ართავს ხალისით, სიცოცხლით და მხურვალე გულით...

— Женщина — это звучит гордо!!!

აი რას იძლევა მაქსიმ გორკის „შეკეთებული" ფორმულა:

სუსტი მხარეები აქვს მოსკოვს. ეს დასამალი არ არის. არც მოსკოვი მალავს ამ მხარეებს, პირიქით, ხშირად აშიშვლებს მტკივან ადგილებს და არ ერიდება არავითარ ქირურგიულ ოპერაციას, ანატომიური დანით იქნება ის თუ რუსული ნაჯახით.

სამ შავ მკბენარს ჩაურჭვია თავისი ძაფივით ვიწრო ფეხები მოსკოვის და საერთოდ, მთელ რუსეთის—საღ ორგანიზმში ეს არის:

ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია და რელიგია.

მართალია, განსაკუთრებით პირველ ორი მკბენარის დღეები დათვლილია, მათ არ აქვთ საზრდო წვენი. საჭიროა მოსკოვმა რამოდენიმეჯერ მძლავრად შემოიქნიოს „კუდი", რომ ისინი ჩამოცვივდნენ, როგორც გამხმარ ტალახის ნაჭერი. მხოლოდ რელიგიაზე ვერ ვიტყვით ამას—და ეს გასაგებია სრულებით. მას კიდევ მოეპოება ნიადაგი. ალბად, არც ისე ადვილად შეიძლება მისი გაწმენდა რუსეთის ზედაპირიდან.

ალკოჰოლი ფესვებ გამოთხრილია, წახრილი, მაგრამ როდია წაქცეული. მოსკოვის ქუჩებშიც კი ბევრს ნახავთ წაქცეულს—გრძნობა დაკარგულს, გონება წასულს. ჩვენებური რესტორანები არ არის აქ. ძალიან იშვიათად ყოველ შემთხვევაში. არაყიანი არ ჭყივის, ზურნაზე არ თამაშობენ, ბოთლის წვერზე არ ბუქნაობენ. ვერსად ვერ ვნახე მე ეს. მაგრამ... მთვრალები და როგორ რა ზომამდე, აწერა ძნელია.

ხულიგნობა და ალკოჰოლიზმი ხომ ტყუპი ძმებია., ერთმანეთისგან განუშორებელი ალკოჰოლი ნიადაგია ხულიგნობის, ის ზრდის და ასაზრდოვებს მას. ბარბაცით მიდის მთვრალი, ხვდება მთვრალს, ხშირად ქალს და მთელი ბრბო იკრიბება, მთვრალების რაზმი თვალის დახამხამებაზე სდგება. მოსკოვის ცენტრში იშვიათად შევხვდებით მთვრალი, ხულიგანი, განაპირა რაიონებმა ალკოჰოლის სამშობლო, თვრებიან—ჰოო, საკვირველებაც.—არა ღვინით, არაყით, კონიაკით. თვრებიან... ლუდით. ლუდით, რომელსაც ჩვენ ყელის გასაგრილებლად ვხმარობთ რა საშინელებაა თურმე ლუდით გალეშა. სამი დღე ბურანში ხარ კაცი,—ლუდხანებიც ბლომადაა აქ. თითქმის ყოველ ნაბიჯზე.

მხატვრების გამოფენაზე ერთ სურათს შევხდი. სურათს ამშვენებდა ლამაზად შესრულებული წარწერა: „Весь С. С. С. Р. танцует". სურათის შინაარსიც მოხვდებით ალბად. დახატულია ქალები, მამაკაცები, გარმონი—ცეკვა-თამაში. ბოთლები არ არის ამ სურათზე. მომეწონა ეს სურათი. მაგრამ, ერთი კვირის შემდეგ, სოკოლნიკოვის რაიონში მთვრალ მამაკაცების და დედაკაცების გუნდს რომ წავაწყდი,—გუნდს მოქეიფეს, მყვირალს, უცენზურო სიტყვების მფრქვეველს, მომაგონდა ის სურათი და უნებლიეთ გავიფიქრე: ნუ თუ ასე ცეკვავს საბჭოთა კავშირი? ნუ თუ...

მაგრამ ერთი რამ ახასიათებს აქ მთვრალს. მან არ იცის „ბორჯღიალი", თვალების ბრიალი, ჩვენში მთვრალს რომ გაუცინო,—ძალიან მეგობრულად, თუ გნებავთ—ხანჯალს გაგიყრის მუცელში. აქ კი არ არის ასე. მთვრალი მოსკოველი, ეს „შოკოლადია" მოსსელპრომიდან. ის იგინება მხოლოდ,—და განა როდის არ იგინება ის? არ გაწყენინებს. თუ გაწყენა, დაინანებს კიდეც.

შაბათი და კვირაა ალკოჰოლის საქმიანი დღეები. სხვა დროს მართლაც იშვიათია მთვრალობა, მოსკოვს ეს დიდ მიღწევად მიაჩნია. არ არის თუ? წინეთ ხომ მუდამ ივრებოდნენ. არაყით სავსე თეთრი ბოთლი დაზგიდან ცალთვალივით იჭყიტებოდა. წავიდა ეს დრო. ალკოჰოლის ფესვები ხმება, მაგრამ მისი ტანი ჯერ კიდევ საკმაო წვეთით გაჟღენთილია.. მოსკოვის განაპირა უბნები ყოველ შაბათ-კვირაობით დაჭრილ ლომივით ღრიალებს.

მოსკოვმა ბატონ ალკოჰოლს სასტიკი ომი გამოუცხადა. დაარსდა ალკოჰოლის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება. არსდება უჯრედები, კომიტეტები — ყველგან: ფაბრიკებში, ქარხნებში, დაწესებულებებში, ბრძოლაც დაიწყო, ვინ იცის, როგორ დამთავრდება ის, ვინ იცის? როგორ თუ ვინ იცის? აი, მაგალითად, ამ საზოგადოების ერთმა უჯრედმა გამართა ფართო, მასიური კრება, გაკეთდა მოხსენება ალკოჰოლიზმის შესახებ. რა არ ითქვა ამ კრებაზე: ალკოჰოლი მტერია სოციალიზმის, შხამია ორგანიზმის.

უჯრედის წევრებმაც არ დაიშურეს ცხარე სიტყვები.., კრება დაიშალა, მაგრამ არ დაშლილა უჯრედი: — მთელი შემადგენლობა წავიდა იქ, საიდანაც ნორმალურ გონებით და მტკიცე ფეხებით აღარ ბრუნდებიან.

შემთხვევითი ფაქტია ეს, რომელიც საზოგადოებრივ რისხვას და ფურთხს იმსახურებს. ეს უჯრედიც შესაფერისად „დააჯილდოვეს". კარგია, ადგილი არ ექნება ალკოჰოლის წინააღმდეგ გაშმაგებულ ბრძოლაში დეზერტირობას.

მოსკოვიც იბრძვის ალკოჰოლის მოსპობის ფრონტზე. იბრძვის არა უშედეგოდ. მთვრალების რეგისტრაცია გვიჩვენებს, რომ ალკოჰოლი თანდათან კარგავს ძველებურ გავლენას და მიმზიდველობას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ალკოჰოლიზმთან ბრძოლა კულტურის საკითხია. იზრდება მოსკოვი კულტურულად და ცხოვრების მახინჯი მოვლენებიც მეფისტოფელის აჩრდილს უახლოვდება.

ასევე — თითქმის ასევე — სდგას პროსტიტუციის საკითხი. ამ სოციალურ ბოროტებას მეორე ადგილი უჭირავს ალკოჰოლის შემდეგ. და განა ალკოჰოლი არ უწყობს ხელს პროსტიტუციას, ისევე, როგორც ხულიგნობას? უწყობს და მეტი არა.

პროსტიტუცია არავითარ სამოსელს არ ატარებს მოსკოვში, აშკარაა ის, ყველას დასანახავი, საროსკიპო სახლები არ იცის მოსკოვმა, — არც შეიძლება იცოდე. მაგრამ ეს „სახლი" ქუჩაშია გამოტანილი, მოძრაობს, როგორც სახელგამის წიგნის კიოსკი მოსკოვის პერიფერიებში. პროსტიტუციის ბუდეა ტვერის ქუჩა, ბულვარის „დაყოლებით". საერთოდ — ცენტრი, შუაგული. განაპირა მოსკოვმა ნაკლებად იცის პროსტიტუცია. მუშათა უბნებში ვერ ნახავთ „ღამის ფერიებს". აქ, ცენტრში, მთელი ჯარია წითელ ტუჩებიანების, დაიარებიან წყვილათ, კენტათ— როგორც შეხვდებით, თვითონ ეძებენ „მუშტარს".

მოსკოვის ცენტრის არც სხვა ქუჩა ჩამორჩება ტვერის ქუჩას, სამხატვრო თეატრის მიდამოებში მეტად „არამხატვრული საქმეები" კეთდება და აშკარად სრულებით. ყოველ მიმოხედვაზე შეხვდებით წყვილებს — უკვე სხვადასხვა სქესის ორეულებს, — კორიდორებში, გრძელ სკამებზე, ჩაბნელებულ კუთხეებში. სრულებით არაბუნებრივი გზით სრულებით ბუნებრივ მოთხოვნილებას აშკარად აკმაყოფილებენ.., ვერც შეხედავთ, ანდა რომ ძალიანაც დააკვირდეთ, გგონიათ, გაიქცევიან? კიბოსავით გაგაწითლებენ.

— სად მსახურობთ თქვენ?

— ტვერის ქუჩაზე.

— რომელ დაწესებულებაში.

—? !

და გაიცინებს ირონიულად თქვენი თანამოსაუბრე, რომელიც საზოგადოებრივად სასარგებლო ელემენტი გგონიათ. გაიცინებს ირონიულად და ამ ირონიაში მოხდენილად გაგრძნობინებს, რომ თქვენ პროვინციელი ხართ. [illegible] — უვიცი და ჩამორჩენილი.

ღამის 1 საათის შემდეგ მოსკოვის ცენტრში ვერ გაივლის „პატიოსანი ადამიანი". „დამები და დამოჩკები" — შეიძლება დაგეხვევიან ბუზებივით. ყველა სცდილობს თქვენს კბენას — შეიძლება მორიელივით სასიკვდილოდ და საბედისწეროდ. წამიყვანეთ, რა იქნება — უსირცხვილოთ გაიძახიან ისინი, ვინ იცის, რამდენს მიყავს, რამდენი მიყავს.. ვინ იცის, რამდენს ეწამლება სისხლი, სიცოცხლე და სიხარული ბრძოლისა და შემოქმედების!

მოსკოვი არ ფიქრობს ამაზე, შთაბეჭდილება მივიღე, ვითომც არ ფიქრობს მოსკოვი ამაზე, თუ ფიქრობს, აბა რათ არის აი, აგერ ვიღაც ჯენტლმენი „ბარიშნას", რომ ევაჭრება, ფულს ხელში უჩხრიალებს, ეხვეწება, ეხვევა, ჰკოცნის.. სდგას იქვე მილიციელი, ვითომც ძეგლი იდგეს მარმარილოს, გაუნძრეველი. შესძახოს ერთი — ჰაი.— და მოჩვენებასავით გაქრებიან ხორცით მოვაჭრენი. შესძახოს.. მაგრამ არა, ყელი ღალატობს მას თუ გონება? შეიძლება ორივე, შეიძლება არც ერთიც.

მოსკოვის საბჭოში პროსტიტუციაზე დიდი მასალა გადმომცეს, არც ცოცხალი ახსნა - განმარტება დაიშურეს. მოსკოვი გრძნობს, რომ ეს მისი მუწუკია, საკმაოდ მომწიფებული, დაბალღამებული, უნდა ამოიწვას ეს მუწუკი ძირიანად, საფუძვლიანად. მოსკოვიც მუშაობს ამ ნიადაგზე, მუშაობს დინჯად, მაგრამ საქმიანად.

რამოდენიმე თვის წინედ ნაწილობრივ გამოურკვევიათ როსკიპების „სოციალური შემადგენლობა". აღმოჩნდა თურმე, რომ დიდი უმრავლესობა „ყოფილი ადამიანების" წრიდანაა გამოსული, ხუმრობა როდია! რევოლუციამ გაბატონებულ კლასებს მოუსპო არსებობის საშუალება. ხომ დარჩა ძველი წადების შთამომავლობა? ფიზიკურ შრომას ვერ ეგუება ის, გონებრივისთვის — არ გამოდგება. ტექნიკურ მუშაობას მრეცხაობას - დამლაგებლობას როგორ იკადრებს, უწინამც თავს ჩამოიხრჩობს. და მიდის ტვერის ქუჩაზე, სადაც ერთი „სიხარულია და სიამოვნება". ასეთი „პროსტიტუტკები" უმრავლესობაა მოსკოვში. ძნელია მათი დახსნა პროსტიტუციის ბასრი კლანჭებიდან.

მგონი „პროჟექტორ"-ში დაიბეჭდა კოლცოვის წერილი პროსტიტუციის შესახებ. ავტორის აზრით ქმრიანები — და მაღალ ჯამაგირიანი ქმრიანები — გამოდიან ქუჩაში და ნაზათ ჩაილაპარაკებენ: „Я живу недалеко". ესაა— პაროლი, რომ ის „ისაა", რომელსაც ეძებენ ირიბულ თვალით. არიან ასეთებიც, მაგრამ არც იმდენად ბევრი, თვალსაჩინო. უმრავლესობა „გამოუსადეგარი კატეგორია", — ხალხი, რომელიც არაფრისთვის არ გამოდგება, არც ზნეობრივად, არც გონებრივად, სოციალურად. შემდეგი — თუმცა უმნიშვნელო — პროცენტია გაჭირვებულები, მართლაც საცოდავები, შესაბრალისნი. და აი მოსკოვიც სცდილობს ამ ელემენტების გამოყვანას საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე, მათ ჩაბმას უდიდეს მშენებლობაში. მრავალი სპეციალური, ავტორიტეტული კომისია და ორგანიზაცია მუშაობს ამ მიმართულებით. დღეს თუ არა ხვალ, მოსკოვი მოსპობს ამ სოციალურ უბედურებას, ასეც არის ეს. რამდენი ასეული საღი ელემენტი მოსწყდა პროსტიტუციის ბუდეს და საბჭოთა მშენებლობის მორევში გადაეშვა. მოსკოვში ჭრა-კერვის მრავალი დაწესებულება არსებობს, სპეციალურად ქუჩის როსკიპებისათვის. არის მსგავსი დანიშნულების და მიზნის სახლები. მართალია, ორგანიზმ მოშხამულ, ორგანიულად გადაგვარებულ როსკიპს ამ სახლს ვერ მიაკარებ, როგორც ძაღლს ღვინის მარანს. მაგრამ მრავალი არიან, რომლებიც სიხარულის ცრემლებით მიეშურებიან საზოგადოებრივ საქმიანობისაკენ.

მიასნიცკაიაზე, gostorg-ში პაკეტების დამტარებლად მსახურობს ვერა კალიშნიკოვა, ვერა მიხაილოვნა — ასე ეძახიან მას „Хорошая баба"—ამბობენ თანამშრომლები. და იცით, სულ ერთიოდე წლის წინედ ვინ იყო ვერა მიხაილოვნა? — ერთი მრავალთაგანი, რომელიც კომუნალურ მეურნეობის აბანოების ახლო დასეირნობდა, ხშირად თვითონაც ისე მოხდენილად აღებდა გეზს „მუშტარისაკენ", გეგონებოდათ, აი ეს არის კურდღელს ეპარება დასაჭერადო. წინედ, ერთი წლის წინედ. ახლა, სულ სხვაა ის, ახლად დაბადებული ადამიანი. პატიოსანი შრომით, სასარგებლო მუშაობით ღებულობს ლუკმა-პურს, აკვირდებით ვერა მიხაილოვნას და არ შეიძლება თავში არ გაგიელვოთ:

—აი კიდევ ერთი წვრილმანი, სადაც ჩუმად მეტყველებს რევოლუცია პროლეტარიატის, მშრომელ მასების..

ვერა მიხაილოვნა და სხვა მრავალი ასეთები არ თაკილობენ არავითარ მუშაობას, დამლაგებლად დიდი ხალისით მიდიან ისინი. ხშირად, ძალიან ხშირად უფრო „მაღალ" თანამდებობასაც ასრულებენ, მაგალითად — საქმის წარმოებას. ამხანაგურათ, ძმურათ, ადამიანურათ ყველაფერზე ელაპარაკეთ მათ, ელაზღანდარეთ, მხოლოდ ერთს ნუ გაახსენებთ — წინეთ რას შვრებოდნენ ისინი. დაგვლიდით ეჯავრებათ კიდეც ყველა, ვინც კი მათი წარსულის გამოკითხვას დაიწყებს, აქ გრძნობენ ისინი საკუთარ პიროვნების გათელვას. წარსული ისტორიას ჩააბარეს და რა საჭიროა მისი გახსნება, მწარე. მოგონება „კაროდორის სისტემის"?

ამიტომაც არის, მათ ეშინიათ.., ანკეტის, როგორც ბავშს ბუგეიმოს, ანკეტა არ უყვართ მათ, — ანკეტა წარსულის ქექვის და გამოაშკარავების, რა არის აქ სამარცხვინო, დამამცირებელი? არაფერი. მაგრამ ამის შეგნებამდე არ მისულან ისინი. კიდევ ფიქრობენ, პროსტიტუცია შეურაცყოფილი მორალია, „სირცხვილი და არა სოციალური უბედურება".

მოსკოვი ებრძვის პროსტიტუციას, ალკოჰოლიზმსა და ხულიგნობას, მოსკოვი საჭიროებს ყოველგვარ სასიცოცხლო ძალას და ვინც არაა მას ოდნავ მაინც მოკლებული მოსკოვი თავის განიერ ლია გულ-მკერდში მშობლიურ გრძნობით იხუტებს მას.

ბ. მუშიშვილი.

(დასასრული იქნება)

---

*) იხილე „კომუნისტი" № 167.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეული

მასიური მუშაობის გაძლიერებისათვის

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მთელ საქმიანობაში მთავარი ადგილი უჭირავს მასიურ მუშაობას. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი ორგანიზაციის განვლილ მუშაობას, დავინახავთ, რომ მასიური მუშაობის დარგში გვაქვს საკმაო მიღწევები. მაგრამ, ამასთანავე, უნდა ვაღიაროთ, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და მუშაობას თან ხდევს მრავალი ნაკლი.

ჩვენი ორგანიზაცია—ფართო მასიური ორგანიზაციაა და მისი მუშაობა მოითხოვს აქტივის დიდ რაოდენობას. ეს აქტივი კი ჩვენ ჯერ-ჯერობით საკმაო არ მოგვეპოვება.

ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ ჩვენი ორგანიზაციის სექციების სისუსტე, რაც უმთავრესად გამოწვეულია სათანადო აქტივის უყოლობით. ჩვენ მოგვეპოვება საკმაო ძალები აქტივის შესაქმნელად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ შევსძელით ამ ძალების ჩაბმა მუშაობაში. ჩვენ ვერ შევსძელით მათი დაინტერესება საქმიანობით.

ეს ჩვენი მუშაობის ერთი უმთავრესი ნაკლთაგანია და ამ ნაკლის გამოსასწორებლად უნდა ვიბრძოლოთ ყველამ.

ავამაღლოთ მუშაობის ხარისხი

ჩვენ მოგვეპოვება არა ერთი ისეთი ორგანიზაცია, რომელიც დაკმაყოფილებული წევრების რიცხვის ზრდით, სრულიად ივიწყებს მუშაობის ხარისხს და მედიდურად მსჯელობს თავის მიღწევებზე. მას ავიწყდება ის, რომ წევრთა რაოდენობის ზრდასთან, საჭიროა მუშაობის გაღრმავება და გაფართოება.

არის ისეთი ორგანიზაციებიც, რომელთა ხელმძღვანელობა ძირითად უჯრედებისადმი გამოიხატება მხოლოდ წერილობით. მომავალში ჩვენ უნდა შევეცადოთ დავამყაროთ ცოცხალი და მჭიდრო კავშირი ძირითად უჯრედებთან. ჩვენს გეგმებში უსათუოდ უნდა შევიტანოთ ამა თუ იმ უჯრედის დათვალიერება, სხდომაზე დასწრება და სხვა. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ აქტივის გაერთიანებული სხდომების, თათბირების და კრებების მოწვევას. ამ კრებებზე ჩვენ გულახდილად უნდა ვამხილოთ ჩვენი ნაკლი და მიღწევები.

უნდა ჩავაბათ აქტიურ მუშაობაში თადარიგის მეთაურნი. დღემდის ეს საკითხი არ იყო მოგვარებული, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ორგანიზაციები განიცდიან სამხედრო საქმის მცოდნე პირთა კრიზისს. ჩვენ ჯერ გულგრილობა ვიჩინეთ ამ საქმეში. ზამთრის პერიოდში, როდესაც გაიშლება სამხედრო-ტაქტიკურ წრეების რიცხვი, ჩვენ დაგვჭირდება ამ წრეების ხელმძღვანელ კადრის შედგენა. ხანამ გვიან არ არის, ჩვენ უნდა შევუდგეთ სამხედრო-ტაქტიკურ წრეების ხელმძღვანელების მომზადებას. აქ ჩვენ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თადარიგის მეთაურთა ის ნაწილი, რომელიც გაშვებულია დემობილიზაციაში ამ ახლო ხანში, ხოლო თადარიგის მეთაურთა მეორე ნაწილისათვის, რომელიც დიდი ხანია მოშორებულია წითელ ჯარს და სამხედრო ტეხნიკას, ჩვენ უნდა შევქმნათ კურსები და სემინარები მათ გადასამზადებლად.

მოვამზადოთ აქტივი

ჩვენი ორგანიზაცია იმდენად გაფართოვდა და მისი მუშაობა იმდენად გართულდა, რომ საზოგადოების ყოველ მსურველ წევრს არ შეუძლია უხელმძღვანელოს ამ მუშაობას. აქ ჩვენ ვგრძნობთ აქტივის სისუსტეს. ჩვენი აქტივი არ არის სათანადოთ მომზადებული. აქტივის სისუსტეს განიცდიან უფრო სამაზრო და სოფლის ორგანიზაციები. აქტივის გადამზადების და მომზადების მიზნით ჩვენ უნდა დავაარსოთ სათანადო კურსები. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას ამ საქმეში უნდა გაუწიონ დიდი დახმარება პოლიტგანათლების ორგანოებმა, რომ თავიანთ მოძრავ სკოლებს დაუკავშირონ ჩვენი აქტივის მომზადება სათანადო პროგრამის მიწოდებით.

ჩვენი აქტივი უნდა შევავსოთ კომკავშირელ და მშრომელი ახალგაზრდობის ხარჯზე.

მასიური მუშაობა ზაფხულის პერიოდში

ზაფხულის პერიოდი საუკეთესო დროა მასიურ მუშაობის გასაფართოვებლად. ჩვენ ზაფხულობით გვაქვს საშუალება ჩვენი წრეები გამოვიყვანოთ მინდვრად პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად. მინდვრად გასვლა უნდა გადაიქცეს ზამთრის პერიოდში მიღებულ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ სკოლად. ყურადღება უნდა მიექცეს ტაქტიკურ მეცადინეობის წარმოებას და უნდა შევეცადოთ, რომ ამ მეცადინეობაში მიიღონ მონაწილეობა არა ათასებმა, არამედ პატარა ჯგუფებმა 40-50 კაცის შემადგენლობით.

დღემდის არ არის მოწესრიგებული საექსკურსიო მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირების საზაფხულო გეგმაში ჩვენ შევიტანეთ სამხედრო ექსკურსიების მოწყობა. ასეთი ექსკურსიები თითქმის [illegible] მომავალში ჩვენი უაღრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ექსკურსიების მოწყობას. წითელი ჯარის ნაწილებსა და ბანაკებში.

მეტი ყურადღება სამხედრო კუთხეების მუშაობას

ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი უჯრედი, რომელსაც არა ჰქონდეს მოწყობილი სამხედრო კუთხე, სხვადასხვაგვარი ექსპონატებით. მაგრამ თითქმის ყველა კუთხეები „უსულო" კუთხეებია და მათში არ სწარმოებს არავითარი აღმზრდელობითი მუშაობა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ კუთხის ხელმძღვანელებს არ ესმით მისი დანიშნულება ან თუ ესმის, თავის მუშაობას ეკიდება გულგრილად. მომავალში ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ჩვენი სამხედრო კუთხეები გადაიქცნენ სამხედრო ცოდნის გავრცელების ცენტრებად. ყოველ კუთხეში უნდა დავნიშნოთ სამხედრო საქმის მცოდნე ხელმძღვანელი. საჭიროა მოეწყოს სამხედრო კუთხეების დათვალიერება მათი ნაკლის აღსანუსხავად და მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

ბ.' სირაძე.

რკინისგზელები სროლაზე

ნაყოფიერად ვმუშაობთ

№ ქართ. მსრ. ლეგ. თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედი

№ ქართულ მსროლელ ლეგიონის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედში ირიცხება 684 წევრი, წითელი არმიელების გარდა უჯრედში შედიან საშუალო და უფროსი მეთაურები, რომელთა რიცხვი უჯრედში უდრის 106 კაცს.

თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობას ხელმძღვანელობს ლეგიონის ბიურო, რომელშიაც შედის 10 წევრი და 3 კანდიდატი.

უჯრედის მუშაობა მიმდინარეობს ორი მიმართულებით: მუშაობა თვით ლეგიონში და მუშაობა ლეგიონის გარეშე.

ლეგიონში არსებობს სამხედრო ცოდნათა წრე მეთაურთა და პოლიტშემადგენლობისათვის. წრე აწარმოებს მეცნიერულ-გამოკვლევითი მუშაობას. წრის საშუალებით მეთაურნი აღრმავებენ თავის ცოდნას, მეთაურნი ინდივიდუალურათ და ჯგუფურად ამუშავებენ სხვადასხვა ხასიათის სამხედრო თემებს და შემდეგ თავის დაკვირვებას უზიარებენ ამხანაგებს.

არსებობს აგრეთვე ქიმიური წრე, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ქიმიის გამოყენებას სოფლის მეურნეობაში.

სასროლო წრე ყურადღებას აქცევს სროლის საქმის გაუმჯობესებას და თავის წევრებს შორის საუკეთესო მსროლელების მომზადებას.

თავდაცვა-ავიაქიმის ლეგიონის უჯრედი აწარმოებს დიდ მუშაობას შემდეგ სამოქალაქო დაწესებულებასა და წარმოებებში: ტყავტრესტის ქარხნებში, სატრიკოტაჟო და ფეხსაცმელების ფაბრიკაში, ლუდის სახდელ ქარხანაში, მე-84, მე-5 და მე-4 შრომის სკოლებში და სოფ. დიღომსა და შრომაში (შორ-მაზრა).

ხსენებულ ფაბრიკა-ქარხნებში და სკოლებში ლეგიონს მოწყობილი აქვს სამხედრო კუთხეები, რომლებთანაც ჩამოყალიბებულია სამხედრო ცოდნათა წრეები. წრეებს ხელმძღვანელობენ ლეგიონის მეთაურები.

თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედი ადგენს სამხედრო კუთხეების მუშაობის გეგმას და იღებს ზომებს, რომ ეს გეგმა იქნეს განხორციელებული.

სოფლად მუშაობა მიმდინარეობს უვადო შვებულებაში მყოფ წითელ არმიელთა საშუალებით. ლეგიონს დამყარებული აქვს შვებულებთან მჭიდრო კავშირი, იგი აწვდის შვებულებს სამუშაო გეგმას, ლიტერატურას, უგზავნის გაზეთებს და სხვადასხვა ხელსაწყოებს, რომლებიც საჭიროა სამხედრო ხასიათის მუშაობისათვის სოფლად.

ლეგიონის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის მუშაობა მეტად ნაყოფიერია, რაც აიხსნება იმით, რომ უჯრედმა შესძლო აქტივის გამონახვა და მისი სათანადოთ მომზადება.

—ილი.

კვირეულის ქრონიკა

ფულის შეგროვება ყულაბებით

გუშინ თბილისში დაიწყო ფულის შეგროვება ყულაბებით. ქალაქში გამოშვებულია 400 ყულაბა.

ფულის შეგროვებაში მონაწილეობას ღებულობენ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრები.

ფულის შეგროვება გაგრძელდება სამ დღეს.

თავდაცვის საღამოები

დღეს, 21 ივლისს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართება თავდაცვის საღამო.

ხვალ, 22 ივლისს, ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში ლენინიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭო აწყობს საღამოს, რომლის მთელი შემოსავალი მოხმარდება საბჭოს მუშაობას.

მოდელების შეჯიბრი

კვირას, 22 ივლისს, დილის 10 საათზე დიდუბის რაიონში (პურის მოედანი) შესდგება ამიერ-კავკასიის მეორე სამოდელო შეჯიბრი.

შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებენ სქემატიური და ფიუზელაჟური მოდელები.

მონაწილენი დაიყოფიან საინსტრუქტორო და მასიურ ჯგუფებად.

გამარჯვებულ მოდელების ავტორები იქნებიან დაჯილდოებული.

კონკურსი საუკეთესო უჯრედზე

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა კონკურსის ჩატარებას თავდაცვა-ავიაქიმის საუკეთესო უჯრედზე.

კონკურსის მიზანია უჯრედების მუშაობის გამოცოცხლება მათი მიღწევების და ნაკლის გამომჟღავნების გზით.

თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა კონკურსის ჩატარება, მასალების შეგროვება და ამა თუ იმ უჯრედის მუშაობის შემოწმება-შეფასება.

კონკურსი გაგრძელდება 1-ლ ენკენისთვემდე.

კვირეული მაზრებში

საქ. თავდაცვა-ავიაქიმში მოსული ცნობების თანახმად, კვირეული მაზრებში მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად.

ზოგიერთ მაზრებში (სიღნაღის, ბორჩალოსის, გორის) კვირეულის ჩატარების სახელმძღვანელოდ საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა მიავლინა ინსტრუქტორები.

შორაპნის, სიღნაღის, ქუთაისის და ზუგდიდის ორგანიზაციებმა კვირეულის დროს მოაწყვეს ქიმიური ომის ინსცენირებები.

ყველა სამაზრო ქალაქებში მოეწყო ფართე შეჯიბრი სროლაში.

ახალი წევრები

ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად კვირეულის დროს შემჩნეულია უჯრედების ზრდა.

გლეხები და მუშა-მოსამსახურენი ეწერებიან თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებში წევრებად.

ზოგიერთი უჯრედი გაიზარდა 50—60 პროცენტით.

საქ. წითელი ჯვრის სანიტარული რაზმი

8.835.000 მანეთი ადგილობრივი მეურნეობის განსავითარებლად

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის განვითარების 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა. გეგმით მთელი რესპუბლიკის ადგილობრივ მრეწველობაზე (თბილისის გამოკლებით) მომავალი 5 წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს 8.835.000 მანეთი. აქედან 1928—29 წელს დაიხარჯება— 1.250.000 მან.; 1929—30 წელს— 1.495.000 მან.; 1930—31 წელს— 1.900.000 მან.; 1931—32 წელს— 2.090.000 მან. და 1932—33 საანგარიშო წლის განმავლობაში— 2.100.000 მანეთი.

ადგილობრივი მრეწველობის დარგში ახალი მშენებლობის საწარმოებლად საჭიროთაა ცნობილი გამოთხოვილ იქნეს საკავშირო ბიუჯეტიდან 3.005.000 მანეთი და საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან —2.470.000 მან.; ადგილობრივი მრეწველობის ფონდიდან მრეწველობის განვითარების საქმეს მოხმარდება —2.550.000 მან. გრძელ ვადიანი კრედიტების სახით 5 წლის განმავლობაში მრეწველობისათვის გამოთხოვილი იქნება 810.000 მ.

პერსპექტიული გეგმით ადგილობრივი მრეწველობის საერთო პროდუქცია 5 წლის განმავლობაში გაიზრდება 293,7 პროცენტით. ასე, რომ თუ 1926 წელს ადგილობრივი მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება უდრიდა 2.850.700 მან.; 1932—33 წელს აღნიშნული პროდუქციის ღირებულება იქნება 11.424.000 მან.

სასჯელი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის

საქართველოს ცაკმა მიიღო დადგენილება სამაზრო აღმასკომების, ქალაქის საბჭოების და თემაღმასკომების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული სასჯელის მისჯის შესახებ.

სამაზრო აღმასკომების და თემაღმასკომების სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული სასჯელის ზომები შემდეგია: ქალაქ თბილისში—ჯარიმა 100 მანეთამდე, იძულებითი სამუშაო ან დაპატიმრება ერთ თვემდე, თბილისის მაზრის სოფლის რაიონებში ჯარიმა 5 მანეთამდე და იძულებითი სამუშაო ერთ კვირამდე. ფოთში, ჭიათურაში, ხაშურში; ბორჯომში; და სამტრედიაში ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 50 მანეთს, ხოლო იძულებითი სამუშაო ან დაპატიმრება —ორ კვირას.

სოფლის რაიონებში ჯარიმა 3 მანეთამდე შეიძლება შეიცვალოს იძულებითი მუშაობით ორ დღემდე. ჯარიმის შეცვლა დაპატიმრებით არ შეიძლება. საჩივარი ადმინისტრატიული წესით სასჯელის უმართებულოდ მისჯის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნას სათანადო სამაზრო აღმასკომის ან ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმში.

სათემო საბჭოების დადგენილებათა დარღვევისათვის ფულადი ჯარიმა არ შეიძლება აღემატებოდეს 3 მანეთს და იძულებითი სამუშაო 5 დღეს.

სავალდებულო დადგენილებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მოქმედ კანონებს, სახალხო კომისარიატებისა და მაღლამდგომი აღმასკომების ინსტრუქციებსა და სხვა აქტებს ისინი არც ამ აქტების განმეორებას უნდა წარმოადგენდნენ. (ადს).

საკავშირო თანხების გაფლანგვის წინააღმდეგ

საქართველოს პროფსაბჭომ ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია:

პროფორგანიზაციების მუშაობაში ყველაზე უფრო სუსტ მხარეს წარმოადგენს ფინანსიური საქმიანობა. ფინანსიური ანგარიშწარმოების ელემენტარული წესების დარღვევა და საერთოდ ფინანსიური მუშაობის არა სწორი დაყენება ჰქმნის პროფორგანიზაციებში საუკეთესო პირობებს გაფლანგვისათვის და საერთოდ საკავშირო თანხების არა სწორ დახარჯვისათვის.

საჭიროა სასტიკი ზომების მიღება, რომ ადგილი არ ექნეს საკავშირო თანხების მითვისებას; ამ შემთხვევაში ხელმძღვანელ პროფორგანიზაციების და სარევიზიო კომისიებს მოვალეობას შეადგენს არ შეჩერდენ არავითარ ზომების წინაშე, რათა აღმოფხვრილი იქნეს საკავშირო თანხების მითვისების ყოველგვარი შესაძლებლობა. ჩვენ აღვნიშნავთ მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობენ ფაბქარხკომებში და აგრეთვე მაღლამდგომ პროფორგანიზაციებში საკავშირო თანხების გაფლანგვას.

ფაბქარხ-ადგილკომებში არ არის გამოყოფილი პ. მგ. ხაზინადრები, თუმც მრავალჯერ ჰქონდათ მიღებული დირექტივა პროფორგანოებს პ. მგ. ხაზინადრების გამოყოფის შესახებ. ადგილკომების 90 პროც., ეს დირექტივა არა აქვთ შესრულებული, ხოლო სადაც კი არიან გამოყოფილი პ.-მგ. ხაზინადრები, იქ ისინი თავის მოვალეობას არ ასრულებენ.

საკავშირო თანხები იმის მაგიერად, რომ ინახებოდეს საკრედიტო ორგანიზაციებში, ჯიბით დააქვს — ადგილკომის თავმჯდომარეს ან მდივანს, რაც საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს გაფლანგვისათვის.

ხელმძღვანელი პროფორგანიზაციები ცუდათ ან სრულებით არ უწევენ ხელმძღვანელობას ძირითად უჯრედებს, არ აძლევენ სათანადო რჩევა-დარიგებას, ინსტრუქციებს ფინანსიურ მუშაობის დაყენების შესახებ და სხ.

გაფლანგვების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს სარევიზიო კომისიების სუსტი მუშაობა.

სარევიზიო კომისიების გამოკვლევამ გამოაშკარავა მათი მუშაობის მრავალი ნაკლულოვანება, რომელთა აღმოფხვრა აუცილებელი. რომ ისინი სათანადო სიმაღლეზე დადგენ.

სარ. კომისიები არ ახდენენ რევიზიებს რეგულიარულად. რევიზიებს აქვს შემთხვევითი ხასიათი.

სარევიზიო კომისიები არ იცნობენ თავის ფუნქციებს; სათანადო ხელმძღვანელობის უქონლობის გამო. სარ. კომისიებმა არ იციან, თუ რა უნდა გააკეთონ. მაგ. სარ. კომისიების უმეტესობა თავის მოვალეობას იმით ზღუდავს, რომ სინჯავს მხოლოდ შემოსავლისა და გასავლის ორდერებს, და არ შედის არსებით განხილვაში, თუ ეს შემოსავალი ან ხარჯები არის თუ არა გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვით.

ც. გამგეობებმა გაორკეცებული ენერგიით უნდა იბრძოლონ სარ. კომისიების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ბოლო უნდა მოეღოს ც. გამგეობის მხრივ სარ. კომისიების უყურადღებოთ მიტოვებას. სარ. კომისიებს სჭირდებათ ხელმძღვანელობა. მითითების და ინსტრუქციების მიცემა. სარევიზიო კომისიების უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ც. გამგეობებსაც.

მხოლოდ ასეთი კოლექტიური ღონისძიებები შესაძლებლად გახდის სარ. კომისიების მუშაობის გამოსწორებას. მოსპობს საკავშირო ფინანსების ანგარიშწარმოების ქაოტიურ მდგომარეობას და ბოლოს მოუღებს უდიდეს ბოროტებას, რომელიც ჩირქ სცხებს ჩვენს პროფორგანიზაციებს და რომელსაც საკავშირო თანხების მითვისება და გაფლანგვა ეწოდება.

ამერიკელი სპეციალისტი შახტის პროცესის შესახებ

ამერიკული ფირმის „სტიუარტ ჯემს ენდ კუკ"-ის წარმომადგენელმა ინჟ. ჩარლიზ სტიუარტმა, რომელიც გუშინ წინ ჩამოვიდა თბილისში, გუშინ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში შახტის პროცესის შესახებ სთქვა:

— ჩვენი ფირმა საბჭოთა კავშირში მუშაობს 1927 წლის მარტიდან. ჩვენ უმთავრესად ვაწარმოებთ ახალი მაღაროების გასაყვან პროექტების დამუშავებას. დონის საქვანახშირო რაიონში რამოდენიმე თვის მუშაობის შემდეგ ჩვენი ფირმის წარმომადგენლებმა შეამჩნიეს, რომ ჩვენთვის დასამუშავებლათ ჩაბარებული პროექტები არ არის ეკონომიურად დასაბუთებული, ასეთი მოვლენის რამოდენიმეჯერ განმეორების შემდეგ ჩვენი ფირმის წარმომადგენლებმა პროტესტით მიმართეს ქვა-ნახშირის ტრესტის გამგეობას ხარკოვში და შეიტანეს განცხადება საკავშირო ს. მ. უ. საბჭოში.

ეს მოხდა შახტის მავნებლების დაპატიმრებამდე ექვსი თვით ადრე. გასამართლებულთა დაპატიმრების შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენი მუშაობის დაბრკოლების მიზეზი იყო სწორედ აღნიშნულ კონტრ- რევოლიუციონური ორგანიზაციის საქმიანობა.

მავნებელთა ორგანიზაციამ თავისი საქმიანობით მაინც ვერ შესძლო დონის საქვანახშირო მრეწველობის განვითარების შეფერხება. რადგან მან ვერ მოახერხა თავისი გავლენის გავრცელება სპეციალისტთა ახალ კადრებზე, რომელთა მუშაობის წყალობით დონბასის ქვანახშირის მრეწველობის საერთო პროდუქცია ამჟამად რამოდენჯერმე სჭარბობს ომამდე არსებული დონეს.

ჩვენი ფირმის და ყველა იმ ამერიკელი სპეციალისტების დამოკიდებულებას შახტის მავნებელთა ორგანიზაციისადმი ახასიათებს ის გარემოება, თუ რამდენათ ცდილობდენ მავნებელთა ორგანიზაციის წევრები ხელი შეეშალათ ჩვენი მუშაობისათვის და შეებღალათ ჩვენი პრესტიჟი საბჭოთა საზოგადოებრივობის თვალში. საბედნიეროდ, ჩვენი მუშაობის დაბრკოლების მიზეზი აშკარათ გამოირკვა პროცესზე. პროცესზე, მართალია. გაკვრით იყო ლაპარაკი ჩვენი ფირმის შესახებ, მაგრამ მე შემიძლია განვაცხადო, რომ პროცესს ჩვენი ფირმისა და ჩვენი სპეციალისტების საქმიანობისათვის არ მიუყენებია ოდნავი ჩრდილიც.

თქვენ შეკითხვაზე, თუ როგორ მესახება მე დონბასის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების პერსპექტივა, შემიძლია განვაცხადო: ახალი სპეციალისტების ჩაბმით მუშაობაში, სამუშაოების მექანიზაციის და რაციონალიზაციის გატარებით ამჟამად სავსებით უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს ქვანახშირის მრეწველობის განვითარება. ეს ითქმის არა მარტო დონბასზე, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა საქვანახშირო რაიონებზედაც.

საქონლის ჭირის ლიკვიდაცია ამიერ-კავკასიაში

შრომისა და თავდაცვის საბჭოს სავეტერინარო კომიტეტის მიერ 1926 წლიდან 1927-28 წლამდე ჩატარებული დამკვრელი კამპანიის მეოხებით, ამიერ-კავკასიაში სავსებით მოისპო საქონლის ჭირი. ჭირის ლიკვიდაცია მოხდა მთელი საქონლის იმუნიზაციის საშუალებით. ამ ღონისძიებების გასატარებლათ საკავშირო მთავრობამ გადასდო სპეციალური სახსრები. მოხდინა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკებისა და უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის სავეტერინარო პერსონალის მობილიზაცია და ამ მუშაობაში, ჩაება საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მოსახლეობა უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა დამკვრელი ღონისძიებების გატარებაში. უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში არც ერთი ჭირიანი პუნქტი აღარ არის.

საქონლის ჭირი უდიდეს ზიანს აყენებდა ამიერ-კავკასიის მესაქონლეობას. უკანასკნელ წლებში საქონლის ჭირის გამო ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკა ევროპის ბაზრებს სრულებით ვეღარ აწვდიდა საქონელს. საქონლის ჭირის ლიკვიდაცია ხელს შეუწყობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო განვითარებას.

ამიერ-კავკასიაში საქონლის ჭირი გაჩნდა 30 წლის წინად. (ადს).

ექსკურსიები

დღეს საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აწყობს პროფკავშირების წევრთა ექსკურსიებს საქართველოს სამხედრო გზაზე, ბორჯომ-ლიბანში, ბათომში და სხვა ადგილებში.

სამხედრო გზაზე მიემგზავრება 350 კაცი. ექსკურსანტები თბილისიდან მიემგზავრებიან ავტობუსებით და ნახევრად საბარგო ავტომობილებით. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას გადაწყვეტილი აქვს შემდეგშიაც მოაწყოს პროფკავშირთა წევრების მასიური ექსკურსიები საქართველოს სამხედრო გზაზე.

დღევანდელ ექსკურსიაში მონაწილეობას იღებენ ფეიქართა, ტრანსპორტელთა, მედსანშრომის, საბჭოთა- სავაჭრო მუშაკების და მშენებელთა კავშირების წევრები.

ბორჯომ- ლიბანში სპეციალური მატარებლით მიემგზავრება 200 კაცი. ამ ექსკურსიის მიზანია რკინისგზელთა სანატორიუმის დათვალიერება, ლიბანში და საკურორტო მშენებლობის გაცნობა ბორჯომში; ექსკურსანტები დაათვალიერებენ აგრეთვე ბორჯომის ქარხნებს.

საექსკურსიო მატარებელი თბილისიდან გავა 4 საათსა 45 წ. ექსკურსანტებმა თავი უნდა მოიყარონ სადგურის მოედანზე. ექსკურსია თბილისში დაბრუნდება ორშაბათ ღამით.

ამას გარდა, დღეს ცალკე ჯგუფური ექსკურსიები მიემგზავრება ბათომში, ალავერდში (სპილენძის მაღაროების დასათვალიერებლად), ზაჰესში, კოჯორში და სხვა ადგილებში.

სულ დღეს ყველა ექსკურსიებში მონაწილეობას მიიღებს 1.200 კაცი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალი ჩაის პლანტაციები

ოზურგეთი, 18 ივლისი. ოზურგეთიდან 2 ვერსის მანძილზე, ასისეულის ქედის ფერდობებზე საქციო საზ-ებმ „საქართველოს ჩაი"-მ გააშენა რამოდენიმე ათეული სათესლე პლანტაცია.

აღნიშნულ რაიონშივე ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა მუშა-მოსამსახურეთათვის ორი საცხოვრებელი სახლის ასაგებად. (ადს).

ჩაის მოკრეფა

ოზურგეთი, 18 ივლისი. ოზურგეთის ჩაის ფაბრიკებში 1-ლ ივლისამდე მიღებულ იქნა 37.000 კილოგრამი ჩაის ფურცელი. წელს ჩაის ფურცლის მოსავალი ბევრად დიდია შარშანდელზე. (ადს)

ნათესების მდგომარეობა

ოზურგეთი, 18 ივლისი. სამაზრო - საექსპერტო კომისიის ცნობით, 15 ივლისისათვის მოსავალი განისაზღვრებოდა შემდეგი ნიშნებით: სიმინდი — 4, ბრინჯი, ლობიო — 3 და თამბაქო — 3. (ადს).

ლაშქრობა

ზუგდიდი, 18 ივლისი. თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ზუგდიდის ორგანიზაციამ 14 და 15 ივლისს ჩაატარა ლაშქრობა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 500 კაცზე მეტმა ლაშქრობის ამოცანა იყო ქ. ზუგდიდის აღება. ლაშქრობა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ლაშქრობას დამთავრების შემდეგ გაიმართა მიტინგი.

წერილები

კახეთის აღმასკომის პლენუმი

15 ივლისს სადგურ გურჯაანში შესდგა თელავის და სიღნაღის სამაზრო აღმასკომების გაერთიანებული პლენუმი, რომელსაც ორივე მაზრებიდან დიდძალი ხალხი დაესწრო.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორგანიზაციული საკითხები: 1) პრეზიდიუმის არჩევა, 2) აღმასკომის თავმჯდომარის არჩევა, 3) განყოფილების გამგეების გამოყოფა, 4) მაზრის სახელწოდების და მუდმივი ცენტრის დამტკიცება.

მთავრობის და ორივე მაზრის აღმასკომების სახელით პლენუმს ხსნის ამხ. ვარძიელი, რომელიც აცნობს დამსწრეთ გაერთიანების თაობაზე ჩატარებულ მუშაობას და იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს ეს გაერთიანება.

თავის დადგენილებაში პლენუმმა მოიწონა მთავრობის მიერ აღებული ხაზი, გაერთიანება მიზანშეწონილად ჩასთვალა და დაავალა ახალი აღმასკომის პრეზიდიუმს გამოუშვას მოსახლეობისადმი მოწოდება მაზრების გაერთიანების საკითხზე.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: ამხ. ხირსელი (სიღნაღი), ამხ. ჭურღულაშვილი (თელავი), ამხ. ჩოხელი (კომუნის ხელმძღვანელი), მშრომელ ინტელიგენციის და სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტების სახელით ილაპარაკა აგრონომმა კაკულიამ. ორატორები ხაზს უსვამდენ იმას, რომ ერთნაირ ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებში მოქცეული კახეთის გაერთიანება დროული და მიზანშეწონილია.

ილაპარაკეს კიდევ ამხ. უხუფაშვილმა—(კომკავშირი), ჩეკურიშვილმა (კოოპერაცია), სეფაშვილმა, (გლეხი) და ექიმმა ჯავახიშვილმა, უკანასკნელმა აღნიშნა, რომ კახეთი მდიდარია საკურორტო ადგილებით—რასაც დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. გაერთიანება—ამბობს ამხ. ჯავახიშვილი,—ამ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების საშუალებას მოგვცემსო.

ამხ. ვარამაშვილს შემოაქვს წინადადება, რომ აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ამხ. დავით აფციაური. პლენუმი ამ წინადადებას ერთხმად ღებულობს.

არჩევის შემდეგ ამხ. აფციაური იჭერს კრების თავმჯდომარის ადგილს, რასაც პლენუმი ოვაციებით ხვდება.

ამხ. ვარამაშვილის წინადადებითვე აღმასკომის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 15 წევრი და 6 კანდიდატი. წევრებად აირჩიეს: ამხ. დ. აფციაური, მ. ვარამაშვილი, ბაბალაშვილი, მ. თანდილაშვილი, გ. გოგინაშვილი, ქ. კოხტაშვილი, ნ. გვანცელაძე, ი. ჭურღულაშვილი, მხეიძე, ალ. მაისურაძე, კოსტა მაისურაძე ი. მატინოვი, ქაქალაშვილი, ვარსამაშვილი და ზედელაშვილი. კანდიდატებად: ქ. გეგელიძე, შ. ლორიშელი, გ. ჩეკურიშვილი, ხ. რაზმაძე, აბრია ზურიაშვილი და ნ. აირაპეტოვი.

თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა, ჯანო ბაბალაშვილი (იგივე ადგილობრივ მეურნეობის განყ. გამგე) და ისაკ ფანდილაშვილი (მიწათ-მოქმედების განყოფილების გამგე) განათლების განყოფილების ხელმძღვანელად ქ. გეგელიძე, ჯანმრთელობის განყ. გამგეთ — ქ. კოხტაშვილი, სამფინგანის—ი. მატინოვი, სტატბიუროს—ვ. ნაცვლიშვილი, მილიციის უფროსად—მეხტიაშვილი, მაზრის მოსამართლედ—ნიკოლაიშვილი, პროკურორად წამოყენებულ იქნა ამხ. ქუთათელაძე და მის თანაშემწედ ჩარგეიშვილი.

ამხ. ვარძიელის წინადადებით ახალ მაზრას დაერქვა „კახეთის მაზრა", მუდმივ ცენტრად მიღებულ იქნა გურჯაანი, რომელიც მალე ქალაქად უნდა გადაკეთდეს.

პლენუმი დაიხურა ამხ. აფციაურის მოკლე სიტყვით, რომელშიც მან ყველა ამხანაგებს მოუწოდა გაერთიანებული ძალებით შეუდგენ ახალი ცხოვრების—ახალი მაზრის მშენებლობას.

ალაზნელი.

—:—

წერილებიდან

— წყნეთი, ჩვენს თემში აღმასკომის თავმჯდომარეთ რაღაც სამი თვის განმავლობაში იყო ბარნაბ დაშნიანი, მაგრამ „საქმეები"-ს გაკეთება მაინც რიგიანად მოახერხა. რამოდენიმე ხნის წინ მოხდა ამ „საქმიანობის" რევიზია და დაშნიანს 130 მანეთი აღმოაჩნდა გაფლანგული. გამფლანგველი იხტიბარს არ იტეხს, დადის გლეხებში და „ამტკიცებს", რომ მან ფული სხვადასხვა „საქმეებს" მოანდომა.

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ ეს ასეა, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია გამოირკვეს რა „საქმეები"-ა, ეს საქმეები და რამდენად შეეფერებიან ისინი აღმასკომის თავმჯდომარეს.

კრიტიკოსი.

— ფარხცა-ნაყანევი: (ქუთ. მაზრა). სამიოდე წლის წინ აქ ვინმე ჩიხურდანიძემ და თოდრაძემ გახსნეს კრამიტის ქარხანა. ხალხი სიხარულით შეეგება ამ გარემოებას. შეიძინა კიდეც კრამიტი, მაგრამ არ გასულა ერთი თვეც, რომ ახლად შეძენილი კრამიტი დასკდა და სახურავიდან ჩამოცვივდა.

ჩიხურდანიძეს და კამპანიას ფეხებზედაც არ ჰკიდია ეს გარემოება, ისინი დამშვიდებულად განაგრძობენ უვარგის კრამიტის მზადებას, პირდებიან გლეხებს; ეხლა კარგს ვაკეთებთო და ჩვეულებრივ ატყუილებენ ხოლმე.

ადგილობრივი თემაღმასკომი რას უყურებს?

სოფლელი.

— ალპანა, (ლეჩხუმი) გაიხსნა როგორც იქნა დიდი ხნის ნანატრი საფერშლო პუნქტი, მაგრამ ვაი ამ გახსნას. პუნქტს არავითარი ხელსაწყო და წამლეულობა არ მოეპოვება. უბრალო ბინტი რა არის, ისიც კი არ იშოვება აქ.

ჯანმრთელობის განყოფილება ალბათ ფიქრობს: რაკი პუნქტი გავხსენი და ფერშალი დავაჯინე ავადმყოფობა თავისთავად მოისპობაო. სამწუხაროდ არ მართლდება განყოფილების იმედი. პუნქტიც არის, ფერშალიც და ავადმყოფებიც. არ არის მხოლოდ ხელსაწყოები და წამლები, რომელთა გაგზავნაზე ჯანმრთელობის განყოფილება უნდა ზრუნავდეს.

ფარამ.

პროვინციის ქრონიკა

— **ტრაქტორის შეძენა**. სოფ. ლოცხნარის გლეხთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ (გორის მაზრა) შეიძინა ტრაქტორი.

— **სახალხო სახლი**. სოფ. მაჩხაანში (სიღნაღის მაზრა) გლეხები აგებენ სახალხო სახლს.

— **გზა**. დუშეთის აღმასკომი შეუდგა ახალ შარა-გზის გაყვანას ჟინვალსა, ორწყალსა და ბარისახოს შორის.

— **გლეხკორთა თათბირი**. ამ დღეებში სვირში შედგება სვირის რაიონის გლეხკორთა თათბირი.

— **ოთხწლედისათვის ახალი შენობის** ასაგებათ ფოთის აღმასკომმა გადასდო 19.000 მანეთი.

— **ნაპირების გამაგრება**. შემოქმედში მდინარის ნაპირების გასამაგრებლად ოზურგეთის აღმასკომმა გადასდო 11.860 მან.

— **ჩაის ახალი პლანტაციების** გასაშენებლად ოზურგეთის მაზრამ მომავალ წლისათვის გამოყო 1250 ჰექტარი მიწა.

— **სენაკის აღმასკომი** შეუდგა ადგილობრივ ცხრაწლედისათვის ახალი შენობების აგებას.

მუშათა ცხოვრება

რა უწყობს ხელს მატარებლების გაწყვეტას

ა.-კ. რკინის გზებზე, უბედური შემთხვევების რიცხვი უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა. თუ გადავავლებთ თვალს გასულ წლის მეორე ნახევარში მომხდარ უბედურ შემთხვევებს და შევადარებთ მიმდინარე წლის შემთხვევებს, ვნახავთ, რომ მიმდინარე წლის შემთხვევების რიცხვი თითქმის 50 პროცენტით მეტია გასულ წელზე.

ვისი და რა მიზეზით იზრდება შემთხვევების რიცხვი, არ ვიცით. ამას თვით რკ. გზის სათანადო ორგანოებმა გამოიკვლევენ, მაგრამ რომ უკანასკნელ ხანებში უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლა საგრძნობლად შესუსტდა და თითქმის სავსებით შესწყდა, ეს ცხადია. ამას ამტკიცებს თვით უბედური შემთხვევების რიცხვის ზრდა და მუშკორთა აუარებელი შენიშვნები ამ საკითხზე.

რკ. გზებზე უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ მებრძოლი კომისია, პირველ ხანებში გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა. ამ მუშაობამ ერთხანს შესაფერი ნაყოფიც გამოიღო.; შემცირდა უბედურ შემთხვევების რიცხვი და მოძრაობა ასე თუ ისე დგებოდა ნორმალურ კალაპოტში, მაგრამ შენელდა თუ არა აღნიშნულმა კომისიამ თავისი მუშაობა, უბედური შემთხვევებიც გახშირდა. უბედურ შემთხვევებში დიდი ადგილი უჭირავს სხვათა შორის მატარებლების გაწყვეტას. მართალია მატარებლების გაწყვეტას ხშირად არ მოაქვს მატერიალური დიდი ზარალი, მაგრამ ის გარემოება, რომ გაწყვეტის მიზეზით ფერხდება მოძრაობა და მატარებლებიც იგვიანებს, საგრძნობ დაღს ასვამს რკ. გზის საერთო საქმიანობას.

ყველა ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, გამოწვეულია უბედურ შემთხვევებთან მებრძოლ კომისიის მუშაობის შესუსტებით. რკ. გზის ზოგიერთ შტოზე და განსაკუთრებით კი აზერბეიჯანის ხაზზე, თითქმის სავსებით მოისპო მფრინავი მცველები. არც სამგზავრო და არც საბარგო მატარებლებს, შეიარაღებული ადმინისტრატიული ძალა არ აცილებს. ამით სარგებლობენ რკინის გზებთან ახლოს მცხოვრებნი და ძალიან ხშირად მოგზაურობენ მატარებლებით უბილეთოთ. ეს ხდება განსაკუთრებით საბარგო მატარებლებზე, სადაც შეუძლებელია მემუხრუჭის ერთი ვაგონიდან მეორე ვაგონზე გადასვლა და უბილეთო მგზავრის დატუსაღება.

უბილეთო მგზავრები, ამუხრუჭებენ ვაგონებს, რის გამო მატარებელი უკლებს სიჩქარეს და ხტებიან ისეთ ადგილებში, სადაც ყოვლად შეუძლებელია მატარებლების გაჩერება. დამუხრუჭებული ვაგონები კი იწვევენ მატარებლის გაწყვეტას, რასაც ხშირად ადამიანის მსხვერპლიც მოსდევს.

ასეთი და სხვა ამგვარი მიზეზების წყალობით ხდება მატარებლების გაწყვეტა და მათი დამსხვრევა. რკ. გზის სამმართველომ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს და გააძლიეროს ბრძოლა უბილეთო მგზავრობასთან საბარგო მატარებლებზე.

რკ. გზელი.

—:—

საწარმოო თათბირმა ყურადღება უნდა მიაქციოს
(წერილი ტყიბულიდან)

ტყიბულის მაღაროებში ძალიან ხშირად ტყუილ უბრალოთ იკარგება ელექტრო-დენი: გარდა იმისა, რომ ღამით განათებულია ისეთი ადგილები, სადაც არ არის საჭირო სინათლე, დღისითაც ანთია ლამფები. ეს თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ თუ ვიანგარიშებთ დახარჯულ დენის რაოდენობას ფულზე, ვნახავთ, რომ ელექტროდენის უთავბოლოდ დახარჯვა, საკმაოდ დიდ ზარალს აყენებს რკ. გზას.

ასევე უყურადღებოთ არის მიტოვებული მაღაროების ქონება ერთ-ერთ ღელეში. აქ უპატრონოდ ყრია: რელსები, ბორბლები და სხვა საჭირო რკინეულობა. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ელსადგურის მუშები ასრულებენ ისეთ საქმეს, რომელიც არ შეიცავს მათ მოვალეობას, ანდა მუშაობენ სამუშაო დროის შემდეგ, მაგრამ მუშები სამისოდ არავითარ ჯილდოს არ ღებულობენ. არის კიდევ ისეთი შემთხვევა, როდესაც უმნიშვნელო საქმის შესრულებაში, მუშები მოითხოვენ ზედმეტ ჯილდოს, რასაკვირველია ეს არაა დასაშვები.

კიდევ ერთი ნაკლი: მაღაროების წყალსადენიდან დღე-ღამის განმავლობაში უბრალოდ ილვრება წყალი, არც მაღაროების ადმინისტრაცია და არც სხვა ვინმე ამას არ აქცევს ყურადღებას.

საწარმოო თათბირებმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხებს და მიიღოს ზომები აღნიშნულ ნაკლის გამოსასწორებლად.

დ—ძე.

საწარმოო კონფერენცია

17 ივლისს შესდგა სად. თბილისის მოძრაობის დარგის საწარმოო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა სად. თბილისის ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. ლ. მაისურაძემ. პირველად, თათბირმა მოისმინა სად. თბილისის უფროსის ამხ. ქ. ღვამიჩავას მოხსენება სახალხო მატარებლის გაგორების გადასასვლელ საფარის უვარგისობის შესახებ. მან, აღნიშნა, რომ საფარების კავების სისუსტის გამო, ხშირია გადაბმულებისა და შემადგენლების დაზიანების შემთხვევები. კონფერენციამ დაავალა ინჟინერ-ტეხნიკოსის სექციის ბიუროს, რათა აღნიშნული საფარების კავები შეცვლილ იქნეს მაგარი კავებით.

შემდეგ ამხ. ის. გოგიბერიძე აღნიშნავს, რომ სადგურის ლიანდაგების გაშუქებას არ ექცევა სათანადო ყურადღება, რის გამო სადგურში მუშაობა ბრკოლდება. საწარმოო კონფერენციამ დაავალა ადმინისტრაციას, რათა პირველ აგვისტომდე სად. თბილისში დადგას 6 ახალი ფარანი,; ერთი—ბათომის მხარეს, ნიშანსვეტთან, მეორე ლენინის უბნის ხიდთან და ორი მთავარ სახელოსნოსთან მე-3—4 ძველ ლიანდაგში.

ამხ. გრიგალაშვილი, პაიჭაძე და ვაშაკიძე კონფერენციას აცნობენ, რომ ლიანდაგებში აუარებელი ძველი რკინები ყრია, რომლის გამოყენებაც დიდ სარგებლობას მოუტანს რკინის გზას. კონფერენციამ დაადგინა—ეს რკინები გადაეცეს სალიანდაგო და წევის დარგის სამსახურს. შემდეგ, კონფერენციამ იმსჯელა თბილისის საქონლის სადგურში ზარის ჩამოკიდების შესახებ და მიზანშეწონილად სცნო საქონლის სადგურში ზარის დაკიდება.

ამხ. ლადო მაისურაძე აღნიშნავს, რომ სადგურის მუშა-მოსამსახურეები ხშირად სამსახურში იგვიანებენ. ამიტომ მან საჭიროდ აღიარა სადგურის კანტორებში საკონტროლო დაფების შემოღება. თათბირმა მოიწონა ამხ. მაისურაძის წინადადება და დაავალა ადმინისტრაციას ამ საკითხის მოგვარება.

დასასრულ, თათბირმა მოისმინა სად. რუსთავის უფროსის თანაშემწის ამხ. ცაიმაკურიძის განცხადება, მის მიერ გამოგონებულ აპარატის შესახებ. როგორც მან განაცხადა, ეს აპარატი ბევრად აუმჯობესებს მატარებლების ისრებზე მიღებას და უზრუნველჰყოფს მატარებლებს დამსხვრევისაგან. კონფერენციამ დაადგინა: დახმარება გაეწიოს ამხ. ცაიმაკურიძეს ახალი გამოგონების განსახორციელებლად და დაიდგას მისი აპარატი გამოსაცდელად.

დამსწრე.

მკლავზე იყურება

კლარა ცეტკინის ქუჩაზე მდებარე სახლი № 60 ეკუთვნის მე-25-ე გაერთიანებულ საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას. ამ სახლში მცხოვრებთა შორის, თავისი უზნეო ყოფაქცევით განირჩევა ნიკოლოზ გრიგორიევი, რომელიც ამაყობს თავის მძლავრ კუნთებიან მკლავებით, მუშტებითა და უშვერი სიტყვებით ემუქრება უძლურ დედაკაცებს. გრიგორიევმა, შუაღამისას ააწიოკა დუჩიძის ქვრივის ოჯახი, რადგან უკანასკნელის პატარა ძაღლმა შეჰყეფა გრიგორიევს. გრიგორიევი რევოლვერით გამოეკიდა ძაღლს და შიშისაგან სახლში შეცვივნულ ქვრივ ობლებს დაუწყო მუქარა რევოლვერით. ამის გამო უფროს ქალს გულიც წაუვიდა.

მაგრამ ეს არაფერი. საქმე ის არის, რომ გრიგორიევი არც სხვა მეზობლებს აყრის კარგ ხეირს: იგი ამას წინად მიუვარდა ნ. მაკაროვისას, და სრულიად უმიზეზოდ დაუწყო უშვერი სიტყვებით გინება, რადგან მაკაროვისამ გაბედა და თავის ბინაში შევიდა საერთო სადარბაზო შესავლით. გრიგორიევმა იმ მიზნით, რომ მის კარების წინ არავის გაევლო, შენობის ერთ კორპუსიდან მეორე კორპუსში გასავალი კარები ჩაკეტა, რის უფლებაც მას არ ჰქონდა.

15 ივლისს შუაღამისას, გრიგორიევმა მორთო ყვირილი: „თავს მოვგლეჯავ", „დავხრეტავ", „მოვკლავ", აქ არავინ გამოიაროსო. განსაკუთრებით ემუქრებოდა ამავე სახლში მცხოვრებ მ. წულაძეს, რომელმაც 14 ივლისს გაიარა მთავარ კორპუსით და მივიდა მეზობელთან. მოქ. გრიგორიევი აღნიშნულ კორპუსს, თავის საკუთრებად აცხადებს და არავის არ აძლევს უფლებას გაიაროს ეს კორპუსი. ერთი სიტყვით მოქ. გრიგორიევი ამაყობს ღონით და რევოლვერით და იკლებს მთელ სახლს; აწიოკებს მცხოვრებლებს და ტერორის ქვეშ აყენებს მათ.

ვინ მიაქცევს ამ თავაშვებულ გრიგორიევის საქციელს ყურადღებას და ვინ გამოასწორებს მას.

მემწკრივე.

როგორ მუშაობს საწარმოო თათბირი
(ზაჰესი)

წელიწადზე მეტია, რაც ზაჰესში ჩამოყალიბდა საწარმოო კომისია და საწარმოო თათბირი. ამ ხნის განმავლობაში საწარმოო თათბირმა საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საწარმოო თათბირზე დასმულმა საკითხებმა ვერ გამოიღო ისეთი ნაყოფი, როგორიც საჭირო იყო წარმოებისათვის. მაგალითად, თათბირმა იქონია მსჯელობა წყალის გაყვანის შესახებ და გაყინვასთან ბრძოლის მიზნით დაადგინა წყალსადენი ამოლესილი იქნეს თოვლით. ეს დადგენილება და გეგმა წარმოდგენილ იქნა ტეხნიკურ ბიუროში, შესასრულებლად. ადმინისტრაციამ გააცხადა, რომ „სიმენს ბაუნიონის" ფირმასთან აღძრულია საკითხი და ახლო მომავალში მოწვეულია თათბირი საკითხის საბოლოოდ დასამუშავებლად, მაგრამ მიუხედავად ამისა საქმეს შედეგი მაინც არ უჩანს.

საწ. თათბირის დადგენილების თანახმად შეძენილი იქნა ორი მოტორიანი ნავი, რომელიც 6.000 მანეთზე მეტი დაჯდა. მათ ამუშავებას კი ორი თვე მოუნდა. ფული დაიხარჯა და გადაყვან-გადმოყვანის საკითხი კიდევ ვერ არის სათანადოთ მოგვარებული, უნდა აღინიშნოს, რომ მოტორიანი ნავების შეძენას და მის ამუშავებას იმდენად ნაყოფი არ მოუტანია, რამდენადაც მასალის გადაზიდვ-გადმოზიდვა შეაფერხა. ამასთანავე ნავის მოტორი ნაკლებ ძალიანია, რის გამო წყლის წინააღმდეგ მიმართულებით, სვლა ნავს ძალზე უძნელდება. უკეთესი იქნებოდა ადმინისტრაციას შეეძინა ნახევრად საბარგო ავტომობილი, რაც შედარებით ნაკლებიც დაჯდებოდა, ხარჯებსაც თვალსაჩინოდ შეამცირებდა და მასალის გადაზიდვასაც გააუმჯობესებდა.

მიუხედავად ადმინისტრაციის ასეთი უყურადღებობისა საწ. თათბირისადმი, საწარმოო თათბირის მუშაობამ მაინც გააცხოველა ადგილობრივი საწარმოო და საზოგადო მუშაობა.

საჭიროა ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება მიაქციოს საწარმოო თათბირების მუშაობას და მიიღოს ზომები დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

საყვავისტყელი.

ჩვენს კლუბებში
(წერილი ლიუქსემბურგიდან)

გასული წლის გაზაფხულზე, ლიუქსემბურგის მუშათა კლუბის გამგეობამ, დრამწრის ხელმძღვანელად მოიწვია ამხ. ნეფედიევი, რომელიც ენერგიულად შეუდგა კლუბის მუშაობის გაფართოვებას და კლუბთან რუსულ-ქართულ, სომხურ და თათრულ დრამწრეების ჩამოყალიბებას. წრეებში უმთავრესად შედიოდნენ ადგილობრივი მუშა - მოსამსახურენი. მუშაობა გაჩაღდა; გაზაფხულის პერიოდის მუშაობა პირნათლად და ნაყოფიერად შესრულდა.

ზამთრის პერიოდში, კლუბის ნორმალურ მუშაობას ზოგიერთები ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ კლუბის დარბაზის, სცენის და დეკორაციების შეკეთებით, კლუბის გათბობით და საკლუბო მუშაობის გაძლიერებით კლუბმა შესძლო შემოეკრიბა მუდმივი აუდიტორია. წრეების მუშაობით დაინტერესებული კლუბის წევრების მასა, არც ზამთარში ჩამოშორდნენ კლუბს.

მიუხედავად ქალაქის ცენტრთან კლუბის სიშორისა და მუდმივად ცუდი ამინდებისა, რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულ საღამო-წარმოდგენებზე, დარბაზი გაჭედილია ხალხით, სხვა წრეების მუშაობაც სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული.

წრის წევრთა შორის არსებობს ნამდვილი მუშური დისციპლინა და შეთანხმებული მუშაობა რაც უნდა მიეწეროს ამხ. ნეფედიევს სწორ დაუღალავ მუშაობას. ასეთია ჩვენი მუშათა კლუბის მუშაობა. იმედია მომავალში ეს მუშაობა უფრო გაცხოველდება.

ჟანელი.

მუშკორთა წერილებიდან

ფულის მახე. არსენალის რაიონში, წითელი ბაღის ქუჩაზე არსებობს სამიკიტნო „პატარა ბირჟა", რომელიც არსენალის მეხანიკური ქარხნის მუშებისათვის ფულის მახეთ არის გადაქცეული. დილიდან ღამის 2—3 საათამდე, სამიკიტნოში გაისმის ყვირილი და უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება. აღმასკომო, მოგვაშორეთ ფულის მახე.

კომკავშირელი.

სად არის კედლის გაზეთი? (გორი). მედსანშრომის კავშირის გორის კომიტეტთან გამოდიოდა კედლის გაზეთი, რომელსაც ხელმძღვანელობდა, რამოდენიმე ადგილკომი. მიუხედავად ამდენი ხელმძღვანელებისა, კედ. გაზეთი უკვე კარგა ხანია არა სჩანს. ადგილკომო, სად არის კედლის გაზეთი?

გლეხკორი.

ხორბლეულის დამზადება

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა 1928—29 წელში ხორბლეულის დასამზადებლათ კომისარიატის მიერ შემუშავებული ღონისძიებები დასამტკიცებლათ წარუდგინოს ა.-კ. სახკომსაბჭოს.

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინადადებით, ხორბლეულის დამზადება უნდა დაევალოს მხოლოდ კოოპერაციას: აზერბეიჯანში—„აზერიტიფაკ" „ქებიბირლიგს" და „ნახქებირლიგს"; სომხეთში—„აიგიუხკოოპს" და საქართველოში —„სოფლის კავშირს". ხორბლეულის დამზადების ფინანსებით მომარაგება განზრახულია სახელმწიფო ბანკის საშუალებით.

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი დიდ ყურადღებას აქცევს მოუმკელ პურეულის შეძენას. ვაჭრობის კომისარიატის წინადადებით კოოპერაციას უნდა გადაეცეს საჭირო თანხები მოუმკელ პურეულში ავანსების გასაცემათ.

სიმინდზე კონტრაქტაციის ჩასატარებლათ საჭიროთ არის ცნობილი 300.000 მან. გადადება.

ამასთანავე ა.- კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი აწესებს მოუმკელ პურეულის დასამზადებელ და ადგილობრივი ფქვილისგან გამომცხვარ პურის საგასაცემო ფასებს.

ივლისში დამზადებული ხორბლეული განზრახულია გადაეცეს იმ რაიონებს, სადაც ხორბლეულის მეურნეობა არ არის გავრცელებული და მოსალოდნელია ხორბლეულის საკითხის გამწვავება: ხოლო შემდგომ თვეებში დამზადებული ხორბლეული გადაიდება სათესლე მასალათ და თბილისის ბაზრის დასაკმაყოფილებლად.

შრომის დაცვა

ამიერ - კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მუშა-ხელის დაქირავების, დათხოვნის და ხელფასის მიცემის კანონმდებლობის დარღვევისათვის.

ამ დადგენილების ძალით შრომის კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ თანამდებობის პირებს, რომლებზედაც დამოკიდებულია მუშა - მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის საქმე.

შრომის კანონმდებლობის დარღვევა, მუშახელის დაქირავების, დათხოვნის და ხელფასის გაცემის დროს, იწვევს სისხლის სამართლის, დისციპლინარულ და სამოქალაქო სასჯელს.

სისხლის სამართლის წესით დაისჯებიან თანამდებობის ის პირნი, რომლებიც დაარღვევენ კანონს დემობილიზაციით დათხოვნილ წითელ-არმიელების, მოზარდების, სტაჟიორების და პრაქტიკანტების სამუშაოზე მიღების შესახებ.

მუშა-ხელის მასიური და ჯგუფური დაქირავება უნდა მოხდეს შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

სასამართლოს, ან საკონფლიქტო ორგანოების დადგენილების არ შესრულება უკანონოთ დათხოვნილ მუშა - მოსამსახურეთა აღდგენის შესახებ, აგრეთვე იწვევს დამნაშავის სისხლის სამართლის წესით დასჯას.

პროექტში აგრეთვე გათვალისწინებულია მიღება-დათხოვნის და ხელფასის გაცემის კანონის დარღვევის ყველა შემთხვევები, რისთვისაც დამნაშავენი დაისჯებიან სათანადოთ.

პროექტი უკვე შეთანხმებულია ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკების შრომის კომისარიატებთან და ამ დღეებში გამოცემული იქნება ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ფინანსთა სახ. კომისარიატის სახელით.

„კულტურული რევოლუცია სტატისტიკაში"

პროფ. მ. სმიტის მოხსენება სტატისტიკოსთა კონფერენციაზე

20 ივლისს საღამოს შესდგა სტატისტიკოსთა საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი მ. სმიტი.

თავის მოხსენებაში პროფ. სმიტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობამ თავისი განვითარების ტემპით ბევრით გაუსწრო წინ სტატისტიკას. მომხსენებელი საჭიროდ სთვლის, რომ სტატისტიკა უკან კი არ ჩამორჩეს ცხოვრების განვითარებას, არამედ მისი განვითარება სწორდებოდეს ცხოვრების სხვა დარგების განვითარებასთან პარალელურად. სტატისტიკის ძირითადი დანიშნულება საბჭოთა სახელმწიფოში ისაა, რომ მან სწორი და უტყუარი ცნობები მოგვცეს ჩვენი განვითარების ტემპის შესახებ და ასეთივე სწორი ცნობები მიაწოდოს ახალი აღმშენებლობის ხელმძღვანელ ორგანოებს. აღმშენებლობა მით უფრო რაციონალურათ იწარმოებს, რამდენათაც სწორ და ურყევ ცნობებს მიაწოდებს მას სტატისტიკა პროექტების დამუშავებისა და გეგმების შედგენის დროს. სტატისტიკის ამ მნიშვნელობით აიხსნება ის გარემოება, რომ არც ერთი სახელმწიფო არ აქცევს იმდენ ყურადღებას სტატისტიკის დაყენებას შესაფერ დონეზე, როგორც საბჭოთა ხელისუფლება.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სოციალისტური აღმშენებლობის ინტერესები მოითხოვს სტატისტიკური მუშაობის მეთოდების და თეორიის შეცვლას. უნდა მოხდეს კულტურული რევოლუცია სტატისტიკაში, რაც იმაში უნდა გამოიხატოს, რომ სტატისტიკაში სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული დიალექტიური თეორია და იქიდან გამომდინარე მუშაობის მეთოდები. კულტურული რევოლუცია სტატისტიკაში პრაქტიკულათ უნდა გამოიხატოს ზოგიერთ სამუშაოთა აბსოლიუტურ მექანიზაციაში. მუშაობის დაყენებაში რაციონალურ საფუძველზე და სტატისტიკური ორგანიზაციის გამარტივება-გაუმჯობესებაში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ქუთაისი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სამაზრო პროფბიუროში

ქუთაისის სამ. პროფსაბჭოს დადგენილებით, შრომის ბირჟის გამგე ვანო ნასარიძე მოხსნილია თანამდებობიდან და მის ადგილზე წამოყენებულია ამხ. სილიბისტრო ხობუა.

ბიუროს დადგენილებით „რემედასის" 100 ცალი ტალონ-ქვითარები განაწილებული იქნება კავშირებზე.

აღძრულ უნდა იქნეს შუამდგომლობა პროფსაბჭოს წინაშე, რათა 90 ადგილი ქუთაისის მაუდის საქსოვ ქარხანაში, რომელზიდაც უნდა გამოიგზავნოს მოსწავლენი თბილისის საქსოვ ქარხნისთვის კვალიფიციურ მუშა-ხელის მოსამზადებლად, მთლიანად დაეთმოს ქუთაისს, რადგან ქუთაისში უმუშევართა რიცხვი დიდია.

შემთხვევა

17 ივლისს, ლერმონტოვის ქუჩაზე, „ზაკროსჩიკი" ამბაკო რუსაძე გირით დაჭრა მასთან მისულმა მუშტარმა მოქ. სერგო რუხაძემ, რომელმაც მოასწრო მიმალვა. მიღებულია ზომები მის შესაპყრობად.

ხე-ტყე დაზარალებულთათვის

დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტმა ახალციხის მაზრიდან მიიღო ერთი ვაგონი ხე, ხოლო რაჭის სამაზრო აღმასკომისაგან ათას მანეთად ღირებული ხე-ტყის მასალა.

მიმოსვლის აღდგენა ორპირის გზაზე

რადგან მდინარე გუბის წყალზე ახლო ხანში დამთავრდება რკინის გზის ახალი ხიდის აგება, ამიტომ სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა რკ. გზათა სამმართველოს წინაშე, რათა ძველი ხიდი გუბის წყალზე საექსპლოატაციოთ გადაეცეს მაზრას, რომ იგი გამოყენებულ იქნეს მიმოსვლის აღსადგენათ ქუთაისს-სამტრედიას შორის ძველი ორპირის გზით.

დახმარება დაზარალებულთ

საქართველოს სახკომსაბჭომ აცნობა ქუთ. სამაღმასკომს, რომ მის მიერ გაგზავნილია მიმართვა ა.-კ. სახკომსაბჭოსადმი, რათა ამ უკანასკნელმა განკარგულება გასცეს ამ თავითვე: 1) გაღებულ იქნეს 500 ათასი მანეთი ხანძრისაგან დაზარალებულთა ახალშენის მოსაწყობათ და 2) სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ დასაზღვევი ჯილდო გასცეს იმ დამწვარ შენობებზედაც, რომელნიც დაზღვეულნი არ ყოფილან.

სამოსწავლო კურსები

20 ივლისიდან ქუთაისში ოთხწლედთა მასწავლებლების გადასამზადებლათ ეწყობა ერთთვიანი კურსები.

ხანძრისაგან დაზარალებულთა მდგომარეობა

ამჟამად დარაბებში მოთავსებულია 225 ოჯახი, რომელიც შესდგება 1073 სულისაგან. 50 ბავშვი მოთავსებულია საბავშვო კოლექტივებში. დაზარალებულნი განაწილებულნი არიან 106 დარაბაში, საჭიროა მათთვის კიდევ 41 ბინა, ე. ი. სულ საჭიროა 147 ბინა. ხსენებული რაიონებიდან უკვე გამოძებნილია 132 ბინა. ამჟამად მოწყობილია საცხოვრებლათ 10 დარაბა, 23—ეწყობა და ახლო ხანში იქნება მზად.

ახალი აღმშენებლობისათვის გადადებულია 350 ათასი მანეთი, მოსალოდნელია ა.-კ. მთავრობისაგან დამატებით—500 ათასი მან. მიღება. წინადადება მიეცა კომუნ. მეურნეობას სასწრაფოთ დაამუშაოს ახალშენის დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა. ახალშენის გეგმა უკვე შედგენილია.

პროფბიუროს პლენუმი

20 ამა ივლისს, დილ. 10 საათზე, მე-3 ინტერნ. კლუბში მოწვეულია პ.-ბიუროს პლენუმი, რომელზედაც დაესწრებიან პროფბიუროს გამგეობის წევრები, კავშირების თავმჯდომარეები, პ.-მგ. მდივნები, გამგეობის წევრები. რაისამდივნოების და ადკომის წევრები. დღის წესრიგშია: შრომის ინსპექტორის მოხსენება, ხონის სამდივნოს მოხსენება, სამტრედიის სამდივნოს მოხსენება. მოხსენება აბშორის მუშაობის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

მემამულეთა მფარველი

როგორც გამოირკვა, პატრიკეთის თემში, ყოფილი მემამულენი ანტონ წილიკაძე და გიორგი მდივანი—24-25 საბიუჯეტო წლიდან არც ერთხელ არ დაბეგრილან. შემთხვევით აღმოჩნდა ეს გარემოება და აღმოჩნდა ისიც, რომ ხსენებულ მემამულეებს საქმეს უჩარხავდა ადგილობრივი თემაღმასკომის ყოფ. მდივანი იაშვილი, რომელიც კაი ხანია დაპატიმრებულია გაფლანგვისათვის. საქმე ქუთაისის პროკურატურაზეა გადაცემული.

1-ლი საბინაო-საიჯარო ამხანაგობა

13 ივლისს შესდგა პირველი საიჯარო-საბინაო ამხანაგობის დამფუძნებელი კრება, წერეთლის ქუჩის მე-3 შესახვევში. ამხანაგობა აერთიანებს 13 ოჯახს. ასეთ ამხანაგობათა მოვალეობა-მნიშვნელობის შესახებ კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ადგილობრივი შრომის უფროსი ინსპექტორი ამხ. ჯიბლაძე. ამხანაგობაში შედიან მუშა-მოსამსახურენი.

მაზრის საძოვრებზე

ქუთაისი, 19 ივლისი. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის საძოვრების განყოფილების გამგემ, რომელმაც ეხლახან გამოიკვლია საძოვრები, ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა, რომ კარგი ამინდების გამო, საძოვრების მდგომარეობა შარშანდელზე ბევრად უკეთესია. განზრახულია ბაღდადის რაიონის საძოვრები—300 ჰექტარი—გამოყენებული იქნას სათიბად, რაც მოგვცემს 12.000 ფუთ თივას. ყურადღება მიექცა იმას, რომ თემის რწმუნებულებს, რომლებიც ვერ ახერხებენ საძოვრებისათვის საჭირო საქონლის მოგროვებას, ზოგიერთ ადგილში [illegible] კერძო მოიჯარადრენი, რომლებიც ყვლეფენ გლეხებს. აღმოჩნდა ისეთი შემთხვევებიც, როცა მესაქონლეები საძოვრებს ყიდულობდენ სპეკულიანტური მიზნებით. (ადს).

აჟიოჟა ობლიგაციებზე

ქუთაისი, 19 ივლისი, დააპატიმრეს ვანის რაიონში მოვაჭრე ისრაილ ჩიკვაშვილი, რომელიც მეტად სტყუებდა გლეხებს სახელმწიფო სესხების ობლიგაციებს. ჩიკვაშვილი არწმუნებდა გლეხებს—ობლიგაციას არავითარი ღირებულება არა აქვს და ის გლეხისათვის საჭირო არ არისო. ობლიგაციებში ჩიკვაშვილი აძლევდა გლეხებს ბევრად უფრო ნაკლებ ღირებულების საქონელს, ვიდრე ობლიგაციები ღირდენ. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

23 ივლისი დასასვენებელი დღეა

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის განმარტებით 23 ივლისი (ორშაბათი) განსაკუთრებული დასასვენებელი დღეა.

სამზადისი 7 საათიან სამუშაო დღეზე გადასასვლელად

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გამოყო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს და შეადგინოს იმ წარმოებებისა და ფაბრიკა-ქარხნების სია, სადაც უახლოესი 5 წლის განმავლობაში შემოღებული უნდა იქნეს 7 საათის სამუშაო დღე.

კომისიამ თავისი მუშაობა უნდა დაამთავროს ერთ კვირაში.

სამალარიო კონფერენცია

დღეს, დილის 9 საათზე, ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში გაიხსნება სრ. საქართველოს სამალარიო კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია 5 საკითხი მალარიასთან და სხვა ტროპიკულ სნეულებებთან ბრძოლის შესახებ.

კონფერენციის მუშაობა გაგრძელდება სამი დღე.

თამბაქოს ფაბრიკების კონცენტრაცია

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, ზაფხულის და შემოდგომის განმავლობაში ჩაატაროს თბილისის თამბაქოს ფაბრიკების კონცენტრაცია. ამასთან პრეზიდიუმმა წინადადება მისცა თამბაქოს ტრესტს, გადასინჯოს და გაადიდოს ტრესტის საწარმოო პროგრამა, რათა არ მოხდეს საქართველოს თამბაქოს მრეწველობის საწარმოო მუშების რიცხვის შემცირება. (ადს).

ტყავეულობის შემოტანა მეოთხე კვარტალში

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ამიერ-კავკასიისათვის გამოყოფილია 400.000 მ. ტყავეული საქონელი. ამ რაოდენობიდან საქართველოში შემოზიდული იქნება 188.000 მან. ტყავეული, რომელიც ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ ორგანიზაციათა შორის განაწილებულია შემდეგნაირად: ცეკავშირს მიეცემა —40.000 მან. ტყავეული, „ზაკვოენპო“-ს — 10.000 მ., აფხაზეთის კოოპ. კავშირს — 5.000 მან., „ტყავტრესტს“ 25.000 მ., სარეწკოოპკავშირს — 30.000 მან., შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ უმუშევართა კოლექტივებს — 25.000 მან. „გრუზგოსტორგ“-ს — 38.000 მ., აფხაზეთის სახ. ვაჭრობის საპაიო ამხ-ბას — 7.000 მან., აჭარისტანის სახ. ვაჭრობას—5.000 მან., ხოლო სარეზერვო ფონდში გამოყოფილი იქნება 3.000 მან. ტყავეული.

მებამბეობა

ა.-კ. სახკომსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა ბამბის მეურნეობის განვითარების საკითხი: სახკომსაბჭომ გამოყო კომისია ამხ. სმირნოვის (თავმჯდომარე), ბირიუშევის, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა.-კ. ს.ინ. სახ. კომისარიატის და „ზაკსოიუზი“-ს წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შემდეგი საკითხების დამუშავება. ნედლი ბამბის ფასები: ღონისძიებები მოსავლიანობის ასამაღლებლათ და ნათესების სივრცის გასაფართოებლად. ა. კ. მებამბეთათვის ხორბლეულის და ფართლის შემოზიდვის და განაწილების წესები; მიწის ხელოვნურათ განოყიერების კამპანიის გეგმა; აგროღონისძიებათა გადაცემა მებამბეობის კოოპერაციისათვის’ კოოპერაციის საკომისიო გასამრჯელოს განსაზღვრა და ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის ფინანსიური მდგომარეობის გამოკვლევა.

გურიის ნავთიანი ადგილების შესწავლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა გეოლოგი ხ. ილინი, რომელიც საბჭოთა კავშირის გეოლოგიური კომიტეტის მიერ გამოგზავნილია გურიის ნავთიანი ადგილების შესასწავლად.

გეოლოგი ილინი წარსულ წელს აწარმოებდა გეოლოგიურ გამოკვლევებს ომფარეთის რაიონში. წელს იგი უხელმძღვანელებს გეოლოგიურ-გამომკვლევ ექსპედიციას უკვე დაწყებული სამუშაოების დასამთავრებლად.

თბილისის აღმასკომში

◆ **საფაბრიკო-საქარხნო სკოლის საჭიროებისათვის** თბ. აღმასკომმა გადასცა 16.000 მანეთი.

◆ **ახალგაზრდათა ახალშენის მოსაწყობათ** კომკავშირის ცეკას თბ. აღმასკომმა გადასცა 2.000 მანეთი.

◆ **სახლების დაზღვევა.** აღმასკომმა დაადგინა დააზღვიოს ყველა ჩამოთმეული სახლი.

◆ **ასურეთის საექიმო პუნქტთან** კბილის კაბინეტის მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასცა 675 მანეთი.

◆ **წყალსადენის ახალი** მაგისტრალების გასაყვანათ გარეუბნებში გადაიდო 5000 მანეთი.

◆ **საფინანსო - საკონტროლო** განყოფილების გამგეთ დაინიშა ამხ. შ. მარგალიტაძე.

სხვადასხვა

◆ **სატყეო ტრესტის** გამგეთ დაინიშნა ამხ. იორამაშვილი, მის მოადგილეთ ამხ. ბრეგვაძე.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** მოსკოვიდან —კუკინს, იქიდანვე — შულანს, იქიდანვე — კვიტაშვილს, ბოლოგოიდან — ბუხვარს, ლენინგრადიდან — კიმმარეიშვილს.

—:—

შემთხვევები

ჯიბგირი ცოლ-ქმარი

მილიციამ დააპატიმრა ცოლ-ქმარი ვლადიმერ ზაბიცკი და ტატიანა ოგანეზოვა (მცხ. ვასერის ქ. 10), რომლებმაც ფულის ამოცლის მიზნით ხელი ჩაუყვეს ჯიბეში მოქ. ვალერიან შანიძეს (მცხ. ქორესის ქ. 30).

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა: იაგორ კუშჩენკო, და მიხეილ ლეჟიევი, ანა ნიკიტის ასული შჩიტოვა და მოსე მარკისძე კინუსი.

ქურდობა

ღიათ დატოვებულ კარიდან გაქურდეს კონსტანტინე ძაძანიას ბინა (ნავთლუღში), მოპარულია 400 მანეთის ნივთები. მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ვასილ სანიკიძის ბინა (ორჯონიკიძის ქ. № 77). წაიღეს 80 მანეთის საოჯახო ნივთები.—კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს დარჩო თათუაშვილის სასადილო (შუა ბაზრის ქ. № 55). წაიღეს 118 მანეთის ნივთები,—ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ნიკოლოზ ჯიოევის ბინა (საბჭოთა ქ. № 108), მოიპარეს 133 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა. გარდა ამისა, 19 ივლისს, ქალაქში აღრიცხულია რვა სხვადასხვა ქურდობა.

ყაჩაღის დაჭერა

ახალსენაკი, 19 ივლისი. სენაკის სამაზრო მილიციამ შეიპყრო ყაჩაღი შაფათავა, რომელიც ერთ წელიწადზე მეტს თარეშობდა სენაკის და ზუგდიდის მაზრებში. (ადს).

კავკასიის წითელდროშოვან არმიის სპარტაკიადა

კალათბურთი

კალათბურთის უკანასკნელ შეჯიბრების შედეგები ასეთია: 1-ლი ქართული დივიზია—კავკასიის მეორე მსროლელი დივიზია—35:5 ქართული დივიზიის სასარგებლოდ; სახელ. პოლიტსამმართველოს და 1-ლ ქართული დივიზიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა მეორეს გამარჯვებით 26:11.

შეჯიბრება იერიშებზე გადასვლაში

19 ივლისს ჩატარდა ცილობა იერიშებზე გადასვლაში. სტარტი დანიშნული იყო ა.-კ. ქვეითი ჯარის სკოლის ეზოში. დისტანცია 25 კილომეტრი. მარშრუტი; გერმანელთა კოლონია, ღრმა ღელე, მლაშე ტბა, გარნიზონის სასროლი მოედანი. წინასწარი შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა აზერბეიჯანის მსროლელი დივიზია, რომელმაც დისტანცია დაფარა 5 საათსა, 12 წუთსა და 13.2 წამში; მეორე ადგილი დაიკავა სომხეთის დივიზიამ—5 საათი, 18 წუთი, 41,2 წამი, მესამე ადგილი ხვდა საქართველოს მსროლელი დივიზიას —5 საათი, 19 წუთი 49.4 წამი.

შეჯიბრება სროლაში

სროლაში პირველ ადგილზე გამოვიდა საქართველოს მსროლელი დივიზია, მეორე ადგილი დაიკავა ა.-კ. სახელ. პოლიტსამმართველომ, ხოლო მესამე—სომხეთის დივიზიამ.

ფეხბურთი

უკანასკნელი ორი დღის შეჯიბრებების შედეგები ასეთია: მეორე ქართული დივიზია—სურამის სამხედრო ბანაკი 7:1 სურამის სასარგებლოდ’ კავკასიის მესამე მსროლელი დივიზია—პირველი ქართული დივიზია 5:1 პირველის სასარგებლოდ; სომხეთის დივიზია და კავკასიის მეორე მსროლელ დივიზიის შეჯიბრება დამთავრდა უკანასკნელის გამარჯვებით 4:2; გუშინდელი შეჯიბრება ჯავშნიან ნაწილებისა და კავკასიის მეორე მსროლელ დივიზიის გუნდებს შორის დამთავრდა მეორის გამარჯვებით 4:1.

ხიშტებით ფარიკაობა

ხიშტებით ფარიკაობაში პირველ ადგილზე გამოვიდა **ლაზანოვიჩი** (ა.-კ. სახ. პოლიტსამმართველო), მეორე ადგილზე **პროკოფიევი** (კავკასიის მეორე მსროლელი დივიზია), ხოლო მესამეზე—**საფრონოვი** (კავკასიის პირველი მსროლელი დივიზია).

ხტომა სიმაღლეზე

სიმაღლეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიჭირა **ნიკოლაიშვილმა** (მეორე ქართული მსროლელი დივიზია), რომელიც გადახტა 160 სანტიმეტრზე. მეორე ადგილზე გამოვიდა **არლიახანი** (ა.-კ. სახ. პოლიტსამმართველო), ხოლო მესამეზე **იზვარიანი**.

ფიზკულტურა და სპორტი

ფიზკულტუროსნების დაზღვევა

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში შესდგა პროფკავშირის ფიზკულტურის წრეთა ბიუროების თავმჯდომარეების თათბირი, რომელსაც დაესწრო 67 კაცი.

თათბირის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: ფიზკულტუროსანთა სახელმწიფო დაზღვევის შესახებ, ფიზკულტურის გამოკვლევა მუშათა კლუბებში, ფოსტა-ტელეგრაფის წრის ბიუროს მოხსენება და ბიუროების გადარჩევის ვადის დანიშვნა.

ფიზკულტუროსანთა სახელმწიფო დაზღვევის შესახებ გამოითქვა სურვილი, რომ მოსკოვის პროფკავშირების მაგალითის მიხედვით მომავალი ოქტომბრიდან დაზღვეულნი იქნან თბილისის ფიზკულტუროსნებიც ყოველგვარ უბედურებისაგან, რომელიც დაკავშირებული იქნება ფიზიკურ ვარჯიშობასთან და სპორტთან.

თანახმად სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წარმომადგენლის მოხსენებისა, ასეთი დაზღვევა შესაძლებელია წლიურად 1 მან. 25 კაპ. შეტანით ყოველ ფიზკულტურისანზე. 100 პროცენტით დაშავება (შრომის უნარის სრულიად დაკარგვა) ანაზღაურებული იქნება 1.000 მანეთით. თათბირმა გამოსთქვა სურვილი, რომ პირველ რიგში დაზღვეული იქნენ ფეხბურთელები და ტანვარჯიშული და ძალოსნური სექციების პირველ ჯგუფები. ტეხნიკურად თუ ვის ხარჯზე იწარმოებს დაზღვევა, ჯერ გამორკვეული არ არის; ფიზკულტუროსანთა დაზღვევის საფუძვლად დაედება მოსკოვის, ლენინგრადის და უკრაინის პროფკავშირების გამოცდილება.

რაც შეეხება ფიზკულტურის გამოკვლევას მუშათა კლუბებში, თათბირმა დაადგინა ეთხოვოს საქართველოს პროფკავშირთა ფიზკულტურის ცენტრალურ ბიუროს, რომ ეს გამოკვლევა დაუკავშირდეს ფიზკულტურის კვირეულს მუშათა კლუბებში.

ფოსტა-ტელეგრაფის წრის ბიუროს მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წრეში ამჟამად გაერთიანებულია 60 ფიზკულტუროსანი, აქედან 12 ქალია. წრის შემადგენლობიდან 65 პროცენტი ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებია, დანარჩენი მათი ოჯახის წევრები. წრეში შედარებით დიდია 30—45 წლიან ჰასაკის წევრთა პროცენტი.

წრესთან არსებობს ტანვარჯიშული, ძალოსნური და მსროლელთა სექციები. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში წრემ მოაწყო 5 ექსკურსია კულტურულ-განმანათლებელი და ჰიგიენურ-ჯომარდული ხასიათის და ერთი ლეკცია კინოთი.

ბიუროების გადარჩევა თათბირის დადგენილებით, ჩატარებული უნდა იქნეს 1-ლი ოქტომბრიდან 1-ლ ნოემბრამდე. გადარჩევის ჩატარება თათბირმა მიანდო პროფკავშირების ფიზკულტურის ცენტრალურ ბიუროს.

—:—

თბილისის „დინამო“ მოსკოვში

საგასტროლო მოგზაურობის შემდეგ აგვისტოს პირველ რიცხვებში მოსკოვში ჩავა თბილისის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო-პირველი“, რომელმაც ამიერ-კავკასიის პირველობა აიღო.

საკავშირო სპარტაკიადაზე გუნდი გამოვა გაძლიერებული შემადგენლობით. გუნდს ბაქოდან მიემატება სამი მოთამაშე. გუნდი გამოვა შემდეგი შემადგენლობით:

მეკარე—**პაპკოვი**, მცველები—**ფოხხუა, კოროტკოვი** (ბაქო), თავდამსხმელები—**ქოიავა ფაჩულია, ვაჩნაძე, თურქია** (ბაქო) და **გნეზდოვი** (ბაქო).

სათადარიგო მოთამაშეები: **ბადლოევი ნიხეზინი** (ბაქო), **გუნია** და **ქებაძე**.

„ნაკრები არმია“—„გემო-კვების მუშაკები“

კვირას, 22 ივლისს, საღამოს 5 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ამხანაგური შეჯიბრება წითელი არმიის ნაკრებ გუნდსა და გემო-კვების მუშაკთა გუნდს შორის. ეს გუნდი ეხლახან დაბრუნდა დონბასიდან, სადაც 20 შეჯიბრებიდან მოიგო 12, ფრედ დაამთავრა 5 და წააგო 3.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი ცეცხლგამძლე საღებავი

ამ რამდენიმე ხნის წინათ გერმანიაში გასაყიდათ გამოუშვეს ახალი ცეცხლგამძლე საღებავი, რომელიც ხის შენობებს სავსებით იცავს ცეცხლისაგან. იმ ცეცხლგამძლე საღებავებს, რომლებიც ამჟამად მოიპოვება ბაზარზე, ის ნაკლი აქვს, რომ დროთა ვითარებაში და აგრეთვე სიცხის გამო სკდება და უკვე აღარ ასრულებს თავის დანიშნულებას. ახალი საღებავი წარმოადგენს კერამიკულ მასას, რომელშიაც შერეულია ორგანიული ნივთიერებაი. ამ უკანასკნელი გარემოების წყალობით, ახლა საღებავს მეტ სიმკვრივესა და ცეცხლგამძლეობასთან ერთად, აქვს აგრეთვე დიდი ელასტიურობაც, რომელიც საშუალებას აძლევს შეცვალოს თავისი ფორმა საგნის მოცულობასთან ერთად და არ დასკდეს. რამდენადაც მეტია საღებავის ფენა, მით უფრო მეტად უწევს ცეცხლს წინააღმდეგობას ამ საღებავით შეღებილი ხე. გამოცდის დროს, პატარა ხის სახლი, დაფარული ერთი მეოთხედი მილიმეტრის სისქე ახალი საღებავით, ნახევარი საათის განმავლობაში ცეცხლის ალში იყო გახვეული (სახლს ნავთი გადაასხეს), მაგრამ ხის მასალას ცეცხლი არ გაუჩნდა და როცა ცეცხლი ჩააქრეს ხის შენობა სრულიად უვნებელი აღმოჩნდა.

გაახალგაზრდავების ახალი მეთოდი

პროფ. **შტეინახი** უკანასკნელ ხანებში ბევრს მუშაობს გაახალგაზრდავების ახალ უსისხლო მეთოდზე. შტეინახმა გამოარკვია, რომ გორმონი, რომელსაც შეიცავს ტვინის დანამატი, ერთნაირად მოქმედობს როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებზე. ტვინის დანამატი, — უფრო სწორად—მისი გორმონი ორგანიზმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში აწესრიგებს სასქესო ჯირკვლების ფუნქციებს. შტეინახმა ეს დაამტკიცა თავისი ცდებით ვირთხებზე. სასქესო საკვერცხეებ - ამოკვეთილი ვირთხები განიკურნენ ამ გორმონის შეშხაპუნების შემდეგ.

ეს შეშხაპუნება იწვევს სასქესო ჯირკვლების აღგზნებას. შეშხაპუნების შეწყვეტის შემდეგ საკვერცხეებ - ამოკვეთილი ვირთხები კვლავ ძველ მდგომარეობაში ვარდებიან, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ სასქესო ჯირკვლები საჭიროებენ მუდმივ აღგზნებას ტვინის დანამატის მხრივ. ამ მოვლენამ აფიქრებინა შტეინახს, რომ სქესობრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა და მისი შესუსტება წლების განმავლობაში, ალბათ, ტვინის დანამატის გორმონის ფუნქციებში მომხდარ ცვლილებების შედეგი უნდა იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს აღორძინების, მეორე ახალგაზრდობის შესაძლებლობა — ამისათვის საკმაოა მხოლოდ ადამიანს შეუშხაპუნოთ დაშრეტილი გორმონი. და მართლაც, რამდენიმე განმეორებითი შეშხაპუნების შემდეგ ცხოველებს უქრება მოხუცებულობის ნიშნები.

შტეინახს განზრახული აქვს უახლოეს დროში ასეთივე ცდები მოახდინოს ადამიანზეც.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 21 ივლისი

დღეს, 12 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი — განმარტება ქართულ ენაზე.

აგროდახმარება — მოხსენება ქართულ ენაზე.

საგლეხო რადიო - გაზეთი — ქართულ ენაზე.

შევამოწმოთ ჩვენი მომზადების ხარისხი საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების საქმეში — მოხს. რუსულ ენაზე.

კულტურული რევოლიუცია ეროვნულ რაიონებში ეროვნულ უმცირესობათა შორის — მოხს. რუსულ ენაზე.

გაზ. „ენიკენდ“ — თურქულ ენაზე.
რადიო - სტუდიის კონცერტი.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები ქართულ და რუსულ ენებზე.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია ქართულ და რუსულ ენებზე.
კონცერტის ტრანსლიაცია.
მოხსენებების შუა — მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 21 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ნინო ქურაშვილი, ნადეჟდა პეტრაკოვა, ანა ონოსენკო, მარიამ გულიჩენკო, ბარბალე მერაბოვა, ციცინო ჩახვაძე, დარია რაზმაძე; ზინაიდა სმირნოვა, არამ ხაჩატურიანი, სერგო ჩირაღოვი, სერაფიონ ჩიღუნაძე, ერვანდ არუთინოვი, ევდოკია წერეთელი; ანა ძამოევა, არმენაკ პაპიაშვილი, ნატალია ბატიუშენკო, მარიამ ბიბილური, ნინო დერბასოვა, მარიამ იზგარჩევა, ევგენია ედალინა, მარიამ ალიოხინა; ეკატერინე სიზიუმოვა; გიორგი სანოვი, ნადეჟდა ჩერნოვალოვა, ნადეჟდა ბონდარენკო, ელენე კაზაროვა, სათენიკ ერანესიანი, მარიამ გვერდწითელი და ანასტასია კანიშევა.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ელენე მიქელაძე-ჩხეიძისა, თამარ ნადარეიშვილი, სევერიანე საღარაძე, პეტრე სანიკიძე, გრიგოლ დოჭვირი; ალექსანდრე მაღაშვილი, ალექსი იარამოვი, დავით შაქრიშვილი, ოლღა ბელიაევა, არტემ მინაზაროვი, ნოე ეყვანია გიორგი მაჭავარიანი, ამბაკო შავგულიძე, სტეფანე გეურქოვი, ერასტი ჭავჭანიძე, პლატონ ბარამიძე, მიხეილ ნაკაიძე; ბიქტორ ნიკოლაიშვილი, ნიკოლოზ ელიაშვილი; ივანე ესაკია, ივანე საყვარელიძე, არჩილ ვლადიმერაშვილი, გიორგი კაჟაშვილი იოსებ ბილანიშვილი; გრიგოლ ბერიძე; ბესარიონ გვაზავა, ივანე პლანგე, ფილიპე გურგენიძე, დავით ხუხუნაიშვილი, არჩილ კაშია, სოფიო ყიასაშვილი, მიხეილ ხუბუა, მიხეილ ნოსენკო; ალექსი ალნიაშვილი; კონსტანტინე მენტოვი, აკიმ გრუბკოვი, ვასილ მიშინი; ელენე ჩხელაშვილი, ემანუილ ბრუდე, დიმიტრი კობახიძე. ივანე მიქელაძე, პეტრე კორიხაშვილი; ლუკა შუთიძე, გიორგი თედეევი; გიორგი კიკნაძე, იოსებ ცხოიძე, ივანე შუბაძე; ტრიფონ ქაჯაია; ალექსი კუზმინი, გენადი სოკოლოვი, და ამბროსი ჩხეიძე.

მედსექციიდან: გრიგოლ საყვარელიძე, თამარ მიქელაძე და ნიკოლოზ ანდრეევი.

იურიდიული დახმარება

ისიდორე ქარცივაძეს

კითხვა

1903 წლიდან ვსარგებლობთ ჩვენს ეზოზე მიკრულ ნაკვეთით, რომელიც ეკუთვნოდა მოქ. მეგრელიძეს. ნაკვეთში გაშენებული გვაქვს სხვადასხვა ნარგავები და შემოვლებულია თხრილი. 1917 წელში ამ ნაკვეთის ყოფილი მესაკუთრე გარდაიცვალა, რის შემდეგ მის ქვრივს მოყრობით ვაძლევდით შემოსავლის ნახევარს. დღეს კი მან მოინდომა ამ ნაკვეთის ჩამორთმევა. ამჟამად ამ დავას არჩევს სასამართლო. გთხოვთ გვიპასუხოთ გვაქვს თუ არა ამ მიწაზე უფლება, როგორც 25 წლის განმავლობაში ვამუშავებდით მას?

პასუხი:

რადგანაც თქვენი საქმე რაიონის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიის წარმოებაშია, ძნელი სათქმელია, თუ როგორ გაშუქდება და დამტკიცდება თქვენ შორის ურთიერთ დამოკიდებულება და თვითეული თქვენგანის მიწასთან დამოკიდებულება. თქვენ უნდა შეეცადოთ დაამტკიცოთ მიწასთან თქვენის მხრივ შრომითი დამოკიდებულება და სასამართლო მიიღებს რა მხედველობაში საქმის ყველა გარემოებას და არსებული კანონის მოთხოვნას, გამოიტანს სათანადო გადაწყვეტილებას. თქვენ შეგიძლიათ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროთ, უკეთუ დაინახავთ, რომ დარღვეულია თქვენი უფლება.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 42

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ-ში გადასახლების საქმის მიზნებისა, ორგანიზაციისა, გეგმების შედგენისა და გადასახლების ღონისძიებათა ფინანსიურად მოგვარების წესის შესახებ.

სსრკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის იანვრის 18-ს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-8 №-რი, მუხლი 63) თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭო, იმ მიზნით, რათა გადასახლების საქმე საქართველოს სსრ-ში სათანადოდ იქნეს დაყენებული და ამ საქმისათვის მისაღები ღონისძიებანი დაკავშირებულ იქნეს გადასახლების საქმის საერთო საკავშირო გეგმასთან და სსრკ. და ა.-კ. სსრ. მთავრობათა მიერ გადასახლების საკითხის თაობაზე გამოცემულ დადგენილებებთან. — ადგენენ:

I. გადასახლების საქმისათვის რესპუბლიკური გეგმის შედგენისა და განხორციელების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი საჭიროება:

1) საქართველოს სსრ-ში ზედმეტ მოსახლეობიანი რაიონების განტვირთვა ამ რაიონებში დარჩენილი მოსახლეობის მეურნეობის გასაუმჯობესებლად;

2) სამელიორაციო სამუშაოებისა და მიწათ მოწყობის განხორციელებით, აგრეთვე დაბლობ ადგილებში ტყეების გაწმენდით მიღებულ მიწის ფონდზე ღონიერი მეურნეობის დამკვიდრება;

3) საქართველოს სსრ ფარგლებს-გარედ ჭარბი მოსახლეობის გადასახლების საკითხის მოწესრიგება და სამისო ღონისძიებათა დაკავშირება გადასახლების საერთო-საკავშირო გეგმასთან.

II. ამა დადგენილების 1-ლ მუხლთან შეთანხმებით წინადადება მიეცეს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს:

1) გადასახლების საქმის ღონისძიებათა მთავარ მიზნად დასახოს საქართველოს სსრ-ში ზედმეტ-მოსახლეობიანი რაიონების განტვირთვა იმ ჭარბი მოსახლეობისაგან, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა;

2) გაითვალისწინოს საქართველოს სსრ ზემოაღნიშნული რაიონების ჭარბი მოსახლეობის მიწათ-მეურნეობის მოწყობა: ა) იმ ახალ მიწებზე, რაც მელიორაციით მიღებულ იქნება: ალაზნის ხეობაში, ელდარისა და შირაქის ველზე, სამგორის მინდვრებზე, ყარაიას და სოღანლუღის რაიონებში, დასავლეთ საქართველოს ჭაობებში, აფხაზეთის სსრ-ში და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში; ამასთანავე ანგარიშში უნდა მიიღოს მეცხვარეობის საქმის დაცვისა და განვითარების ინტერესები, და დაამყაროს ისეთი წესი დასახლებისა და გადასასახლებელი კონტინგენტის შერჩევისა, რაც უზრუნველჰყოფს საქართველოს სსრ-ში ზამთრობით ცხვრის კვების ბაზის შენარჩუნებას და გაფართოებას; ბ) იმ თავისუფალ მიწებზე, რაც მიღებულ იქნება ტყეების გაწმენდით ჭიათურის რაიონში, აფხაზეთის სსრ-ში და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში; გ) იმ ზედმეტ მიწებზე, რაც აღმოჩნდება მიწათმოწყობის წესით;

3) გაითვალისწინოს შესაძლებლობა გადასასახლებელი ელემენტის განსაზღვრული ნაწილის საქართველოს გარედ წარმართვისა; თანაც სასურველად იქნეს მიჩნეული, რომ მათ მიწები ჩრდილო-კავკასიის რაიონში მიეცეს კერძოდ შავი ზღვის ოლქში;

4) შეუთანხმოს გადასახლების გეგმა იმ ღონისძიებათ, რაც მიღებულ უნდა იქნეს გადასახლებულთა გამოსვლის რაიონებში მიწათმოწყობისა, განსახლებისა და მელიორაციის სახით მოსახლეობის აგრარული სიჭარბის შემცირებისათვის, რისთვისაც სათანადო სამეურნეო ბრუნვაში მოქცეულ უნდა იქნეს ნაკლებად ვარგისი და უვარგისი მიწები, აცილებულ უნდა იქნეს არსებული მიწათსარგებლობის ის ნაკლულოვანებანი, რაც აბრკოლებს ამ მიწების წესიერათ გამოყენებას და მიწისა და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

III. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედებისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს მიიღონ მტკიცე ღონისძიებანი — გადასახლების მეშვეობით მიწების თვითნებისად ხელში ჩაგდების წინააღმდეგ.

IV. საქართველოში არსებული მოსახლეობის აგრარული სიჭარბის სასწრაფო წესით შემცირებისათვის საჭიროდ იქნეს ცნობილი მიწათ-მოწყობისა, განსახლებისა და მელიორაციის სახის ღონისძიებათა გაძლიერება.

V. რადგანაც ამ საქმეში სამელიორაციო ხასიათის ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა აქვს, დაევალოს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს აღძრან სსრკ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული გადასახლების კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა საჭირო კრედიტებით უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო რესპუბლიკანური გეგმით განზრახული მორწყვა-დაშრობის სამუშაოები.

VI. რათა გადასახლებისთვის მისაღები ღონისძიებანი მიღწეულ იქნეს უფრო მეტის მიზანშეწონილობით, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს სრული კავშირი სამელიორაციო ღონისძიებათა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმებსა და მუშაობის შორის.

VII. საქართველოს სსრ ფარგლებს გარედ გადასახლების გეგმა და ამ გადასახლების დროს საქართველოს სსრ-ში გადასვლა-გადმოსვლის წესი შეთანხმებულ უნდა იქნეს სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადასახლების კომიტეტთან.

VIII. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოაწყოს მუშაობა გადასასახლებელი ელემენტის შერჩევისათვის იმ მიწის ფონდებზე დასასახლებლად, რაც მოსახლეობას საქართველოს სსრ ფარგლებს გარედ მიეცემა, რისთვისაც საფუძვლად უნდა მიიღოს ფაქტიური განცხადებანი გადასახლების შესახებ და შეამოწმოს ეს განცხადებანი ეკონომიური მიზანშეწონილობის მიხედვით.

IX. აღიარებულ იქნეს, რომ მელიორაციით ტყეების გაწმენდით და მიწათმოწყობის წესით მიღებულ მიწის ფონდებზე გადასახლებისათვის საჭირო ღონისძიებანი ფინანსიურად მოგვარებულ უნდა იქნენ რესპუბლიკანური სახსარით.

X. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულ იქნება გადასასახლებელი მოსახლეობის იმ კონტიგენტის შერჩევისათვის, რომელიც დასახლებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ფარგლებს-გარედ მიჩენილ მიწებზე, უნდა მიეკუთვნოს წინა მუხლში აღნიშნულ სახსარს.

XI. აღძრულ იქნეს სათანადო წესისამებრ შუამდგომლობა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რომ ის გადასახლების ფონდები, რაც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. ივნისის 20-ს დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ-დან გადასახლებულთ უნდა მიეცეს, საერთოდ, ჩრდილო-კავკასიაში და, კერძოდ, შავიზღვის ოლქში, აღიარებულ იქნეს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე ფონდებად და ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულ იქნება ამ მიწებზე გადასახლებასთან, მიეკუთვნოს საერთო-საკავშირო ბიუჯეტს სსრკ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული გადასახლების კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვით; ამ ხარჯებს შორის აგრეთვე შემდეგი ხარჯებიც:

1) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გადასახლების განყოფილების დამატებითი შტატის შესანახი ხარჯი;

2) გადასახლებული ელემენტების გადასვლა-გადმოსვლის ხარჯი;

3) გადასახლებულთა გზაში მომსახურეობის ხარჯი;

4) საგადასახლებო მიწის ნაკვეთების მომზადების ხარჯი;

5) საგადასახლებო მიწის ნაკვეთების მელიორაციისა და წყლის მიწოდების ხარჯი;

6) გზების გასაყვანი ხარჯი;

7) გადასახლებულთა სამკურნალო-სასანიტარო, აგრონომიული და კულტურული მომსახურეობის ხარჯი;

8) გადასახლებულთა მეურნეობის მოწყობისა და საერთო-სასარგებლო საჭიროებისათვის სესხად მისაცემი ხარჯი.

XII. საჭიროდ იქნეს ცნობილი — სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით მოეწყოს გადასახლებულთა გამოსვლის ადგილებში ღარიბ და შუათანა მეურნეობათათვის სესხის მიცემის საქმე გადასახლებულთა მიერ გასაყიდი ქონების შესაძენად.

XIII. მიეცეს გადასახლებულთ უფლება გასცენ იჯარით მიწები გამოსვლის ადგილას ვადით სამ წლამდე — ის ნაკვეთები, რომლებზედაც მრავალწლიანი კულტურაა და ვადით ერთ წლამდე — ყველა სხვა ნაკვეთი. იმ პირთ, ვინც გაუწმენდავ ტყის ნაკვეთებზე ან, საერთოდ, გამოსაყენებლად მოუმზადებელ მიწებზე გადასახლდება, უფლება მიეცეს გასცეს იჯარით ყველა მიწები გამოსვლის ადგილას ვადით სამ წლამდე. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და დასამტკიცებლად საკანონმდებლო ორგანოებს წარუდგინოს პროექტი დადგენილებისა — საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 170 მუხლისათვის სათანადო შინაარსის შენიშვნის დამატების შესახებ.

XIV. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს — იმ რაიონების გზატკეცილებისა და შარაგზების მშენებლობის გეგმები, რაც დასახლებულ უნდა იქნეს, შეუთანხმოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

XV. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, აგრეთვე მასთან შეთანხმებით, ჯანმრთელობის და განათლების სახ. კომისარიატებსა და სას.-სამეურ. და სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს — შეიმუშაონ იმ ღონისძიებათა გეგმები, რაც უზრუნველყოფს გადასახლებულთა აგრონომიულ, ვეტერინარულ და სამკურნალო-სასანიტარო დახმარებას, მათთვის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მიწოდებას, კულტურულ-განმანათლებელი მომსახურეობის გაწევას და სხვ, გადასახლებასთან დაკავშირებული ღონისძიების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო სახსარი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო საუწყებო ხარჯთ-აღრიცხვებითა და საწარმოო-საფინანსო გეგმებით.

XVI. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — შეადგინოს სამი თვის განმავლობაში, ზემოაღნიშნულ საფუძველზე დამყარებით, გადასახლების გეგმა 10-15 წლისათვის და, სათანადო ორგანოების მეშვეობით, წარადგინოს დასამტკიცებლად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე —
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე —
ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ი. ვარძიელი.

1928 წლ. მაისის 23
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 22|141

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში 1928 წ. ივნისის 27.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს 1927 წლის აგვისტოს 31 დადგენილებისა № 578 სავაჭრო რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ (ს. ს. რ. კ. კანონთა და განკარგ. კრებული 1927 წ. ოქტომბრის 14 № 57 თარიღით) გაუქმებულ იქნეს ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1927 წ. მარტის 29—დადგენილება № 11/87 „სავაჭრო რეგისტრაციის შესახებ“ (იხ. „კომუნისტი“ 1927 წ. მარტის 30).

2. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას და საწარმოს, აგრეთვე კერძო მოვაჭრეებს, რომელნიც იღებენ მე-4-ე ან მეტი ხარისხის პატენტს, ორი კვირის განმავლობაში გაატარონ იგი რწმუნებულის სამმართველოს რეგისტრაციაში, თანახმად სავაჭრო რეგისტრაციის დებულების წესისა (იხ. ს. ს. რ. კ. კანონთა და განკარგულ. 1927 წ. ოქტომბრის 14 კრებული № 57 მუხლი 579).

3. ა.-კ. ს ფ. ს. რ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს აფხაზეთის და აჭარისტანის ს. ს. რესპუბლიკებში და ყოველ ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიებს ევალება ფხიზლად ადევნონ თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

4. ამ დადგენილების დამრღვევნი დაჯარიმებულნი იქნებიან 300 მანეთამდე.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. ვაჭრობის რწმუნებული საქართველოში — **სააკიანი.**
საქმეთა მმართველი — **კალანდაძე.**

ხელოვნება

მზადება მომავალ საოპერო სეზონისათვის

მომავალ საოპერო სეზონის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს სახელმწიფო საოპერო თეატრში შემდეგი აცნობეს:

ახალი საოპერო ძალების მოსაწვევათ მოსკოვსა და ლენინგრადში მივლინებული იყო საოპერო თეატრის წარმომადგენელი, რომელმაც უკვე დაამთავრა მოლაპარაკება იქაურ საოპერო თეატრების საუკეთესო მომღერლებთან.

მომავალ სეზონში მთავარ დირიჟორად მიწვეულია მოსკოვის სახ. აკად. დიდი თეატრის დირიჟორი ა. **პოზოვსკი**, ხოლო მთავარ რეჟისორათ და სამხატვრო ნაწილის გამგეთ **ნ. ბოგოლიუბოვი**. სეზონში აგრეთვე ერთი დადგმისათვის („ბორის გოდუნოვი“) მოწვეულია მოსკოვის დიდი თეატრის რეჟისორი ვლ. **ლოსსკი**.

მომავალ სეზონისათვის მოწვეული არიან შემდეგი მსახიობები: ბასები: **გრიგოლ და ალექსანდრე პიროგოვები** (მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერები); ბარიტონები: **ვ. სლივინსკი** (ლენინგრადის თეატრის პრემიერი), **ს. მიგაი და გოლოვინი** (მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერები). ტენორები: თბილისის საზოგადოებისათვის უკვე ნაცნობი **კიპარენკო** და ლენინგრადის საოპერო თეატრის პრემიერი **პეჩკოვსკი**; კოლორატურული სოპრანო; ლენინგრადის საოპერო თეატრის პრემიერი ქალი **გორსკაია** და მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი ქალები **სტეპანოვა და ბარსოვა**; დრამატიული სოპრანო: მოსკოვის საოპერო დიდი თეატრის პრემიერი ქალი **ძერჟინსკაია**.

გარდა ამისა სეზონში 2 თვით მოწვეულია **ფ. მუხტაროვა** (მეცო-სოპრანო)’ სეზონში იმღერებენ აგრეთვე: ლენინგრადის ოპერის თეატრის პრემიერი ქალი **ა. კობზარევა** (დრამატიული სოპრანო) და მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი **დროზდოვი** (დრამატიული ტენორი).

მომავალ სეზონში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბალეტის გადახალისებას, რისთვისაც მოწვეულია ცნობილი ბალეტმეისტერი **ბალანოტი**. გარდა ამისა ორი საბალეტო დადგმისათვის მოწვეულია მოსკოვის სახ. აკად. დიდი თეატრის ბალეტმეისტერი **გოლეიზოვსკი**.

ბალეტში მთელი სეზონის განმავლობაში მოწვეულია მოსკოვის და ლენინგრადის თეატრების 10 ცნობილი სოლისტი.

პიროგოვები იმღერებენ (შეცვლით) დეკემბერში და იანვარში. **ს. მიგაი** იმღერებს მომავალ წლის თებერვალში; **გოლოვინი** — მარტში; **კიპარენკო** — დეკემბერში; **პეჩკოვსკი** —1 იანვრიდან 15 თებერვლამდე; **ძერჟინსკაია** — ა. წ. დეკემბერში; **გორსკაია** — ა. წ. ნოემბერში. **სტეპანოვა** — მომავალ წლის იანვარში და თებერვალში’ **სლივინსკი** — ა. წ. 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა ანსამბლის შესადგენად ადგილობრივ ძალებისაგან.

მომავალ სეზონში ადგილი არ ექნება საგასტროლო წარმოდგენებს და საგასტროლოთ მსახიობების მოწვევას. ყველა მომღერლებს მიეცემა მხოლოდ თვიური ხელფასი.

განზრახულია რეპერტუარის გადახალისება და მასში შეტანილი იქნება რევოლიუციონური ოპერები. რეპერტუარი სახელოვნო დაწესებულებათა მთავარ მმართველობას დასამტკიცებლად წარედგინება მთავარ რეჟისორის ბოგოლიუბოვის ჩამოსვლის შემდეგ.

მუშა - მოსამსახურეთათვის თეატრში სასიარულოთ შეღავათიან პირობების შექმნის მიზნით, მომავალ სეზონში შემოღებული იქნება სააბონემენტო სისტემა. ადგილკომებს მუშა - მოსამსახურეთა შორის გასანაწილებლად სააბონემენტო ბილეთები მიეცემა 40 პროცენტის დაკლებით. აბონემენტების საფასურის გადახდის ვადა განსაზღვრულია 5 თვით.

სულ მთელ სეზონში დაიდგმება 123 წარმოდგენა, აქედან 100 აბონემენტებისათვის.

იმ მუშა - მოსამსახურეებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ცენტრიდან დაშორებით, ნაძალადევში სისტემატიურათ გაიმართება საოპერო წარმოდგენები, იმავე შემადგენლობით, რომელიც ამა თუ იმ ოპერაში იმღერებს სახელმწიფო თეატრში.

მიღებულია აგრეთვე ზომები გუნდის გადასახალისებლად.

სეზონი გაიხსნება ამ წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში.

ხელოვნების ქრონიკა

ოვანეს თუმანიანის ხსოვნის საღამო

ორშაბათს, 23 ივლისს, ორთაჭალის ტყავტრესტის მუშათა საზაფხულო კლუბში გაიმართება საღამო მიძღვნილი სომეხ სახალხო პოეტის ოვანეს თუმანიანისადმი (1869—1923). თუმანიანის სამწერლო მოღვაწეობის და საერთოდ მისი შემოქმედების შესახებ მოხსენებას გააკეთებს პოეტი **სურენ ავჩიანი**. შემდეგ ადგილობრივი სომხ. დრამ-წრე დასდგამს ოვანეს თუმანიანის „უარყოფილი კანონი“-დან ს. ავჩიანის მიერ გადმოკეთებულ 1 მოქ. პიესას. სალიტერატურო-საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: პოეტი **ი. გრიშაშვილი**, კომპოზიტორი **არმ. ტიგრანიანი**, მომღერალი **ა. საჰაკიანი**, პოეტი **ს. ავჩიანი**, არტისტი **მ. მარუთიანი** და სხვები.

◆ **მოძრავი თეატრი.** თბილისში ეწყობა მოძრავი საგლეხო თეატრი, რომელიც იმუშავებს თბილისის, სიღნაღის და თელავის მაზრებში.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** წითელ-არმიელთა კლუბში დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

◆ **სამხატვრო საბჭოები.** გადაწყვეტილია ყველა თეატრებთან დაარსდეს სამხატვრო საბჭოები.

◆ **აღმშენებელთა კლუბში** დღეს გაიმართება დიდი საღამო - კონცერტი.

სასამართლო

ს. მუჩიაშვილის საქმე

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით დაამთავრა სიმონ გიგოს ძე მუჩიაშვილის, კოსტა იაკობის ძე მამაჩაშვილის და მიხეილ დიმიტრის ძე ასაკაშვილის გასამართლება.

რამდენიმე ხნის წინად ხსენებული პირები შევიდნენ კახეთის და ფალავანდოვის ქუჩის კუთხეში მდებარე რესტორანში, სადაც მაგრად დათვრენ.

მათი ქეიფის დროს რესტორანში შევიდა ბაგრატ ბალდასარის ძე ეგიაზაროვი, რომელიც მტრულ განწყობილებაში იყო მუჩიაშვილთან.

ეგიაზაროვი მოულოდნელათ მივარდა მუჩიაშვილს, რომელსაც სილა გააწნა, შემდეგ სწვდა ყელში და მოუნდომა დახრჩობა. ძლივს გამოართვეს მას ხელიდან თავ-პირ დამტვრეული მუჩიაშვილი.

მუჩიაშვილმა გადასწყვიტა შური ეძია თავის შეურაცხყოფაზე.

იმავე დღეს ჩაუსაფრდა ეგიაზაროვს, როცა ის სახლში ბრუნდებოდა და ესროლა „ნაგანის“ რევოლვერიდან. ეგიაზაროვი ყვირილით გაექანა თავის ეზოს კარებისაკენ. მუჩიაშვილი დაედევნა, კიდევ უნდოდა ესროლა, მაგრამ სიბნელემ ხელი შეუშალა და ეგიაზაროვი სიკვდილს გადარჩა.

ეგიაზაროვის ყვირილზე გამოვარდნენ მეზობლები, დაიჭირეს მუჩიაშვილი და გაგზავნეს კომისარიატში.

სასამართლომ ამ საქმეზე დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეები. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ასაკაშვილს და მამაჩაშვილს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ მუჩიაშვილის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებულმა მუჩიაშვილმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა განსაკუთრებული სულიერი მღელვარების დროს, რაც მასში გამოიწვია ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებამ ეგიაზაროვის მიერ. მუჩიაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით.

ასაკაშვილი და მამაჩაშვილი სასამართლომ გაამართლა.

—:—

დაუდევრობის შედეგი

გასული წლის 12 დეკემბერს თბილისის სადგურში დაიმტვრა ბაქოდან მოსული სამარშრუტო მატარებელი. ამ საქმეზე პასუხის გებაშია მიცემული მეისრე მილიანოვი. როგორც წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, ბრალდებულმა 12 დეკემბერს, დილით, ბაქოდან მომავალ მატარებლის მისაღებად მე-11 ხაზზე გადაიყვანა ყველა ისრები, გარდა № 16 ისრისა. უკანასკნელი ისრის გადაყვანა ბრალდებულმა რამოდენიმე წუთით გადასდო. შემდეგ კი სავსებით გადაავიწყდა ეს საქმე, შევიდა სამორიგეო ოთახში და გაერთო საუბარში ამხანაგებთან.

ბაქოდან მომავალი მატარებელი სადგურში შემოვიდა დაკავებულ ხაზზე. მოხდა დაჯახება, რომლის დროს დაზიანდა 15 დატვირთული ვაგონი, ორთქლმავალი და დაიმსხვრა ნავთის 3 ცისტერნა. ხაზი დაზიანდა 500 მეტრის მანძილზე.

კატასტროფის დროს დაიღუპა მგზავრი ა. კულიკოვი, მძიმედ დაშავდა მეეთავი ქ. დოლიძე და მსუბუქად სამი მგზავრი.

რკინის გზამ მიიღო 35.000 მანეთის ზარალი.

მილიანოვს გაასამართლებს თბილისის სამაზრო სასამართლო.

თ.

ვის ჩამოერთმევა სახლები

მალაქია გველესიანს (ნატახტარის ქ. № 9). არშაკ გულიევს (ნატახტარის ქ. № 6), არშაკ მაჩქალოვს (წერეთლის ქ. № 14), სოფია ოქროევას (ნატახტარის ქ. № 4), თუმანოვს (ეჩმიაძინის ქ. № 11), აკოფოვს (ვახტანგოვის ქ. № 11), ტერ-ოგანეზოვს (ავლაბრის ქ. № 3), ტანანესიანს (ღვინის აღმართი, № 32), ნატალია ასრატოვას (ვახტანგოვის და მესხიშვილის ქ. № 30—28), მანუჩაროვს და ხოშხოშვილს (ჭიაბრიშვილის ქ. № 7—8), არონოვს (მესხიშვილის ქ. № 18), კოვალოვს (იორის ქ. № 4), პეტრე კანდელაკს (კრამიტის შეს. № 7), მურადოვს (პოლკოვის და იორის ქ. 7-2), ნინო ჯიმშელეიშვილს (ბესიკის ქ. № 40), ნიკოლოზ ნეპროცევს (ბესიკის ქ. № 32—35), აკაკი ქვარიანს და რაფაელ ქურციკიძეს (არსენას ქ № 6), კარაპეტ ოგანეზიანს (ბარნოვის და კერესელიძის ქ. № 20—8), ალექსანდრე ჩივაძეს (ბესიკის ქ. № 23), აკოპჯანოვს (გოკჩაის ქ 20—6), მაქსიმე იობაშვილს (ლენსკის ქ. № 18), ივანე ფელდმანს (საბჭოს ქ. № 73), ტიგრან მარცვალოვს (ორბელიანის ქ. № 36), მარიამ შარლემანს (კეცხოველის ქ. № 18), ალექსი მარმალაშვილს (მუხრანის ქ. № 1—6—28), ვარძიგულოვს (ლომაურის ქ. № 18), ანასტასია ნამგალაძეს (იზმაილოვის ქ. № 40), ნიკოლოზ მელინცევს (რეიტეროვის ქ. № 12), სოფიო მესხიშვილს და სხვებს (ფურცელაძის, დაკეცხოველის ქ. № 8—16), ელენტს და ანდრიაძეს (ძნელაძის ქ. № 18), მ. ასლამაზოვს და ს. ხიმონოვს (ფიოლეტოვის და ლენსკის ქ. № 4—13), არმენაკ ასლანოვს (შემახის ქ. № 8), ლავრენტი მაცაბერიძეს (ნუხის და ბოდარსკის ქ. № 9—2), ან და თომა გალუსტოვებს (პლეხანოვის პრ. № 16), რუდნიკს და შტენგელს (ვეძახის ქ. № 12), გეორგ ბელიევს (არაქელას ქ. № 28), სულხანოვს და გაჩეჩილაძეს (ვეძახის ქ. № 11), კანანოვს და სულხანიშვილს (ციმაკურიძის ჩიხი № 2), ნიკოლოზ არუთინოვს (ჭიაბრიშვილის ქ. № 1—1), მიხეილ ტურაშვილს (ნუხის ქ. № 9), ნ. და მ. ბეგლარიანცებს (იაროსლავის შესახვ. № 2), სტეფანე ფენიკონი (ჭიაბრიშვილის ქ. № 22—1), მელიქ-ავაქოვს და მელიქ დავიდოვს (ჭიაბრიშვილის ქ. № 5).

ღრმად დამწუხარებულნი: მამიდა ეკატერინე, დები: ნინო და ბარბარე, ძმა იოსები, რძალი ნინო ელისაშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ

თამარ ილარიონის ასული ელისაშვილი-მათიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას 22 ივლისს დილის 11 საათზე—რკინის გზის გადაღმა ავლაბრის სასაფლაოზე. 3087

ღრმად დამწუხარებული მეუღლე ლიდა პატარა შვილიშვილებით, შვილები: ნინო, ოლღა, პაშა, ნიკოლოზი, გერასიმე და პეტრე, რძლები კატო და სონია, სიძეები: პეტრე მაჭავარიანი და გრიგოლ მგალობლიშვილი აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

იასონ ილიას ძე ამაშუკელის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზე კვირას 22 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე 3090

ღრმად დამწუხარებულნი დედა ემილია ივახეს ასული ნაზარიშვილისა, მეუღლე ლიდია მიხეილის ასული, დები მარო და ნინა, ძმები გიორგი და პავლე და სიძეები ივანე იოსების ძე სანიშვილი და ალექსანდრე ვასილის ძე ომიაძე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

ივანე (ვანიკო) პეტრეს-ძე ნაზარიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 21 ივლისს, საღამოს 6 საათზე მე-2-ე კლინიკური ინსტიტუტის (ყოფილი ალექსანდრეს საავადმყოფოში) პროზექტურაში. გამოსვენება საავადმყოფოდან კვირას, 22 ივლისს, საღამოს 5 საათზე ახალ ვერის სასაფლაოზე.

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	ზღვის გმირი	3 და 4 სერია ერთად
საზაფხულო ეთერი	ოსი ოსვალდ საუკეთესო ფილმში	ნინიშ
საზაფხულო დარბაზი	ლილიან გიშ მხატვრულ სურათში	გადატეხილი ზამბახი
საზაფხულო პალასი	სეზონის საუკეთესო სურათი	დიდ ქალაქში
პროლეტარი ავლაბარი	ორიგინალური კომედია	სამანიშვილის დედინაცვალი

ანონსი: მალე ფილმი „რობინზონ კრუზო“ 0-44

კინო-პალასი
ორშაბათიდან
23
ივლისიდან
სათავგადასავალო კინო-რომანი
ექვს სერიათ 35 ნაწილად
რობინზონ კრუზო
დანიელ დე-ფოეს
ცნობილ რომანის მიხედვით.
1 და 2 სერია ერთად. ნ. 1411

აღმშენებელთა კავშირის საზაფხულო კლუბი პლეხანოვის პროსპ. № 65
შაბათი, 21 ივლისს,
დიდი კონცერტი
მონაწილეობენ: გაბიჩვაძე, იძიკოვსკაია, ფატმა ხანუმ განჯინსკაია, ლ. კავსაძე, ს. დოლიძე, ვენაძე, ბადრიძე და აფხაიძე.
სამხედრო ექსპონატების, ჯავშნიან ნაწილების და ჯარის სხვადასხვა ნაწილების შეიარაღების გამოფენა. როიალთან: ქუჩერმანი. სასულე ორკესტრი ბახმანის ხელმძღვ.
კინო ახალი პროგრამა. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ქალ. ქუთაისში
გაზ. „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა მიიღება კონტრაგენტ
მინა ტყაბლაძესთან
როზა ლიუქსემბურგის ქ. № 64
3—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. თ. სვიმონიშვილი
ამით აცხადებს, რომ ა | წ. 23 ივლისის დილის 10 საათზე ქალ. სიღნაღში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ომარ ახმედ ოღლის მოძრავ ქონებისა რომელიც აღწერილია ნინა სარქისოვის ვალში, თანახმად, სიღნაღის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა 11 ივნისი 28 წ. № 758 სია გასასყიდ ქონებისა: ორი ხალიჩა შეფასებული 190 მან.
ნ. 1413

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—2

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

მათემატიკის
მასწავლებელი
ი. მაჩაიძე
ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავლებ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 6—1 2974

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. & 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები. ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინას ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის კაბინეტისა
■ ასწორებს ■
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 132

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 გაცემული ქ. ქუთაისის სამხედრო კომისარიატის მ ერ ვარლამ ისიდორეს-ძე ირემაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3089

დაიკარგა: თამასუქი (220 მ. 50 კ.) გიგო გაწერელიას მიერ ხელმოწერილი & სამი თამასუქი (70 მ., 50 მ. & 50 მ.) პავლე ჯღარკავას მიერ ხელმოწერილი და გაცემული კოსტა ზოსიმეს-ძე ძაძამიას სახელზე, ჩ. გ. 3091

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 125 ვლადიმერ თევდორეს-ძე ნინუას სახელზე, ჩ. გ. 3092

დაიკარგა: საპენსიო წიგნაკი № 166 ქეთევა თედორეს-ძე მჭედლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3093

დაიკარგა 7 წლედის დამთავრების მოწმობა № 285 მოცემული ხაშურის რკ. გზ. მე-3 სკოლიდან მიხეილ ლაცაბიძეს სახელზე. ჩ. გ. 3086

დაიკარგა: კომპარტიის საკანდიდატო ბარათი № 400 ერისტო გერასიმეს ძე ტყაბლაძის სახელზე, ჩ. გ 308

დაიკარგა: სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მოწმობა № 99 ერაზმ ვასილის ძე დემჩინსკის სახელზე ჩ. გ. 094

დაიკარგა: პირადობის მოწმობა გაცემული ქუთაისის მილიციის მიერ, ნუცა თოფურიძის სახელზე, ჩ. გ.

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა კამოს ქ № 68.